



ISSN 0868-4537



სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

მეცნიერება
15/11 - 452

IUS
TBILISI GEORGIA

1992-10-11

მთავარი რედაქტორი

თევდოზა ნინია

სარედაქციო კოლეგია:

ანზი არსენაშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი),

გელა ბაქაენიშვილი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე),

ოთარ გამყრელიძე,

როლანდ გილიგაშვილი,

ავთანდილ დემეტრაშვილი,

თარიელ ჯამბახია,

მიხეილ კეკელია,

მზია ლევანიშვილი,

გურამ ლილუაშვილი,

ალექსანდრა ტალიაშვილი,

რუსუდან პიტავა.

გულნარა ბოსნიკაშვილი

ბიბლიოტეკის რედაქტორი

2008

ხელყოფა ამას ემატებოდა ფედერალური სახელმწიფო სტრუქტურების დიდ ხვედრითი წილი სახელმწიფოს მექანიზმში. რაც აკნინებდა ფედერაციის წევრ სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებს და ამიტომ ხშირად წარმოშობდა ფართულ თუ აშკარა კონფლიქტებსა და სოციალურ დაძაბულობას. ამასთან, ნაციონალურ-ტერიტორიული ნიშნით მოწყობილი ფედერაცია ყოველთვის შეიცავდა ნაციონალური სეპარატიზმის წარმოშობის საფრთხეს.

ევროპული ფედერალიზმის პირველი მოდელი, რომელიც დღეს ერთგვარი სიმყარით გამოირჩევა, ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. თავის განვითარებაში მან კრიზისების რამდენიმე საფეხური გაიარა და დღეისათვის გარკვეულ ევოლუციას განიცდის. მიუხედავად ამ ქვეყნების ეროვნულ უმცირესობებში დამოუკიდებლობის მისწრაფებების გაძლიერებისა, სულ უფრო იკვეთება პრობლემათა წრე, რომელთა გადაწყვეტა ხდება არა ფედერაციაში გაერთიანებულ სახელმწიფო ერთეულების განცალკევების, არამედ ინტეგრაციის ბაზაზე მათი თანამშრომლობის გაღრმავების გზით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ევროპის ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ თავისი ეკონომიკური დამოუკიდებლობის დიდი ნაწილი მსხვერპლად შესწირა ევროპის ერთიანი ეკონომიკური ბაზრის შექმნას. რაც შეეხება სახელმწიფო წყობილები ფორმებს, ევროპის ბევრი პატარა ერებისათვის უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის ფორმა.

ფედერალიზმის მეორე მოდელი, რომელიც დასაბამს XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს, დღეს ფაქტობრივად გაკოტრდა და დაიშალა. სოციალიზმის სისტემისათვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკურმა ქაოსმა დააჩქარა ეს პროცესი. კომუნისტურმა რეჟიმმა ფაქტობრივად ვერ მოსპო დაპირისპირება ცენტრალური ქვეყნის სუვერენიტეტსა და ფედერაციაში გაერთიანებული ერების და მათი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სუვერენიტეტს შორის. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ეროვნული ნიშნით შექმნილი ფედერაციების განვითარება მიმდინარეობდა არა ევოლუციის გზით, არამედ ნახტომისებურად, რამაც დაარღვია ასეთ კავშირებში გაერთიანებული ქვეყნების სრულყოფის ბუნებრივი რიტმი. ამას მოჰყვა ერების შინაგანი შემოქმედებითი ძალების გამოფიტვა. ევროპული ცივილიზაციის ფონზე, საქართველოში ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ჩვენი პოლიტიკური კულტურის დაბალმა დონემ და საზოგადოების მართვის დემოკრატიული პრინციპების უგულვებელყოფამ, რაც კომუნისტურმა რეჟიმმა დაგვიტოვა.

ცნობილია, რომ ტოტალიტარულმა საბჭოთა სისტემამ ნაციონალური პოლიტიკის გადაწყვეტის გზაზე ყველაზე მოხერხებულ სახელმწიფო წყობილების ფორმებად გამოაცხადა მოკავშირე რესპუბლიკა, ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და ნაციონალური ოკრუგი. ამასთან, დავიწყებულ იქნა ის გარემოება, რომ სახელმწიფოებრივი მოწყობის განსხვავებულ ფორმებს თავისთავად არ შეუძლიათ სარგებლობის მოტანა თუ ისინი არ ეფუძნებიან არა მარტო ინდივიდის პირად თავისუფლებას, არამედ ერთთა ინიციატივასა და მათ თვითმყოფადობას. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ასეთ ხელოვნურად შექმნილ ფედერაციებში ფაქტობრივად უგულვებელყოფილი აღმოჩნდა ამ ქვეყნების ხალხთა ეროვნული თვითშეგნების განვითარებაზე ზრუნვა. ამან ფაქ-

საქართველოს
გერმანული
ბიბლიოთეკა

ტობრივად დაამუხრუჭა მათი განვითარება. ამასთან, ნიველირება გაუქვითდა ფედერაციაში გაერთიანებული ხალხის, ერისა თუ ეროვნულ უმცირესობათა ტრადიციებს. 70-იანი წლების საბჭოთა იმპერიის აპოლოგეტები დაუფარავად უჭერდნენ მხარს ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების იდეას, რასაც ძველი რუსეთის იმპერიის მსგავსად, მივყავდით ერთიანი უნიტარული სახელმწიფოს შექმნამდე.

წინააღმდეგობები, რაც გროვდებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ფედერალურ ინსტიტუტებსა და მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობაში, უარყოფით გავლენას ახდენდა მოკავშირე რესპუბლიკების შიგნით არსებულ ავტონომიური სახელმწიფოებრივი სტრუქტურების საქმიანობაზეც. არსებითად საქმე გვექონდა ერთი ტიპის სხვადასხვა უფლებამოსილების მქონე ხელოვნურ სახელმწიფო წარმონაქმნებთან, რომელთა მთავარი დანიშნულება იყო გავლენებიან იმპერიული ცენტრიდან მართვა და შეექმნა ადგილებზე ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებზე ზრუნვის ილუზია. ამას ისიც ადასტურებს, რომ 70 წლის მანძილზე, ფაქტობრივად, ვერ მოხერხდა ამ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს შორის კომპეტენციათა ზუსტი მეცნიერული გამოიჭენა, პრაქტიკულად არ შექმნილა აკრეფვე მათ შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტის კონსტიტუციური მექანიზმი. საყოველთაო სამართლებრივი ნიპილიზმის პირობებში ამ საკითხების კონსტიტუციური მოუგვარებლობა გზას უხსნიდა საზოგადოების მართვის ადმინისტრაციულ ძალადობაზე დამყარებულ მეთოდებს. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ საბჭოთა სახელმწიფო ვერ იტანდა თავისი დოქტრინების კრიტიკას და პრაქტიკაში ხშირად უპირისპირდებოდა თავისსავე დეკლარირებულ პიროვნების უფლებებს. მარქსისტული დოგმატიზმის ტყვეობაში ჩაყენებული სახელმწიფო იდეოლოგია ამაოდ ცდილობდა მონება კულტურული კომპრომისი საწარმოო ძალების წინსვლისა და ქვეყნის გაყინული სახელმწიფო წყობილების ფორმებს შორის, ფაქტურად, ღრმავდებოდა არა მარტო ერთაშორისი წინააღმდეგობანი, არამედ შიდაკლასობრივი დაპირისპირებაც. გახლეჩილი აღმოჩნდა ინტელიგენცია, რომლის ერთი ნაწილი ცენტრზე იყო მიჭაპველი და ამიტომ მორჩილად ასრულებდა იმპერიული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებებს, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც პრაქტიკულად ჩამოცილებული იყო სახელმწიფოს რეალური მართვისაგან, გარკვეული მსხვერპლის ფასად ცდილობდა მდგარიყო ეროვნულ პოზიციებზე.

საბოლოოდ, სოციალურ სფეროში ყოფილმა საბჭოთა კავშირმა ვერ შეიმუშავა ეროვნულ-სოციალური წინააღმდეგობების გადალახვის რატიონალური სახელმწიფო მექანიზმი. ხალხებსაც არ აღმოაჩნდათ სათანადო ნებნსყოფა, რადგანაც მასების შეგნებაში ჯერ კიდევ ღრმად იყო გამჭდარი სოციალიზმის უტოპისტური იდეები, რამაც თავისი დალი დაასვა არა მარტო პიროვნების, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობების მოწესრიგებას. დამუხრუჭებული აღმოჩნდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც, რომელმაც დემოკრატიზაციის ფონზე სულ უფრო აქტიურად დაიწყო გამოსვლა მცირერიცხოვანი ერებისა და ხალხების ნაციონალური ინტერესების დასაცავად. ყველა ეს წინააღმდეგობა დაყოვნებული მოქმედების ნაღმი იყო, რომელმაც სათანადო მომენტში ადვილად ააფეთქა ფედერალიზმის საბჭოთა სისტემა.

ტოტალიტარული რეჟიმების მსხვერველად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების არსებული კონცენტრაცია, რაც პირველ რიგში ამ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნებში გამოიხატა. ამ პირობებში, საბჭოთა იმპერიაში შემავალმა რესპუბლიკებმა თავიანთი დამოუკიდებლობის მოთხოვნა გამოაცხადეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშად და დემოკრატიის გამარჯვებად.

მაგრამ ისტორიულმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება ჯერ კიდევ არ ნიშნავს დემოკრატიის დამყარებას. დასავლეთს დღეს დემოკრატია ესმის არა მარტო როგორც ხალხის მასების მართვა დემოკრატიული გზით არჩეული სახელმწიფო სტრუქტურებით, არამედ ერთდროულად, როგორც პიროვნების უფლებების განუხრელი დაცვა, მთავრობის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. როგორც ყველა სტრუქტურებისა. თანამდებობის პირების მიერ კანონისადმი უსიტყვო მორჩილება და ოპოზიციის თავისუფლება. ამიტომ, დემოკრატიის მშენებლობა საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც საზოგადოების ზნეობრივ და იდეოლოგიურ განწმენდასთან ერთად მოითხოვს ქვეყნის ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და ნაციონალური ძალების სრულ კონცენტრაციას, რომელიც მტკიცე დისციპლინით უნდა იყოს შედუღებული. დემოკრატიისაკენ წარმატებით სვლა საჭიროებს ეროვნულ ერთიანობას, რაც საძირკველია სახელმწიფოს მთლიანობისათვის.

სწორედ ეს დაივიწყეს აფხაზეთის დღევანდელმა ხელმძღვანელმა სეპარატულმა ძალებმა, რომლებმაც ისარგებლეს შექმნილი სიტუაციით და თავიანთი კასტური ინტერესები ქართულ და აფხაზურ ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დააყენეს.

ისტორიამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ როგორც კი იწყება ქვეყნის დაშლა დამოუკიდებელ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ერთეულებად. ის მაშინვე იქცევა ბრძოლის არენად, რომლის ხელში ჩასაგდებად გარეშე ძალებს ხელ-ფეხი ეხსნებათ ქვეყნის ძარცვისა და დაკაბალებისათვის. ისლამსა და ქრისტიანობას შორის დღეს არსებულ დაპირისპირებაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დაშლის მცდელობა გარკვეულმა ძალებმა გამოიყენეს აგრეთვე კავკასიის რეგიონში ქრისტიანობის მთავარ ბურჯზე გადამწყვეტი შეტევის დასაწყისად, აფხაზეთ-საქართველოს კონფლიქტი მათთვის ბრძოლის მიზეზად იქცა. საქართველომ უკვე მერამდენედ დაიწყო ბრძოლა ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისათვის.

ეს ბრძოლა დღეს გადამწყვეტ ფაზაში შედის. ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობა იმდენად დიდი და კეთილშობილი მიზანია, რომ მის მისაღწევად ყველა საშუალების გამოყენებას ცივილიზებული სამყარო გამართლებულად მიიჩნევს. ეს განსაკუთრებით კარგად უნდა ახსოვდეთ მათ, ვინც დღეს სხვადასხვა პარლამენტის კალთას ამოფარებული, ფარისევლურ მორალს გვიკითხავს საქართველოში ვითომდა მცირე ერების დევნის შესახებ. ამ მტრული ძალების მიერ საქართველოს მცირე იმპერიად გამოცხადებაც შორს გამიზნული მანევრია, რაც საქართველოს ერთიანობის და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არის მიმართული. სავალალოა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ამ ფერხულში ჩაბმულნი აღმოჩნდნენ აფხაზეთისა და ოსეთის სეპარა-



ტისტული ძალები, რომლებმაც ხელში ჩაგდებულ ძალაუფლება გამოიყენეს ამ რეგიონების საქართველოსაგან მოწყვეტის მცდელობისათვის. ამ მიზნით, სამართლებრივი ექსტრემიზმის გზით მათ ჯერ „კანონების ომი“ გამოუცხადეს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ხოლო შემდეგ გადავიდნენ საქართველოს ერთიანი სახელმწიფო სუვერენიტეტის პირდაპირ ხელყოფაზე.

სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ ახალი პარლამენტის არჩევნების შემდეგ მიიღო რეალური კანონიერი ხასიათი და როცა იგი იქცა საერთაშორისო სამართლის აღიარებულ სუბიექტად. ამიტომ, დღეს მთელი სიგრძე-სიგანით დგას საქართველოს, როგორც ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს, კონსტიტუციური განვითარების სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა. სასურველია პარლამენტმა გაანალიზოს აგრეთვე რა პოლიტიკურ დივიდენდებს მოუტანს მას ახალი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურები. ნაციონალური პოლიტიკიდან გამომდინარე, საკანონმდებლო გზით უნდა მოწესრიგდეს არა მარტო ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი ეროვნულ უმცირესობათა წინაშე, არამედ უმცირესობათა ექსტრემისტი ლიდერების პასუხისმგებლობაც, როცა საქმე გვაქვს შესაბამის ტერიტორიაზე ქვეყნის მთლიანობისა და სტაბილურობის დარღვევასთან.

აფხაზეთის კრიზისი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ის მოდელი, რაც აქამდე ვეკონდა, დღეს აღარ გამოდგება და იგი უნდა გადაიხინოს. გადამწყვეტი სიტუაცია ამ საქმეში მთელ ქართველ ხალხთან ერთად უნდა თქვან ავტონომიებში მცხოვრებმა შესაბამისმა ეროვნულმა უმცირესობებმა ერთიანი რეფერენდუმის ფორმით.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნებისათვის უნდა გამოიძებნოს ძალთა ბალანსი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფო სტრუქტურების უფლებამოსილებას შორის. ამისათვის გადაჭრით უნდა უპუვაგდოთ წინა ხელისუფლების მიერ ქართული მესიანიზმის შემოიჭრებელი იდეა, რაც დიდი ხანია გაკოტრებულია ისტორიულად. მან მნიშვნელოვნად დაძაბა ურთიერთობა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერებთან. საჭირო გახდება ფუნქციონირებად გადანიჭილება ცენტრალურ, ავტონომიურ და ადგილობრივ სახელმწიფო აპარატს შორის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. დღევანდელ სიტუაციაში საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობა შეიძლება მოწესრიგდეს ფედერაციული ფორმის კავშირის გარეშეც, რადგან იგი ხელოვნურად არის თავსმოხვეული საქართველოსათვის და არ ითვალისწინებს ჩვენ სპეციფიკას, ისტორიასა და ტრადიციებს.

აფხაზეთის ნაციონალური სუვერენიტეტის გაფეტიშება, რასაც ფაქტობრივად აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილებისაკენ მივყავართ, ეწინააღმდეგება ევროპის ფედერაციული ქვეყნების კონსტიტუციურ პრაქტიკასაც. აქ ეროვნულ უმცირესობათა ნაციონალური სუვერენიტეტის შეზღუდვის ფონზე სახელმწიფო წყობილების ფორმები მიმართულია პირველ რიგში ფედერაციის სუბიექტების ეკონომიკური კავშირურობის გამტკიცებისაკენ. ამას ხელს უწყობს საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიმატის აღიარებაც ქვეყნის სა-

შინაო კანონმდებლობასთან შედარებით, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. აღნიშნული ტენდენცია ამჟამად შეინიშნება ჩვენს რესპუბლიკაში მიღებულ ახალ საკანონმდებლო აქტებშიც.

მთავარი და უძირითადესი საკანონმდებლო აქტი, რაშიც საბოლოოდ უნდა მოაწესრიგოს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, იქნება საქართველოს ახალი კონსტიტუცია. მისი მომზადებისას ბუნებრივია დადგება საკითხი აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსის შესახებ. აფხაზი სეპარატისტების მორიგი ცდა—გამოაცხადონ აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად და ფედერაციული კავშირის ფორმით დააკავშირონ იგი საქართველოსთან, გაუმართლებლად გვეჩვენება. საეკლესიო, რომ ჯერ კიდევ აფხაზეთის სს რესპუბლიკის პირველი 1925 წლის 1 აპრილის კონსტიტუციით, რომელმაც სულ 25 თვეს იარსება და რომლის ტექსტი საჯაროდ გამოქვეყნებული არ ყოფილა, აღიარებული იყო, რომ აფხაზეთი რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგანაც აფხაზეთი საუკუნეთა განმავლობაში მიიჩნეოდა როგორც ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილი, რაც ქართველთა ნაციონალურ კონსოლიდაციის შედეგს წარმოადგენდა. ამასთან, მასში მცხოვრები სხვადასხვა ერებისა და ეროვნულ უმცირესობათა მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა შექმნის პირველი დღიდანვე მხოლოდ ნომინალურად ამართლებდა თავის სახელწოდებას.

აფხაზეთის დღევანდელმა ექსტრემისტმა ლიდერებმა ვერ გაითვითცნობიერეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში აფხაზეთისათვის გადაცემული კულტურული და ეკონომიკური უფლებების შნიშვნელობაც. მოხდა პირიქით. გარეშე ძალების წაქეზებით, რომლებსაც არა აფხაზი ხალხის, არამედ აფხაზეთში თავისი ეგოისტური ინტერესები ამოძრავებთ, საქართველოს მთელი ეს ძალისხმევა მისდამი დასაპირისპირებლად იქნა გამოყენებული. ასეთ დროს გაკოტრებული საბჭოთა ავტონომიის მოდელის მსგავსი საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივი ურთიერთობის შემოთავაზებული ვარიანტი კვლავ ღიად სტოვებს საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ბევრ პრობლემას.

დემაგოგიურად გამოიყურება აგრეთვე ზოგიერთი დღევანდელი აფხაზი ლიდერის დაუფარავი ნოსტალგია ყოფილ სსრ კავშირზე. რომელიც მათი მტკიცებით, ეროვნულ უმცირესობათა არსებობის ვითომდა რეალურ გარანტიას წამოადგენდა. ასეთი განცხადებები პოლიტიკური რევერანსებია რეაქციული და კონსერვატორული ძალებისათვის იმ მხარდაჭერის სანაცვლოდ, რომლებიც დღევანდელ რუსეთში შავრაზმული ლოზუნგებით გამოდიან.

საქართველო-აფხაზეთის ფედერაციული კავშირის მოთხოვნას ხელშეკრულების ფორმით არც საერთაშორისო სამართლის პოზიციებიდან აქვს გამართლება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა არ არის საერთაშორისო სამართლის აღიარებული სუბიექტი. ამასთან, მსოფლიო საზოგადოებრიობა დღეს საკმაოდ ფრთხილად ეკიდება ასეთი მცირერიცხოვანი პოლიტიკური წარმონაქმნების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ფორმირებას და მიიჩნევს მას რეგიონებში ქაოსისა და დესტაბილიზაციის პოტენციურ წყაროდ. აფხაზმა ერმა საქართველოს შიგნით სრულად პოლიტიკური ავტონომიის მისაღწევად უნდა

გაიაროს სახელმწიფოებრივი განვითარების გარკვეული ეტაპი. ეთნიკურ ალორძინების გზაზე მდგარი მცირე ერისათვის, რომელიც უნდა ჩაეწეროს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, ეს იქნება მისი განვითარების კანონზომიერი გზა. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ერი და სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის. აფხაზი ერი არაჟ აფხაზეთის სახელმწიფოს ტოლფასი. აფხაზეთი სანამ იგი საქართველოსთან ფედერაციული კავშირის ხელშეკრულების დადებას მოითხოვდეს, უნდა გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნოს თავისი სახელმწიფო წყობილების კონკრეტული ფორმის შერჩევაზე. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ საერთაშორისო სამართალი იურიდიულ პირად სცნობს არა ერს, არამედ მხოლოდ სახელმწიფოს.

თავისთავად ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რუსეთის ფედერაციის გამოცდილება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში მისაბამ მაგალითად არ გამოდგება. საქართველოს პირობებში სახელმწიფო წყობილების ფორმის შერჩევისას უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება ყურადღება ვადავიტანოთ არა სახელმწიფო-პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერებაზე, არამედ მასში მცხოვრები ერების განვითარების ნაციონალურ-კულტურულ პრინციპებზე. ამასთან, საზოგადოებაში უნდა მოქმედებდეს ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი გარანტიების ეფექტიანი სისტემა, რომლის რეალიზაციაში ქმედითი და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა ეროვნების და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმა.

იმედია, რომ საკუთარი ისტორიული გამოცდილების, აგრეთვე მსოფლიო თანამეგობრობის დახმარებითა და ხელშეწყობით საქართველო მოახერხებს შეიმუშაოს თავისი სახელმწიფო წყობილებისა და მართვის ისეთი ოპტიმალური მოდელი, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მიღწევას.



პრიმორე არაგვი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის თებერვლის კონსტიტუცია

შემოსეულ მტერთაგან თავდასაცავად მეფე ერეკლე II იძულებული გახდა მიემართა ჩრდილოეთის ერთმორწმუნე, ძლიერი რუსეთისათვის, რათა ქართველი ერი გადაერჩინა ფიზიკური განადგურებისაგან. ამ მიზნით 1782 წლის 21 დეკემბერს მან გაგზავნა წარდგინება რუსეთის იმპერატორის სახელზე, რითაც იგი მოითხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლას რუსეთის იმპერიის მფარველობაში. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ 1783 წლის 24 ივლისს ქ. გიორგიევსკში დაიდო ტრაქტატი, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველომ (ქართლ-კახეთის სამეფომ) მიიღო რუსეთის პროტექტორატი, ეს ხელშეკრულება ორმხრივ ვალდებულებას ითვალისწინებდა.

ამრიგად, მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრებისაგან დაეცვა, შეენარჩუნებინა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მაგრამ რუსეთმა ტრაქტატის მოთხოვნები დაარღვია და 1801 წლის 18 იანვრისა და 12 სექტემბრის მანიფესტებით ქართლ-კახეთის სამეფო, ხოლო 1810 წლიდან კი იმერეთის სამეფოც შეიერთა მთლიანად. ამით დაიკარგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და იგი გარდაიქმნა რუსეთის ორ გუბერნიად. ეს იყო რუსეთის მხრივ საქართველოს პირველი ანექსია.

177 წლის განმავლობაში საქართველო გმინავდა რუსული ჩეკმის ქვეშ. რუსეთი საქართველოს ყოველმხრივ თრგუნავდა, ლახავდა ქართველი ხალხის პატივსა და ღირსებას, შეურაცხყოფდა მის ზნეობას, ტრადიციებს, ენას, ეკლესიას. ამის გამო საქართველოში არასდროს არ შეწყვეტილა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში დაამხო მეფის ხელისუფლება, რამაც შეება მისცა იმპერიაში შემავალ ხალხებს. მაგრამ რუსეთის დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას არ სურდა ხელიდან გაეშვა იმპერიაში შემავალი ქვეყნები, მათ შორის არც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ამ მიზნით, იმავე წლის 6 მარტს მეფის ნაცვლის მაგიერ „წესრიგის სასწრაფოდ

დასამყარებლად და ამიერკავკასიის მხარის მოსაწყობად“, შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი („ოზაკომი“), ხოლო 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, კერძოდ, 1917 წლის 15 (28) ნოემბერს, ნაცვლად „ოზაკომისა“. შეიქმნა „ამიერკავკასიის კომისარიატი“, კადეტთა ხარლამოვამ შეცვალა სოციალ-დემოკრატიამ ევგენი გეგეჭკორმა.

1918 წლის 10 (23) თებერვალს, ა/კ კომისარიატის მოწვევით, გაიხსნა ა/კ სეიმის სხდომა. მის შემადგენლობაში ძირითადად შედიოდნენ რუსეთში ბოლშევიკების მიერ დათხოვილი დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში ა/კ-იდან შემავალი დეპუტატები, მის თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჩხეიძე. სეიმმა იმავე წლის 22 აპრილს შექმნა „ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა“ და გამოაცხადა მისი დამოუკიდებლობა.

ა/კ ფედერაციულმა რესპუბლიკამ იარსება დაახლოებით 1 თვე და 4 დღე. იგი სეიმმა 1918 წლის 26 მაისს დღის 3 საათზე დაშლილად გამოაცხადა. დაიშალა აგრეთვე ამ ფედერაციის შემქმნელი სეიმი, რომელიც არსებობდა სამთვე ნახევარს — 1918 წ. 10 თებერვლიდან იმავე წლის 26 მაისამდე, ა/კ-ის ფედერაციული რესპუბლიკა დაიყო სამ რესპუბლიკად.

1917 წლის 19-22 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა (გარდა ბოლშევიკებისა) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების კრება (ეროვნული ყრილობა), რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო (თავმჯდომარე ნოე ჟორდანია). სწორედ ამ ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს დღის 5 საათსა და 10 წუთზე გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ აქტით „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“, „დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“, „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“ და სხვა. სულ კი ეს აქტი 7 მუხლისაგან შედგებოდა.

აქტის ბოლო მუხლში ჩაწერილი იყო, რომ „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელს საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო...“, რომელსაც შემდეგში ეწოდა საქართველოს პარლამენტი.

დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 14-16 თებერვალს. მრავალპარტიული საარჩევნო სისტემის შედეგად მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ.

დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქნა 1919 წლის 12 მარტს, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის იურიდიული განმტკიცების მიზნით 16 მარტს აირჩია საკონსტიტუციო კომისია 16 კაცის შემადგენლობით (თავმჯდომარე პ. საყვარელიძე). იმავე წლის 19 მარტს ჩატარდა საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა, ხოლო 1920 წლის 4 ივლისს ვაზ. „ერთობის“ (№ 149) ფურცლებზე გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ „გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში საქართველოს კონსტიტუციის პროექტი შედგენილი და გამოცემული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ“.

დამფუძნებელი კრების მთავარი ამოცანა იყო საქართველოს პირველი კონსტიტუციის პროექტის განხილვა-დამტკიცება. ეს პროცედურა დაიწყო

1920 წლის 24 ნოემბერს და დამთავრდა 1921 წლის 5 იანვარს, 16 იანვრის
დან კი დაიწყო მისი დეტალური (თავების მიხედვით) განხილვა.

შედარებით სრულყოფილად განიხილეს პროექტის დასაწყისი (I-IV) თავები.

1921 წლის იანვრის ბოლოდან დამფუძნებელი კრების ორგანიზებულად მუშაობა შეუძლებელი შეიქნა. ქვეყანაში იცვლება სიტუაცია, რუსეთი არ თმობს საქართველოს. მაგრამ იძულებულია 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან დადოს ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერდნენ ლევ კარახანი და გრიგოლ ურუტაძე.

ხელშეკრულების დადებით რუსეთმა სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რითაც მან უარი თქვა საქართველოს მიმართ წინათ არსებულ უფლებებზე.

ხელშეკრულება შედგება 16 მუხლისაგან. მის პირველივე მუხლში მითითებულია, რომ „რუსეთი ყოველი პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას და თავისი ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ“.

შემდეგ ხელშეკრულებაში ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ რუსეთი ვალდებულია ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე, ხელშეკრულებით ასევე აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული საზღვრები და ა. შ.; ბოლო, მე-16 მუხლით კი მოწინეულია, რომ სხენებული ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით ხელის მოწერის მომენტიდან და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია.

მართალია, ხელშეკრულების რატიფიცირება საჭიროდ არ იქნა მიჩნეული, მაგრამ მისი დენონსირების გარეშეც რუსეთის მხრივ ხელშეკრულება უხეშად იქნა დარღვეული და დაიწყო წითელი არმიის შემოტევა საქართველოს დასაპყრობად.

აი, სწორედ ამ ახალი სიტუაციის შედეგად შენეულა კონსტიტუციის პროექტის დეტალური განხილვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაზე. მაგრამ მისი განხილვა მაინც არ შეწყვეტილა, რის შედეგადაც პროექტი დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს.

კონსტიტუციის პროექტი შედგებოდა 166 მუხლისაგან, კონსტიტუცია კი — 149 მუხლისაგან.

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს დადებულმა ხელშეკრულებამ იარსება 295 დღე. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თბილისი დატოვა 1921 წლის 23 თებერვალს და გიზი აიღო ბათუმისაკენ. სწორედ ამ ქალაქში ნ. ი. ხვინგიას სტამბაში დაიბეჭდა „საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21“.

მართალია, წითელი არმიის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის დაკავების შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა; მაგრამ ბრძოლები დასავლეთ საქართველოში გრძელდებოდა. საქართველოს მთავრობა კი საფრანგეთში გაიქცა. ამროგად, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წინააღმდეგობა შეწყვიტა. მაგრამ მას ხელი არ მოუწერია კაპიტულაციას.



1921 წლის 17 მარტს, ბათუმიდან გამგზავრების წინ ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ბოლო სხდომა, სადაც მიიღეს დადგენილება საქართველოს კონსტიტუციის დროებით შეჩერების შესახებ. ეს „დროებითი“ კი, სამწუხაროდ, 70 წელი აღმოჩნდა.

როგორია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის სისტემა და შინაარსი?

წინასწარ უნდა ითქვას, რომ დასახელებული კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში. მათგან მრავალი ძირითადი იდეა, საკონსტიტუციო კომისიის წევრების განცხადებით, გადმოღებულია უმთავრესად შვეიცარიის, აგრეთვე სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებიდან და შეთავსებულია საქართველოს სინამდვილესთან.

კონსტიტუცია სისტემის მიხედვით შედგება პრეამბულისა („საქართველოს დამოუკიდებლობა“), საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა და უშუალოდ ტექსტისაგან, რომელიც მოიცავს 17 თავსა და 149 მუხლს.

პროექტისა და კონსტიტუციის ტექსტებს შორის სხვაობა 17 მუხლია. მათგან პროექტის პირველივე თავიდან („ზოგადი დებულებანი“) ამოღებულია 3 (მე-2, 7, 13) მუხლი.

პროექტის II თავი — „მოქალაქეობა“ ოთხი (15-18) მუხლისაგან შედგებოდა და იგივე ოდენობის (12-15) მუხლებით დამტკიცდა კონსტიტუციაშიც. ოღონდ მასში არსებითი ცვლილებების შეტანით, იმის გათვალისწინებით, რომ „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია“ (მუხ. 8) და ამიტომ მასში არ უნდა ჩაწერილიყო დეტალები (იხ. პროექტის მე-15, 16 და 18 მუხლები), რომლითაც წინასწარ იყო ჩამოთვლილი წარმოშობისა და ნატურალიზაციის წესის მიხედვით მოქალაქეობის მინიჭების პირობები. ამის ნაცვლად კონსტიტუციის მე-12 მუხლით ზოგადად განისაზღვრა, რომ „საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით“, ხოლო მე-15 მუხლში კი ჩაიწერა მითითებითი ხასიათის ნორმა, რომ „მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის პირობებს დაწვრილებით კანონი განსაზღვრავს“. რაც შეეხება ორმოქალაქეობის საკითხს, აქ თითქმის უცვლელად არის დანერგებული პროექტით გათვალისწინებული დებულება, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლება იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქე“ (მუხ. 17).

კონსტიტუციის პროექტის მე-3 თავია „მოქალაქის უფლებანი“, რომელსაც ეთმობა 19-51 მუხლები, ე. ი. სულ 33 მუხლი. კონსტიტუციაში კი დამტკიცდა 16-45 მუხლები, ე. ი. 3 მუხლით ნაკლები და ა. შ.; საბოლოოდ თუკიდევ მომდევნო თავებში რომელი მუხლები შემცირდა და რატომ, აგრეთვე რა ცვლილებები განიცადა ცალკეულმა მუხლებმა კონსტიტუციის პროექტის განხილვა-დამტკიცებისას დამფუძნებელ კრებაზე, ამის შესწავლა არქივებიდან მომავალში უფრო გაადვილდება. რადგან დღეისათვის ამ საქმეს ტაბუ ახსნილი აქვს. ამასთან, ეს ცალკე ცვლევების საკითხიც არის და წინამდებარე პატარა წერილით ამ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ.

1921 წლის კონსტიტუციის დემოკრატიული ხასიათი მის სისტემაშივეა ჩაქსოვილი, მაგრამ ამას უყვით ადასტურებს მისი შინაარსობრივი შესწავლა.

კონსტიტუციის პირველ თავში დაკანონებულია, რომ საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და

უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა (მუხ. 1).

ათასობით წლების მანძილზე საქართველო მონარქიული სახელმწიფო იყო და მისი ბირველი კონსტიტუციით. ბაგრატიონთა ხელისუფლების ნაცვლად, შეიქმნა ჰარლამენტი, დემოკრატიული რესპუბლიკა. კონსტიტუციაში სახელმწიფოს ტიპის საკითხი გადაწყვეტილი არ არის. მითითებულია, რომ დაუშვებელია სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყოფა. კონსტიტუციით რესპუბლიკის ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა წარმოებს მხოლოდ კანონმდებლობის წესით. აქვე მითითებულია, რომ „საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა“ (მუხ. 3).

საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიულ თვისებებზე განსაკუთრებით მიუთითებს კონსტიტუციის ის ნაწილი, რომელიც ეხება მოქალაქის უფლებებს (თავი მე-3). ეს უკანასკნელი შეიცავს 30 მუხლს. მაგრამ ამით არ მთავრდება კონსტიტუციაში მოქალაქეთა უფლებებზე მსჯელობა. მაგალითად, კონსტიტუციის 27-ე მუხლით დაკანონებულია მოქალაქეთა სინდისის თავისუფლება და ამავე საკითხს ეთმობა ამავე კონსტიტუციის მე-16 თავი — „სახელმწიფო და ეკლესია“.

„...პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით“ — ნათქვამია მოქალაქეთა უფლებების შესახებ თავში (მუხ. 36). მაგრამ, კიდევ უფრო კონკრეტულად არის ამის თაობაზე ლაპარაკი კონსტიტუციის მე-12 თავში „სწავლა-განათლება და სკოლა“ (მუხ. 109-112), ხოლო სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ ცალკე, მე-13 თავია (მუხ. 113-128) გათვალისწინებული. ეს იმას ნიშნავს, რომ დასახელებული კონსტიტუცია ძალიან ფართოდ წარმოგვიდგენს მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობას, რაც დამახასიათებელია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებელი ქვეყნისათვის.

1921 წლის კონსტიტუციისათვის დამახასიათებელია მოქალაქეთა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებათა დამდგენ ნორმათა არსებობა. იგი უაღრესად ჰუმანური აქტია, მის მე-19 მუხლში ფიქსირებულია, რომ „სიკვდილით დასჯა გაუქმებულია“.

პროცენების ხელშეუხებლობა (მუხ. 22), ბინის ხელშეუხებლობა (მუხ. 28), სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის უფლება (მუხ. 32), პეტციის შედგენის უფლება (მუხ. 37) და ა. შ. გარანტირებულია. მაგრამ როგორც წესი, ძირითად კანონში დეტალურად ყველა საჭირო გარანტიაზე კონკრეტულად მითითებული არ არის. მაგრამ აღნიშნულია, რომ „კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია, და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან“ (მუხ. 45).

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციაში არ არის სპეციალური ცალკე თავი მოქალაქეთა მოვალეობათა შესახებ. ეფიქრობთ, რომ მათი გათვალისწინება უნდა მოხდეს ასევე „კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპების“ შესაბამისად.

კონსტიტუციის რიგ მუხლებში მოქალაქეთა ვალდებულებებზე უშუალოდ არის ლაპარაკი. მაგალითად, მე-40 მუხლით „ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი უფლებიანი და მოვალეობითი თანასწორნი არიან“. ასევე კონ-

სტიტუციით „ყოველი მოქალაქე რესპუბლიკის ვადლებულია პარლამენტში მისი სახელმწიფო ხელისუფლების სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად“ (მუხ. 94) და ა. შ. როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია კონსტიტუციის გარეგან, ფორმალურ მხარეზე, მის სისტემაზე, რომ მასში არ არის შეტანილი ცალკე სპეციალური თავი მოქალაქეთა მოვალეობათა შესახებ, რაც შეეხება პრინციპს, რომ არ არსებობს მოქალაქეთა უფლებები მოვალეობათა გარეშე და პირიქით, ეს პრინციპი, აქ, რასაკვირველია, დაცულია.

კონსტიტუციის მომდევნო თავები შეეხება სახელმწიფო ხელისუფლებას, მმართველობისა და მართლმსაჯულების ორგანოებს, სახელმწიფო ძალაუფლების სამად დაყოფა ეყრდნობა უფლებრივი სახელმწიფოს იმ მიზანდასახულებას, რომ სახელმწიფოში აღკვეთილი უნდა იყოს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, რადგან ეს სამი დედაბოძი „ერთმანეთისაგან გამოყოფილია და ამავე დროს ერთმანეთისა და საზოგადოებრივი, მთელი ხალხის კონტროლის ქვეშაა“ (ვან, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 21 თებერვალი).

სახელმწიფოს მთავარ დედაბოძს — პარლამენტს ეთმობა კონსტიტუციის მეოთხე თავი, 46-ე მუხლით, საქართველოს პარლამენტი არის რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ირჩევა სამი წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის შესაბამისად. მის დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს „სქესის განურჩევლად ყოველ სრულწლოვანი მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია“.

კონსტიტუცია განსაზღვრავს როგორც ცალკეულ დეპუტატთა (მუხ. 48, 49, 50, 51 და ა. შ.), ისე თვით პარლამენტის იურიდიულ უფლებამოსილებას (მუხ. 52, 53, 54 და ა. შ.).

პარლამენტს გააჩნია თავისი პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობასაც თვით პარლამენტი ირჩევს ყოველწლიურად.

პარლამენტი გამოსცემს კანონებს, დეკრეტებსა და დადგენილებებს. პარლამენტის ძირითადი ფუნქციაა კანონმდებლობა, აგრეთვე „საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა“.

კონსტიტუციის ამ თავში მთავარი მიზნც ის არის, რომ ქვეყანაში ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას“ (მუხ. 52).

ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — პარლამენტი თავისი შექმნის შემადგენლობის, მოქმედების წესებისა და ფუნქციათა მიხედვით უაღრესად დემოკრატიული ხასიათისაა. აქ არ არის დავიწყებული არც რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობა და არც დეპუტატის ხელშეუხებლობა, კონსტიტუციით გათვალისწინებულია, რომ „პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს“ (მუხ. 48).

კონსტიტუციის მეხუთე თავია „აღმასრულებელი ხელისუფლება“, კონსტიტუციით მიჩნეულია, რომ „უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას“ (მუხ. 66). მთავრობა შედგება თავის წევრთაგან — მინისტრებისაგან, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი კონკრეტული სახელწოდება — „მინისტროთა კაბინეტი“ კონსტიტუციით დაკა-

ნონებული არ არის, შევნიშნავთ, რომ სიტყვა „კაბინეტი“ ერთხელ მაინც არის დასახელებული კონსტიტუციაში (მუხ. 73).

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, მაგრამ, ასევე საყოველთაოდ მიღებული სახელწოდება — „პრემიერ-მინისტრი“ აქ დასახელებული არ არის. ალბათ, ეს გამოთქმები თავისთავად იგულისხმებოდა.

მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით, ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ, მთავრობის წევრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ. მათ შორის იმათგანაც, რომელნიც პარლამენტის წევრნი (დეპუტატები) არიან.

კონსტიტუციით გათვალისწინებულია მთავრობის თავმჯდომარის (მუხ. 70) და თვით მთავრობის (მუხ. 72) უფლებამოსილება, აგრეთვე დაკანონებულია მთავრობის წევრთა შორის რესპუბლიკის საქმეთა მართვა-გამგეობის დანაწილების შესაძლებლობა, რომელთაგან „თვითეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაპყარგავს მის ნდობას“ (მუხ. 73).

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით პრეზიდენტის თანამდებობა გათვალისწინებული არ არის. მართალია, მთავრობის თავმჯდომარისათვის გათვალისწინებულია, რომ მას ენიჭება „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა“, რომ იგი ნიშნავს ელჩება სხვა სახელმწიფოებში, ხოლო უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან და ა. შ., მაგრამ მისი მოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ პარლამენტისადმი ქვემდებარეობაში. მას უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს ან მისი შესრულება დააბრკალოს (მუხ. 70). მთავრობის თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება იმის გარდა, რაც კონსტიტუციით არის მიკუთვნებული (მუხ. 70).

მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, იგი „ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას“... (მუხ. 73). პარლამენტს, კონსტიტუციის დარღვევისათვის, სასამართლო პასუხისგებაში შეუძლია მისცეს როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ისე მთავრობის წევრნი. კონსტიტუციით გათვალისწინებულია, რომ მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის წევრთა გასამართლება საერთო წესით წარმოებს, სასამართლოს განახენი კი „...არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებლობის, აღმასრულებელ ან ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ“ (მუხ. 79).

სასამართლო ორგანოები დემოკრატიული (არჩევითი) ვზით ყალიბდებიან და განუკუთვნებიათ განსაკუთრებული უფლებამოსილება, ისინი დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. ამ საკითხს ეთმობა კონსტიტუციის მეექვსე თავი (მუხ. 76-83).

ხალხისადმი დაქვემდებარებული სახელმწიფოს დასახელებული სამი ძირითადი ორგანო მოქმედებენ ამგვარად, რომ ისინი არ კარგავენ დამოუკიდებლობას და მოქმედებაში აწონასწორებენ ერთმანეთს — აი, ასეა დაკული ერთ-ერთი ძირითადი დემოკრატიული პრინციპი ამ კონსტიტუციით.

გარდა განხილული თავებისა კონსტიტუციაში მოცემულია აგრეთვე სხვა

მნიშვნელოვანი თავებიც — „სახელმწიფო და ფინანსები“, „სახელმწიფო კონსტიტუციის ტროლი“, „სახელმწიფო თავდაცვა“; „ადგილობრივი თვითმმართველობა“, „სწავლა-განათლება და სკოლა“; „სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“, „სახელმწიფო და ეკლესია“ და ა. შ. (სულ, როგორც ითქვა, 17 თავი), მათ შორის ჩვენთვის დღეისათვის კიდევ უფრო მეტად საინტერესო თავებიც, კერძოდ „ავტონომიური მმართველობა (თავი მე-11) და „ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი“ (თავი მე-14), მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ერთ წერილში ყველა მათ შესახებ შეჩერება შეუძლებელი ხდება, რადგან ეს თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები ცალკე კვლევის სფეროს მიეკუთვნება.

კონსტიტუციის ბოლო (მე-17) თავია „კონსტიტუციის გადასინჯვა“. მისი მნიშვნელობა იმაშია, რომ ამ კონსტიტუციას მიღებიდან 70 წლის შემდეგ ცხოვრებისეული ხასიათის ცვლილებათა შეტანა მასში აუცილებელი ხდება, ცვლილებათა შეტანის წესი კი კონსტიტუციაში მზამზარეულად გაგვაჩნია (მუხ. 145, 147), რომლის მიხედვითაც კონსტიტუციის „საზოგადო ან ნაწილობრივი“ გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს: ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არა ნაკლებსა და ბ) 50 000 ამომრჩეველს. ხოლო პროექტი მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მიერ დადასტურების შემდეგ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მაშინდელ მთავრობას კაპიტულაცია არ მოუხდენია, კონსტიტუცია არავის არ გაუუქმებია, მისი მოქმედება გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეჩერდა. განვლილი 70 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველოში ოთხი კონსტიტუცია იქნა მიღებული (1922 წლის 2 მარტს, 1927 წლის 4 აპრილს, 1937 წლის 13 თებერვალს და 1978 წლის 15 აპრილს). დღეისათვის ყველა ეს დოკუმენტი ისტორიის კუთვნილებაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საქართველოს მეოთხე კონსტიტუციას ჩვენ შედარებით ძნელად გამოვეთხოვეთ. რა შეიძლება ვუწოდოთ საქართველოს არსებობის იმ პერიოდს, როცა საბჭოთა ხელისუფლება ფაქტობრივად დაემხო (1990 წლის 28 ოქტომბერს) და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია კი სახელწოდების შეცვლით ძალაში დარჩა. მართალია, დასახელებულ კონსტიტუციაში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი, მაგრამ მისი ძირითადი სტრუქტურები უცვლელი რჩებოდა. ალბათ, „მრგვალ მაგიდას“ მეტი არც მოეთხოვებოდა. პრეზიდენტის დიქტატი და დემოკრატია ერთმანეთს აღარ ეგუებოდა...

1992 წლის 21 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ მიიღო დეკლარაცია, რომლითაც გაუქმდა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუცია და აღდგენილ იქნა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. დეკლარაციაში ჩაწერილია, რომ „1. საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის ამოქმედებას დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1992 წლის 25 თებერვალი).

2008

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ 1992 წლის 24 თებერვალს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში კანონმდებლობის მოქმედების შესახებ“. ამ დოკუმენტის მიხედვით „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობისა და დღევანდელი რეალების გათვალისწინებით მისი ამოქმედების აღიარებასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო ადგენს: 1. მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს დღემდე არსებული კანონმდებლობა, გარდა მისი იმ ნაწილისა, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს...“

როგორც ცნობილია, ამ დადგენილებების მიღებიდან მოკლე დროის განმავლობაში, კერძოდ, 1992 წლის 10 მარტს სამხედრო საბჭომ შექმნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო და მოახდინა თავისი თავის თვითლიკვიდაცია (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შექმნისა და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს უფლებამოსილებათა შეწყვეტის შესახებ“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 11 მარტი).

როგორ უნდა გავიგოთ საქართველოში 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედება და რა არის ამჟამად შესასრულებელი იურიდიული გაგებით? აქ მეტაფიზიკა გამორიცხულია. აღდგენილია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციური პრინციპები, გათვალისწინებულია მისი აღდგენის პირობა — „საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად...“ აღდგენილია იგი „დღევანდელი რეალობის“, „დღევანდელი რეალების“ გათვალისწინებით. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა შემუშავდეს ახალი კონსტიტუციის პროექტი რესპუბლიკის დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით და მასში აისახოს დღეს მოქმედი (ე. ი. 1921 წლის 21 თებერვლის) კონსტიტუციური პრინციპები. ყველა ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს რესპუბლიკის ახლადარჩეულმა პარლამენტმა.

საქართველოს
ემონსული
ბიბლიოთეკა

აკოლონ ფალიაშვილი

საჭიროა სრულიად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ახალი კოდექსების შემუშავებელი კომისიები. ერთ-ერთ ასეთ კომისიას დაევალა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მომზადება.

დღეისათვის მოქმედი საპროცესო კოდექსი, რომელიც მიღებულია 32 წლის წინათ, უამრავი ცვლილებების მიუხედავად ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. მომავალ საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულ უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაცია, პუბლიკური საწყისები, პროცესის მონაწილეთა გარანტიები, პროცესუალური მეცნიერების მიღწევები, ახალი საპროცესო კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს აგრეთვე საერთაშორისო დეკლარაციებსა და პაქტებს, კერძოდ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ „ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დეკლარაციას“ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ხასიათის სამართლებრივ ნორმებს.)

ახალი საპროცესო კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებით უკვე გამოთქვით ჩვენი მოსაზრებები, გამოძიების რეფორმასა და სრულყოფაზე წინამდებარე სტატიის კი შევეხებით სამართალწარმოების სხვა საკითხებს.

1. საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი საპროცესო კოდექსი (მუხლი 2) განსაზღვრავს სამართალწარმოების ამოცანას, რომელიც თანამრად ეხება როგორც გამოძიების ორგანოებს, ისე სასამართლოს, ამ მუხლის შესაბამისად, სასამართლოს ამოცანაა მოახდინოს დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება. აღნიშნული ამოცანა სასამართლოსათვის ატარებს მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს და იგი არასდროს არ განხორციელდება პრაქტიკაში. დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება შედის გამოძიების უფლებამოსილებაში, რომელიც ახორციელებს პროცესში ბრალდების ფუნქციას. სასამართლოს კი ეკისრება საქმის არსებითი განხილვისა და გადაწყვეტის ფუნქცია. მაშასადამე, ახალ საპროცესო კოდექსში უნდა მოხდეს სამართალწარმოების ამოცანის დიფერენციაცია სასამართლოსათვის და გამოძიების ორგანოებისათვის ან ჩამოყალიბდეს სამართალწარმოების ამოცანა

ზოგადად, ისე რომ სასამართლოს არ დაეკისროს ბრალდების ფუნქციის განხორციელება.

2. პროცესუალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა დაყენებული საკითხი იმის შესახებ, თუ რომდენად შეესაბამება სასამართლოს უფლებამოსილებას ისეთი საბრალდებო ფუნქციის შესრულება, როგორცაა: საბრალდებო დასკვნის ჩამატება განსასჯელისათვის, საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნება სასამართლო გამოძიების დასაწყისში ან მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმოდ ფორმის გამოყენების დროს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და პირის ბრალდებულად ცნობა, აღნიშნული მოქმედების შესრულება სასამართლოს დაყენებს საბრალდებო ფუნქციის განხორციელებელ ორგანოს როლში, რაც არ შეესაბამება მართლმსაჯულებას და მოქმედებს საბრალდებო დასკვნა პირის გამოძიების პროცესუალური დოკუმენტი და იგი უნდა ჩააბაროს ბრალდებულს პროკურორმა ან გამომძიებელმა პროკურორმა უნდა გააქვეყნოს სასამართლოში საბრალდებო დასკვნა (მისი არ ყოფნის შემთხვევაში — სასამართლო სხდომის მდივანმა), რადგან პროკურორის ეკისრება ბრალდების წაყენებისა და ბრალდებო ფუნქციის განხორციელება სასამართლოში, უნდა შეიცვალოს აგრეთვე მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმოდ ფორმის გამოყენების დროს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და პირის ბრალდებულად ცნობის ფუნქცია, ამ საკითხების გადაწყვეტა უნდა დაევალოს მომკვლევ პირს, გამოძიებელს ან პროკურორს, რომლებსაც კანონი აკისრებს ბრალდების ფუნქციის განხორციელებას.

3. გადახედვას, სრულყოფას და ახალი პრინციპების ჩამოყალიბებას მოითხოვს თანამედროვე სამართალწარმოება. საპროცესო კანონმდებლობას უნდა დაემატოს ისეთი ახალი პრინციპები, რაც გამოძინარეობს მოქალაქეთა უფლებების სერთაშორისო დეკლარაციებიდან და პაქტებიდან. ამასთან ერთად შენარჩუნებული უნდა იყოს ის პროცესუალური პრინციპები, რაც ასახულია მოქმედ საპროცესო კოდექსში და შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. პროცესუალურ ლიტერატურაში და უკვე მომზადებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტებში გათვალისწინებულია სამართალწარმოების მთელი რიგი ახალი პრინციპები.

დამოკიდებულზე ახალ პრინციპად უნდა იყოს აღიარებული კანონიერების პრინციპი, რომლის თანახმადაც, სამართალწარმოების ორგანოს ყველა თანამშრომელი (მომკვლევ, გამოძიებელი, პროკურორი, მოსამართლე), აგრეთვე პროცესის სხვა სუბიექტები თანაბრად არიან ვალდებული დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, შტატიცედ და განუხრელად შეასრულონ საპროცესო, სისხლის სამართლისა და სხვა კანონების მოთხოვნები. კანონიერების პრინციპის შინაარსში შეტანილია უნდა ითხოვოს ის, რომ კანონის მოთხოვნათა დარღვევა გარდაუვლად იწვევს პასუხისმგებლობას და ყოველი შტატიცებულმა, რომელიც მოპოვებულია კანონისწინააღმდეგო გზით ან კანონის მოთხოვნათა დარღვევით არ დაიშვება სისხლის სამართლის პროცესში, ამ უკანასკნელ დებულებას სამართლიანად შეიცავს, მაგალითად, ამერიკის მეგობრული შტატების საპროცესო კანონმდებლობა.

ცალკე პრინციპად უნდა გამოყალიბდეს და დაზუსტდეს საქაროების პრინციპი, რომლის თანახმადაც, მომკვლევ, გამოძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან გამოიჩინონ ინტეგრაცია და აღიარონ სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის წიშნების ყველა შემთხვევაში, მიიღონ კანონით გათვალის-



წინებული ყველა ზომა დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებაში, აგრეთვე მისი რეაბილიტაციის მიზნით, კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებზე სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე ან პროკურორის ინიციატივით. საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე უნდა გაუქმდეს საპროცესო კოდექსის მე-91 მუხლი, რომლის თანახმადაც, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დაშვებულია მასალების გადაცემა საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელად. ასეთი გამონაკლისი ეწინააღმდეგება საჯაროობის პრინციპს.

ახალ და დამოუკიდებელ პრინციპად უნდა იყოს განხილული პიროვნების ღირსების პატივისცემა, რომლის თანახმადაც მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო ვალდებულნი არიან პატივი სცენ და დაიცვან პიროვნების ღირსება. პიროვნების მიმართ აკრძალული უნდა იყოს მუქარის, ფიზიკური, ფსიქიკური ძალადობის გამოყენება ან ისეთი მოქმედების შესრულების დაკისრება, რაც შეფრაცხოფს პიროვნების ღირსებას, საშიშია მისი ან სხვა პირების ჯანმრთელობისათვის, აყენებს მას ფიზიკურ და მორალურ ტანჯვას, ახმაურებს მის ოჯახურ და ინტიმურ საიდუმლოებას. პიროვნების ღირსება დაცული უნდა იყოს დაკავებისა და დაპატიმრების შემთხვევაშიც.¹

პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა განხილულ უნდა იყოს, როგორც სამართალწარმოების ცალკე, დამოუკიდებელი პრინციპი. ამ პრინციპის არსი იმაში გამოიხატება, რომ სამართალდამცავი ორგანოს ყველა თანამშრომელი თანაბრად არის ვალდებული, დაიცვას სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირების კანონიერი უფლებები და ინტერესები, აგრეთვე მათი თავისუფლება.

ზიანი, რომელიც პიროვნებას მიაყენეს მისი უფლებებისა და თავისუფლების უკანონო შეზღუდვით, მთლიანად უნდა იყოს ანაზღაურებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ცალკე პრინციპებად უნდა იყოს აღიარებული და ჩამოყალიბებული პიროვნების ხელშეუხებლობა, ბინის ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და ტელეფონით საუბრის საიდუმლოება.

ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამოუკიდებელ პრინციპად უნდა იყოს განხილული პიროვნების იმუნიტეტის პრინციპი, რომლის თანახმადაც, სამართალწარმოების დროს არავის არა ჭკვს უფლება აიძულოს პირი მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ. დღეისათვის მოწმის (დაზარალებულის) იმუნიტეტი კანონით არ არის გათვალისწინებული, რაც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1966 წლის 19 დეკემბრის „საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ (მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი).¹

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის თეორიული მოდელის ავტორებს, რომლებმაც დამოუკიდებელ პრინციპად ჩამოყალიბეს პროცესუალური მოქმედების და გადაწყვეტილების გასა-

¹ ან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 76-ე პლენუმის სხდომაზე, 1988 წ. 9 დეკემბერს დაბეჭდილი „უველა დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა, რა სახითაც არ უნდა იყოს იგი, დაცვის პრინციპების კრებული“. «Советская юстиция», 1992. №6, с. 20-20.

ჩივრების თავისუფლება². პროცესის მონაწილეთა უფლებების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ერთ-ერთი რეალური ვარიანტი იქნება გასაჩივრების თავისუფლების აღიარება დამოუკიდებელ პრინციპად.

ცალკე და დამოუკიდებელ პრინციპად უნდა ჩამოყალიბდეს ახალ საპროცესო კოდექსში საზოგადოებრიობის მონაწილეობა სამართალწარმოებაში, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების დადგენა და მათი აღმოფხვრისათვის ზომების აუცილებელი მიღება.

ქვეშარტების დადგენა სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს მტკიცების მიზანს და მთელი სამართალწარმოების ქვაკუთხედს. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ კანონის განუხრელი და მტკიცე დაცვის საფუძველზე დადგინდეს დანაშაულის ჩადენის და მასთან დაკავშირებული ფაქტები და გარემოებანი ისე, როგორც მათ სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. სწორედ ამიტომ აუცილებელია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ახალ და დამოუკიდებელ პრინციპად იყოს აღიარებული ქვეშარტების პრინციპი.

[საქართველოს რესპუბლიკის ახალ საპროცესო კოდექსში დამოუკიდებელ პრინციპად უნდა აღიარდეს მართლმსაჯულების განხორციელების დროს შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც ეფუძნება სამართალწარმოების დროს ფუნქციების (ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის) ერთმანეთისაგან მტკიცე გამოჩვენას და ამ ფუნქციების ერთ პიროვნებაში (მოსამართლე, დამცველი, სახელმწიფო ბრალდებელი) შეუთავსებლობას, ამ პრინციპის თანახმად, პროცესის ყოველ მონაწილეს სასამართლოში მინიჭებული აქვს თანაბარი უფლებები მტკიცებულებათა წარდგენაში და მათ გამოკვლევაში, საკუთარი აზრის გამოთქმაში, შეამდგომლობათა აღძვრასა და კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გასაჩივრებაში. ამ პრინციპიდან გამომდინარე, პროკურორს არ უნდა ჰქონდეს უფლება ზედამხედველობა განახორციელოს სასამართლოში საქმის განხილვის კანონიერებაზე და სასამართლოში წამოჭრილ საკითხებზე გააკეთოს დასკვნა.

შეჯიბრებითობის პრინციპის აღიარება და მისი რეალური დაცვა სასამართლოში საქმის განხილვა-გადაწყვეტის დროს ქმნის მაქსიმალურად ნორმალურ პირობებს საქმის ყოველმხრივი, სრულყოფილი, ობიექტური განხილვისათვის, ქვეშარტების დასადგენად და პროცესის მონაწილეთა უფლებების რეალურ განხორციელების სფეროში. ანალიზს მოითხოვს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია თანამედროვე პირობებში შეჯიბრებითობის პრინციპის აღიარება გამოძიების დროს და არსებობს თუ არა რეალური პირობები ამ პრინციპის განხორციელებისათვის, აღნიშნული საკითხი დაყენებულია პროცესუალურ ლიტერატურაში³.

აუცილებელია ახალ საპროცესო კოდექსში ცალკე და დამოუკიდებლად იყოს ასახული უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპი, რომლის თანახმადაც, ყოველი ბრალდებული (ექვემოტანილი) ითვლება უდანაშაულოდ სანამ მისი ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში არ იქნება დამტკიცებული კანონით დადგენილი წესით ან სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენით, რომელიც კა-

² Уголовно-процессуальное законодательство Союза ССР и РСФСР (теоретическая модель), М., 1969, с. 58.

³ Горя Н., Принципы состязательности и функции защиты в уголовном процессе «Советская юстиция», 1990, № 7, с. 22 - 23.

ნორიერ ძალაშია შესული. ამ კონსტიტუციური დებულებების გარდა უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს აგრეთვე იმასაც, რომ მტკიცებულების მოვალეობა სისხლის სამართლის პროცესში აწევს იმ პირს, ვინც ბრალს დებს და არა ბრალდებულს; რომ სასამართლოს განჩინები (საბრალდებო დასკვნა) უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურად დადგენილ მტკიცებულებებს და არა საექვო და სავარაუდო ფაქტებს; რომ ყოველგვარი ეჭვი და ვარაუდი, უნდა გადაწყდეს ბრალდებულისა და განსასჯელის სასარგებლოდ⁴.

მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში მტკიცებულებათა გამოკვლევის უშუალობა და ზეპირობა დაკავშირებულია სასამართლოში საქმის განხილვასთან. თანამედროვე პირობებში სამართლიანად არის დაყენებული საკითხი, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის უშუალობა და ზეპირობა განხილულ იყოს, როგორც მთელი სამართალწარმოების დამოუკიდებელი და ახალი პრინციპი⁵.

ასევე საჭიროა სამართალწარმოების დამოუკიდებელ და ახალ პრინციპად იყოს აღიარებული პროცესის მონაწილეთა უფლებების უზრუნველყოფა, რომელიც დააკისრებს მომკვლევ პირს, გამოძიებულს, პროკურორსა და სასამართლოს ვალდებულებას არა მარტო განუმარტონ პროცესის მონაწილეებს უფლებები, არამედ შექმნან რეალური პირობები ამ უფლებათა განხორციელების მიზნით და უზრუნველყონ იგი. ეს საკითხი სწორად არის გადაწყვეტილი ლიტერატურაში⁶.

მიზანშეწონილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მომავალ საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბდეს ისეთი დამოუკიდებელი და ახალი პრინციპი, როგორცაა ოპერატიულობის პრინციპი. ეს პრინციპი სხვადასხვა დასახელებით („სისწრაფის პრინციპი“, „პროცესუალური ეკონომიის პრინციპი“, „გონივრული ვადა“, „გაჭიანურების გარეშე“) თავის ასახვას პოუვებს არა მარტო პროცესუალურ კანონმდებლობაში (იუგოსლავია, რუმინეთი, პოლონეთი), არამედ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში (1966 წ. 19 დეკემბერი). ამ დოკუმენტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირს გონივრული ვადის მანძილზე უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოში საქმის გარჩევა, მე-14 მუხლში (პუნქტი 3) მითითებულია, რომ ბრალდებულს (განსასჯელს) უფლება აქვს მოითხოვოს „ვაასამართლონ გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე“.

ოპერატიულობის პრინციპი იმაში გამოიხატება, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას დაეთმოს მინიმალური დრო, რომ ეს დრო რაციონალურად იყოს გამოყენებული. ამავე დროს აღნიშნული პრინციპი გავლენას არ უნდა ახდენდეს საქმის სრულყოფად, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოძიება-განხილვაზე, კანონების დაცვასა და ქვეშაირიტების დადგენაზე.

4. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან უშუალოდ არის დაკავშირებული მოქმედი საპროცესო კოდექსის ისეთი ნორმები, რომლებიც ეხება გამოძიების პროცესში პირის ბრალდებულად ცნობას და მის გადაცემას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი (მუხლები 7-9) ან ასეთი გადაწყვე-

⁴ Бедняков Д. И., Некоторые аспекты судебной-правовой реформы в РСФСР, «Советское государство и право», 1992, № 1, с. 33-34.
⁵ Уголовно-процессуальное законодательство СССР и РСФСР (теоретическая модель), М., 1989, с. 57.
⁶ Основы уголовного судопроизводства Союза СССР и союзных республик, «Социалистическая законность», 1990, № 3, с. 37.

ტილების მიღებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე (მუხლი 91), ამ შემთხვევებში პირს ბრალეულად ცნობს არა სასამართლო, არამედ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოები, რაც, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს სასამართლომ და არა გამოძიების ორგანოებმა⁷.

5. საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი საპროცესო კოდექსი საერთოდ არ განმარტავს ექვმიტანილის ცნებას. ექვმიტანილი შეიძლება იყოს პირი, რომელიც დაკავებულია დანაშაულის ჩადენაში ექვის გამო და ჯერ კიდევ არა აქვს წაყენებული ბრალდება.

სასურველია კანონმა მიუთითოს, თუ რა ხნის განმავლობაში უნდა შედგეს ექვმიტანილის დაკავების ოქმი. იმის გამო, რომ თავიდან იყოს აცილებული ამ საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურება, კანონმა უნდა დააწესოს ექვმიტანილი პირის დაკავების ოქმის შედგენის აუცილებლობა 3 საათის განმავლობაში. მისი მომკვლევ პირთან. გამოძიებელთან, პროკურორთან ან შინაგან საქმეთა ორგანოში მიყვანის მომენტიდან.

დაკავების უფლება უნდა მიენიჭოს არა მარტო სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელს, არამედ ყველა მოქალაქეს, რომელმაც დანაშაულის ჩადენაში წაასწრეს პირს. დაკავებული პირი უნდა იყოს დაკითხული 12 საათის განმავლობაში, მისი დაკავების ოქმის შედგენის მომენტიდან, თუშეცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი დაკითხოს 6 საათის განმავლობაში.⁸ ეს ვადა გამართლებულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ პირი დააკავეს ექვმიტანილის სახით დილის საათებში, მაგრამ თუ იგი დაკავებულია საღამოს ან ღამის საათებში, მისი დაკითხვა 6 საათის განმავლობაში არ იქნება რეალური და ამ მხრივ, ხშირად დაირღვევა კანონი. მითუმეტეს, რომ პირველ დაკითხვამდე იგი უნდა შეხვდეს დამკველს დაცვითი პოზიციის გამომუშავების მიზნით, რის შესახებაც ასევე უნდა აღინიშნოს მომავალ საპროცესო კოდექსში.

მიგვაჩნია, რომ თუ ექვმიტანილი დაკავებული იყო 24 საათზე მეტი ვადით საქმის მთელი მასალა უნდა გადაეცეს პროკურორს ექვმიტანილის დასაკითხავად და აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად. იმ შემთხვევაში თუ ექვმიტანილს შეერჩევა აღკვეთის ღონისძიება, როგორც წესი, წინასწარი პატივობა, იგი შეიძლება იყოს ექვმიტანილად კიდევ 72 საათს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ექვმიტანილი პასუხისგებაში უნდა მიეცეს ბრალდებულის სახით ან განთავისუფლდეს. ჩვენ ვერ დავეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ შეიძლება ექვმიტანილის მიმართ. თუ პირი ექვმიტანილია მძიმე დანაშაულის ჩადენაში, თუ არ

⁷ **Бирюков Е.**, Как понимать презумпцию невиновности, «Социалистическая законность», 1989, № 1, с. 48; **Бирюков Е.**, Каким мы видим будущее законодательство, «Социалистическая законность», 1990, № 1, с. 59-60; **Лукошевич В., Шимановский В.**, О праве прокурора и следователя прекращать уголовные дела по нерезабилитирующим основаниям, «Социалистическая законность», 1991, № 10, с. 36-38; **Дурягин И.**, Дискуссионные вопросы реформы уголовного судопроизводства, «Советская юстиция», 1989, № 7, с. 10.

⁸ **Петрухин И.**, Проблемы совершенствования судебной защиты, «Социалистическая законность», 1991, № 11, с. 51.

⁹ **Савицкий В. М.**, Теоретическая модель нового уголовно-процессуального регулирования, «Советское государство и право», 1990, № 2, с. 82.

არის გამოცხადებული მისი მიმალვა და გამოძიებისადმი ხელის შეშლა, ექვემდებარება შეიძლება შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიება — წინასწარი პატიმრობა 72 საათის ვადით.

გასათვალისწინებელია რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის თეორიულ მოდელში დადგენილი წესი (მუხლი 41-ე), რომლის მიხედვითაც, გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება პირის ექვემდებარების სახით ცნობის შესახებ. ამ დადგენილებაში გაანალიზებული უნდა იყოს არსებული ფაქტიური მასალა და მტკიცებულებები, რომლებიც იძლევა საფუძველს პირის ექვემდებარებად ცნობის შესახებ. იგულისხმება, რომ აღნიშნული დადგენილება უნდა გაეცნოს ექვემდებარებულს და განემარტოს მას უფლებები და მოვალეობანი.

თუ პირი უკანონოდ იყო დაკავებული ექვემდებარების სახით, მას უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი კანონით დადგენილ ფარგლებში. ექვემდებარების სახით პირი შეიძლება დაკავებული იყოს, როგორც სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე (საქმის აღძვრა უნდა მოხდეს ექვემდებარების პირველ დაკითხვამდე), ისე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ. ექვემდებარების დაკავება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ არარეალურია, რადგან საქმის აღძვრის საფუძველი დაკავების მომენტში ჯერ კიდევ ყოველთვის არ არის ცნობილი, სწორედ ამიტომ არ უნდა იყოს გაზიარებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ექვემდებარების დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ¹⁰.

6. მოქმედი საპროცესო კოდექსის სრულყოფის და დემოკრატიული საწყისების განმტკიცების მიზნით, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უნდა გაფართოვდეს ბრალდებულის (განსასჯელის) უფლებები სამართალწარმოების დროს. ბრალდებულს უნდა მიენიჭოს უფლება გაეცნოს არა მარტო დადგენილებას მისი ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, არამედ საქმის ყველა მასალას, რომელიც ამ მომენტისათვის არსებობს. ასეთი წესის დადგენა მას საშუალებას მისცემს რეალურად განახორციელოს დაცვის უფლება. ამავე მიზნით, ბრალდებულს უნდა მიენიჭოს უფლება გაეცნოს საქმის ყველა მასალას მის მიმართ საქმის წარმოებით შეწყვეტის შემთხვევაში, და თუ იგი ამის თანახმა არ არის, მოითხოვოს საქმის სასამართლოში განხილვა. ბრალდებულს აგრეთვე უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილეობის მიღება, რომელიც ტარდება მისი ან მისი დამცველის შუამდგომლობით¹¹. ბრალდებულს უნდა შეეძლოს მისივე შუამდგომლობით მონაწილეობა მიიღოს განმწესრიგებელი სხდომის მუშაობაში და აღძვას საჭირო შუამდგომლობანი. განსასჯელს უნდა მიენიჭოს უფლება ყოველთვის მიიღოს მონაწილეობა სასამართლო კამათში მიუხედავად იმისა, ჰყავს თუ არა მას დამცველი. მსჯავრდებულს უნდა მიეცეს რეალური საშუალება სურვილის შემთხვევაში ყოველთვის მიიღოს მონა-

¹⁰ Давлетов А., Веттомов С., О совершенствовании процессуального порядка задержания подозреваемого, «Советская юстиция», 1991, № 5, с. 13.

¹¹ ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომლის თანახმადაც კანონმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ საგანგებო პროცესუალურ დოკუმენტში წერილობით ჩამოყალიბდეს ბრალდებულის (ექვემდებარების) უფლებები და ეს დოკუმენტი ჩაბარდეს მას. იხ. Сорокина Ю., Защита на предварительном следствии, «Законность», 1992, № 3, с. 61.

წილები საკვანძო და საზედამხებელო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა იგი პატიმრობაში. ბოლოს, განსაჯელს უნდა ჰქონდეს უფლება კანონით დადგენილ შემთხვევებში იშუამდგომლოს იმის შესახებ, რომ მისი საქმე განიხილოს სასამართლომ მსაჯულთა გაფართოებული კოლეგიის შემადგენლობით.

საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობის ნაკლია ისიც, რომ იგი საერთოდ არ აწესებს ბრალდებულის მოვალეობებს სამართალწარმოებაში. ბრალდებულის მოვალეობას განეკუთვნება გამოძახებისათავე გამოცხადდეს საგამოძიებო-სასამართლო ორგანოებში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიყვანილი იქნება იძულების წესით. ბრალდებული ასევე ვალდებულია მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობის ხელწერილის, თავდებობის, შინაპატიმრობის, მილიციის ზედამხედველობის გამოყენების დროს არ დაარღვიოს ნაკისრი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეეფარდება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. ბრალდებული ასევე ვალდებულია დაიცვას დისციპლინა და წესრიგი სასამართლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაძევებულ იქნება სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

7. გარკვეულ სრულყოფას და დახვეწას საჭიროებს დამცველის მონაწილეობის საკითხი სისხლის სამართალწარმოებაში. თანამედროვე პირობებში ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უფრო დემოკრატიული გახდა კანონმდებლობა, მაგრამ მოქმედ კანონმდებლობასაც აქვს დაწესებული გარკვეული შეზღუდვები, რაც საშუალებას არ იძლევა სრული მოცულობით განხორციელდეს ბრალდებულის დაცვის უფლება და ამ საკითხში გაუთანაბრდეთ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებს.

საპროცესო კანონმდებლობის დემოკრატიული და ჰუმანური საწყისების შემდგომი განვითარების მიზნით უნდა გაფართოვდეს ბრალდებულის (ექვმიტანილის) დაცვის უფლება. კანონმდებლობით უნდა დაწესდეს, რომ დამცველი განმარტებით შეხვდეს ექვმიტანილს (ბრალდებულს) მის პირველ დაკითხვამდე დაცვის პოზიციის გამომუშავებისა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენის მიზნით. ექვმიტანილის პირველი დაკითხვა კი უნდა მოხდეს მისი დაკავების ოქმის შედგენიდან მაქსიმალურად სწრაფად, მაგრამ არა უგვიანეს 12 საათისა.

დღეისათვის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დამცველის მიერ საქმის მასალების გაცნობას გამოძიების დამთავრების შემდეგ. ასეთი წესი ამჟამად მიუსადაგეს (ფორმალურად სწორად) საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის 46-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, საქმეში მონაწილეობის დაშვების მომენტიდან დამცველს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მთელ მასალას¹².

[საქართველოს რესპუბლიკის მომავალმა საპროცესო კანონმა უნდა დაადგინოს და განამტკიცოს ის დებულება, რომ დამცველი საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვების მომენტშივე გაეცნოს საქმის ყველა მასალას და ამოიწეროს საქმიდან საჭირო ცნობები როგორც უშუალოდ, ისე ექვმიტანილთან (ბრალდებულთან) ერთად.] საგამოძიებო მასალების არცოდნა ბრალდე-

12 იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წ. 29 აპრილის № 14 დადგენილება „უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსაჯელის დაცვის უფლების შესახებ“, „სამართალი“, 1992, № 5, გვ. 42.

ბუღალტრული და მის დამცველს უზღუდავს დაცვის რეალური განხორციელების საშუალებას.

შომავალმა საპროცესო კოდექსმა უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე დამცველის მონაწილეობა არა მარტო იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, რომელშიც მონაწილეობენ ექვემდებარებული და ბრალდებული (ასეთი საგამოძიებო მოქმედება მეტად შეზღუდულია: დაკითხვა, ბრალდებულის შემთხვევის აღვივლება და ა. შ.). ბრალდებულის მონაწილეობა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს, არამედ ყველა იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, რომელიც ტარდება ბრალდებულის ან მისი დამცველის შუამდგომლობის საფუძველზე. კანონმა ამავდროულად უნდა დააწესოს გამოძიებლის ვალდებულება აცნობოს დამცველს ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დღე და საათი.

საქართველოს რესპუბლიკის ახალმა საპროცესო კანონმა უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე დამცველის მონაწილეობა განმწესრიგებელ სხდომაზე ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაზე ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს ან დამცველს აღძრული აქვთ საქმესთან დაკავშირებული შუამდგომლობა.

გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს დამცველის სავალდებულო მონაწილეობის შემთხვევას უნდა დაემატოს კიდევ ერთი: თუ დაზარალებულს ჰყავს აყვანილი დამცველი მისი წარმომადგენლის სახით, ბრალდებულსაც აუცილებლად უნდა ჰყავდეს დამცველი.

კანონში უნდა აისახოს ის დებულება, რომ დამცველს მიეცეს უფლება მსჯავრდებულის თანხმობის გარეშე და მისი სურვილის საწინააღმდეგოთ გაასაჩივროს განაჩენი იმ შემთხვევაში, თუ განსასჯელი არის არასრულწლოვანი ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონე¹³.

დამცველის მონაწილეობა სავალდებულო უნდა იყოს ზემდგომ სასამართლოში საკასაციო და საზედამხედველო წესით საქმის განხილვის დროს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის ძალით სავალდებულოა დამცველის მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში. სხვა შემთხვევებში დამცველს უნდა მიენიჭოს უფლება მონაწილეობა მიიღოს საკასაციო, ზედამხედველობის წესით ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვის პროცესში და ამიტომ სასამართლოებმა ყველა შემთხვევაში უნდა აცნობონ განსასჯელსა და მის დამცველს საქმის განხილვის დროის შესახებ.

კანონმდებლობა¹⁴ დადებითად უნდა გადაწყვიტოს საკითხი, არა მარტო სასამართლოში, არამედ გამოძიების დროსაც, დამცველად დაშვებულ იყვნენ დამცველთა კოოპერატივის, დამცველთა სხვა გაერთიანების ადვოკატები, პროფესიული კავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა პირები, ვისაც დაასახელებს ბრალდებული¹⁴.

ახალმა კანონმა არ უნდა დაუშვას დამცველის გაფრთხილება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ გამოძიების მონაცემების გაზმატრების საათის. ასეთი წესი არადემოკრატიულია და ხელს არ უწყობს დაცვის ფუნქციის რეალურ განხორციელებას. რა უფლება აქვს დამცველს არ გაუზიხლოს

¹³ Петрухин И., Проблемы совершенствования судебной защиты, «Социалистическая законность», 1991, № 11, с. 52.

¹⁴ Бедняков Д. И., Некоторые аспекты судебно-правовой реформы в РСФСР, «Советское государство и право», 1992, № 1, с. 27—28.

ბრალდებულს საქმის ის მონაცემები, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა დაცვის ფუნქციის განხორციელების შედეგად და მიუთითებს ბრალის დამამძიმებელ გარემოებებზე ან სხვაგვარად ამძიმებს მის პროცესუალურ მდგომარეობას.

მართლებით გადახედვას მოითხოვს დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობა. მისი უფლებების გაფართოება და ამ უფლებათა გარანტიები. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულთან შედარებით დაზარალებული არის უუფლებო. ბრალდებულს კანონით მინიჭებული აქვს უფრო ფართო უფლებები, ვიდრე დაზარალებულს. ამ უსამართლობის აღმოფხვრა წარმოადგენს ერთ-ერთ თანამედროვე და ძირითად ამოცანას.

სახელმწიფო და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გაატარონ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომ უზრუნველყონ დანაშაულის ჩადენიდან პიროვნებისა და მისი ქონების დაცვა. მოქმედი საპროცესო კოდექსი არც კი განმარტავს დაზარალებულის ცნებას. პროცესუალურ ლიტერატურაში სამართლიანად არის დაყენებული საკითხი იმის შესახებ, რომ გაფართოვდეს დაზარალებულის ცნება, რომ დაზარალებულად ცნობილ იყოს არა მარტო პირი, ვინც დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობის შედეგად მიიღო ფიზიკური, მატერიალური ან მორალური ზიანი, არამედ ისიც, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიაყენეს ნებისმიერი სახის რაიმე ვნება ან დანაშაულის ბოლომდე მიყვანისა და მომზადების შემთხვევაში, არსებობდა ასეთი ვნების მიყენების შესაძლებლობა¹⁵.

საქართველოს რესპუბლიკის ახალ საპროცესო კოდექსში ყურადღება უნდა დაეთმოს პროცესუალურ რესტიტუციას, ე. ი. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ნატურით ან ფულადი გამოსახულებით. ცხადია რომ, ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს პირს, ვინც სასამართლოს განაჩენით ცნობილია ბრალდულად. მაგრამ თუ მის მიერ ან მისი ქონების რეალიზაციის შემთხვევაში ვერ ხერხდება მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სახელმწიფომ უნდა იკისროს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ასეთივე მისიის შესრულება შეუძლიათ სხვადასხვა სახის ასოციაციებს, დახმარების აღმოჩენის ფონდებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, თუ ასეთი ორგანიზაციები შეიქმნება ჩვენს რესპუბლიკაში, ისე როგორც ეს არის კაპიტალისტურ ქვეყნებში. სახელმწიფოს მიერ დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ვერ იქნა დადგენილი პირი, რომელიც უნდა მიეცეს პასუხისგებაში ბრალდებულის სახით. დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ხარჯები, რომელიც მან გასწია წარმომადგენლის სახით დამცველის აყვანასთან დაკავშირებით. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაურდეს მის კანონისმიერ მემკვიდრეებს ან კმაყოფაზე მყოფ პირებს.

მთელ რიგ ქვეყნებში (ამერიკა შეერთებული შტატები, ინგლისი, იაპონია, გერმანია და ა. შ.) სახელმწიფო თავის თავზე იღებს ზიანის ანაზღაურებას ისეთ დანაშაულზე, რომელიც ხელყოფს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. დაზარალებულისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ არის

¹⁵ მ. ქერდაძე, დაზარალებულის უფლებების გაფართოების თეორიული საფუძვლები და მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობანი. „სამართალი“, 1991, № 7-8, გვ. 37.

მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივი საკითხი, იგი დადებითადაა გადაწყვეტილი შესაბამისი საერთაშორისო პაქტებითა და დეკლარაციებით¹⁶.

დაზარალებულად ხდება პირი დანაშაულის ჩადენის მომენტში, სწორედ ამიტომ, იგი ცნობილ უნდა იყოს დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთანავე, ისე როგორც ეს არის დაწესებულა სამოქალაქო სარჩელი-სათვის (მუხლი 26-ე). არასწორია პრაქტიკა, როდესაც პირს ცნობენ დაზარალებულად არა სისხლის სამართლის აღძვრის მომენტიდან, არამედ ფაქტიურად გამოძიების დამთავრების მიახლოვების მომენტისათვის. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული ვერ ახორციელებს მისთვის მინიჭებულ მინიმალურ უფლებებსაც კი.

საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის მე-91 მუხლი ითვალისწინებს მასალების გადაცემას საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად სისხლის სამართლის საქმის აღძვრელად. ამ შემთხვევაში პირს საერთოდ არ ცნობენ დაზარალებულად, რადგანაც სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება. კანონის ასეთი წესი უნდა გაუქმდეს, რადგან იგი არ შეესაბამება მოთხოვნას, რომ დანაშაულის ჩადენის ყველა შემთხვევაში აღიძვრას სისხლის სამართლის საქმე (გარდა კერძო და კერძო-საჯარო ბრალდებისა). აღნიშნულ შემთხვევაში პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი, არის სრულიად დაუცველი, რადგან კანონი მას დაზარალებულადაც კი არ ცნობს.

დაზარალებულს შეუძლია იყოლიოს წარმომადგენელი დამცველის სახით, მაგრამ მას უნდა შეეძლოს წარმომადგენლად დაასახელოს გამოძიების დროს და სასამართლოში ახლო ნათესავი ან სხვა პირი, რომელიც დაზარალებულის შეხედულებით კარგად და რეალურად განხორციელებს დაზარალებულის უფლებებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დაშვებული უნდა იყვნენ პირები დაზარალებულის წარმომადგენლის სახით გამომძიებლის დადგენილების (სასამართლოს განჩინების) საფუძველზე. დაზარალებულის წარმომადგენელი ახორციელებს თავის ფუნქციებს, როგორც დაზარალებულთან ერთად, ისე დაზარალებულის გარეშე. ჩვენი აზრით, დაზარალებულის წარმომადგენელს არ უნდა ჰქონდეს უფლება უარი თქვას თავისი ფუნქციის განხორციელებაზე, თუ ამას არ მოისურვებს თვით დაზარალებული. საწინააღმდეგო მოსაზრება გატარებულია რუსეთის ფედერაციის სსს კოდექსის თეორიულ მოდელში (მუხლი 56).

საქართველოს რესპუბლიკის ახალმა საპროცესო კოდექსმა უნდა დააწესოს დაზარალებულის წარმომადგენლის (დამცველის) აუცილებელი მონაწილეობა საქმეში ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის (განსახცელის) დამცველის მონაწილეობა კანონით არის სავალდებულო. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება რეალურად განხორციელდეს შეჯიბრებითობის პრინციპი.

¹⁶ აღნიშნულ საკითხზე იხ. მ. ქურაძის, ციტირებული სტატია და შემდეგი რუსული ლიტერატურა:

Бойков А. Д., Проблемы судебной реформы. «Советское государство и право», 1991, № 4, с. 22; **Ведерникова О.**, Фонд для жертв преступлений. «Социалистическая законность», 1990, № 11, с. 25—27; **Леви А., Винадзе Б.**, О расширении прав потерпевшего и его представителя в уголовном процессе. «Советская юстиция», 1989, № 10, с. 6—7; **Александров С.**, Уголовно-процессуальная ретитутция. «Советская юстиция», 1990, № 5, с. 28 — 29.

დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით „რუსეთის ფედერაციის კანონი საკუთრების შესახებ“ (30-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

დაზარალებულის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს იგივე უფლებები, რაც ბრალდებულის (განსასჯელის) დამცველს.

მომავალმა საპროცესო კანონმდებლობამ უნდა გააფართოვოს დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლის უფლებები სამართალწარმოებაში. იმ უფლებათა გარდა, რომლის შესახებაც მითითებულია მოქმედი საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლში დაზარალებულს და მის წარმომადგენელს უნდა მიენიჭოთ შემდეგი დამატებითი უფლებები: დაზარალებულად ცნობის მომენტში გაეცნოს საქმის მთელ მასალებს; წარუდგინოს გამოძიებელს (სასამართლოს) ყველა ის საბუთი, რომელიც მას მოეპოვება საქმესთან დაკავშირებით; მოითხოვოს მისი დაკითხვა; დაესწროს ყველა იმ საგამოძიებლო მოქმედებას ჩატარებას, რომელიც ტარდება მისი ან მისი წარმომადგენლის შეამდგომლობის საფუძველზე; გაეცნოს ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებას იმ უფლებებით, რასაც კანონი ითვალისწინებს ბრალდებულისათვის; გაეცნოს ექსპერტის დასკვნას გამოძიების დამთავრებამდე და აღძრას შეამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის ან ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე; მოითხოვოს საქმის გამოძიების გაგრძელება საქართველოს სსს კოდექსის შესაბამისი მუხლებით (6-9) გათვალისწინებულ შემთხვევებში; გაეცნოს საქმის მთელ წარმოებას მოკვლევის დამთავრების დროს. მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმის გამოყენების დროს მასალების სასამართლოში გაგზავნამდე; გაეცნოს საქმის მთელ წარმოებას სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის და შეჩერების შემთხვევებში; გაასაჩივროს პროკურორის დადგენილება ან სასამართლოს განჩინება საქმის დამატებით გამოძიების ჩატარების შესახებ; ყველა შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს სასამართლო კამათში; მოითხოვოს, რომ ძირითადი საპროცესო დოკუმენტები (საბრალდებო დასკვნა, განაჩენი, დადგენილება საქმის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ) ჩაბარდეს მას¹⁷.

9. გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს კანონმდებლობა მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვისთან დაკავშირებით. პრაქტიკაში ჩერ კიდევ გავრცელებულია შემთხვევები, როდესაც პირი ფაქტიურად არის ექვემდებარებული ან ბრალდებული, მაგრამ მას ჰკითხავენ, როგორც მოწმეს აფრთხილებენ რა მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ცრუ ჩვენებას მოცემისათვის, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და თავის არიდებისათვის. საპროცესო კანონით პირდაპირ უნდა აიკრძალოს ასეთი პრაქტიკა, რადგანაც იგი იწვევს დაცვის უფლების დარღვევას. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი მიუთითებს, რომ არ შეიძლება მოწმის სახით დაკითხოს პირი, რომლის მიმართაც არის საკმარისი მტკიცებულებები მისი ბრალეულობის შესახებ.

ჩახალი საპროცესო კანონმდებლობით დადებითად უნდა გადაწყდეს საკითხი მოწმისა და დაზარალებულის იმუნიტეტის შესახებ. კანონში უნდა აღინიშნოს, რომ მოწმესა და დაზარალებულს უფლება აქვთ არ უბასუხონ ისეთ შეკითხვებს, რომლებიც მათ ან მათ ახლო ნათესავებს ამხელს დანაშაულის ჩადენაში. ბრალდებულის (ექვემდებარებულის) ახლო ნათესავები შეიძლება დაი-

¹⁷ დაზარალებულის უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო დეკლარაციას. კერძოდ კი მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაციას, დანაშაულის მსხვერპლისა და ხელისუფლების ზოროტად გამოყენების შესახებ, მიღებულ გავრცელ გენერალური ასამბლეის 96-ე პლენარულ სხდომაზე 1985 წლის 29 ნოემბერს.

კითხონ მოწმედ ან დაზარალებულად თუ ისინი თანახმა არიან, აღნიშნულ მოქმედებებში მოწმისა და დაზარალებულისათვის ჩვენების მიცემა უნდა იყოს უფლება და არა ვალდებულება.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საყოველთაოდ არის ცნობილი საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობით, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა კონსტიტუციის დონეზე წყვეტს აღნიშნულ საკითხს, კონსტიტუციის მე-5 შენსორებაში ნათქვამია რომ არავინ არ უნდა იძულონ სისხლის სამართლის საქმეში საკუთარი თავის წინააღმდეგ მისკეს ჩვენება.

პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოწმე და დაზარალებული ცრუ ჩვენების მიცემისათვის მიეცეს პასუხისმგებლობა არა მარტო გახიზნის გამოტანის შემთხვევაში არამედ გამოძიების დროსაც, რადგან ეს დანაშაული ითვლება დამთავრებულად ჩვენებაზე ხელის მოწერისთანავე, ასევე გამომძიებელმა უნდა აღიაროს სისხლის სამართლის საქმე მოწმისა და დაზარალებულის მიმართ ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისთანავე¹⁵.

10. გარკვეულ სრულყოფას მოითხოვს სისხლის სამართლის პროცესში სპეციალური ცოდნის გამოყენების საკითხები ექსპერტის, სპეციალისტისა და საექსპერტო გამოკვლევის ნიმუშების მიღებასთან დაკავშირებით.

მოქმედი საპროცესო კოდექსით სავსებით არ არის გათვალისწინებული კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარება, რაც უნდა გამოსწორდეს, ახალ საპროცესო კანონში უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მომიჯნავე დარგების სპეციალური ცოდნის გამოყენება, რომ თითოეული დარგის სპეციალისტი ატარებს გამოკვლევას მხოლოდ თავისი კომპეტენციის ფარგლებში და პასუხისმგებელია გამოკვლევის შედეგებისათვის.

მოქმედი საპროცესო კანონით ექსპერტიზის აუცილებელი დანიშვნა გათვალისწინებულია მხოლოდ ოთხ შემთხვევაში, რაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, ექსპერტიზის ჩატარების დანიშვნა აუცილებელი უნდა იყოს შემდეგ შემთხვევებში: ფასიანი ქაღალდების და ფულადი ნიშნების გაყალბების დადგენისათვის; ევნერიული სენის გადადების; ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის ფაქტის დადგენისათვის; ორსულობისა და მისი ხელოვნური მოშლის საკითხის გარკვევისათვის; აფეთქებისა და ხანძრის მიზეზის განსაზღვრისათვის; საავიაციო, რკინიგზის, საზღვაო და სანაოსნო ტრანსპორტის ავარიებისა და კატასტროფების მიზეზების დადგენისათვის. ყველა ეს შემთხვევა უნდა აისახოს საქართველოს რესპუბლიკის მომავალ საპროცესო კოდექსში.

ასევე უნდა გაფართოვდეს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის საფუძვლები. მოქმედი კანონით დადგენილ ორ შემთხვევას (დასკვნის დაუსაბუთებლობა და ექსპერტის დასკვნის სისწორეში ეჭვის შეტანა) უნდა დაემატოს შემდეგი: ექსპერტიზის ჩატარების დროს კანონის არსებითი მოთხოვნის დარღვევა; ექსპერტის დაკვეთის წინააღმდეგობა საქმეზე მოპოვებული ობიექტური მასალებისადმი; საექსპერტო კომისიის წევრებს მორის უთანხმოება (როდესაც თითოეული წევრი იძლევა სხვადასხვა და ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს); როდესაც აღნიშნული ექსპერტის დასკვნები ურთიერთგამომრიცხავია. ახალ კანონში ასევე უნდა აღინიშნოს განმეორებითი ექს-

¹⁵ Шумихин В., Бордов П., О правовом статусе свидетеля и потерпевшего, «Советская юстиция», 1990, № 19, с. 18.

პერტიზის დანიშვნის აუცილებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით სავალდებულოა პირველადი ექსპერტიზის დანიშვნა.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებელ კომისიაში შეყვანილი იყოს ექსპერტი, რომელმაც ამ საკითხზე უკვე ჩაატარა პირველადი ექსპერტიზა. ასეთი მოსაზრების გაზიარება ყურადღებას არ იმსახურებს. რადგან იგი ეწინააღმდეგება ექსპერტის ობიექტურობის პრინციპს. ექსპერტი, რომელმაც უკვე ჩაატარა გამოკვლევა, შებოკილია ადრე მიცემული დასკვნით და დაინტერესებული იმით, რომ დადასტურდეს მის მიერ მიცემული დასკვნა. განმეორებითი ექსპერტიზა უნდა ჩაატარონ სხვა ექსპერტებმა და, როგორც წესი, იგი უნდა ჩატარდეს ექსპერტთა კომისიის მიერ.

[ექსპერტიზის ჩატარების პროცესში კანონით უნდა აიკრძალოს ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც ძლიერ ფიზიკურ ტკივილებს აყენებს პიროვნებას ან დამტანჯველია მისთვის.] ამის შესახებ სამართლიანად არის მიითითებული რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის თეორიულ მოდელში (მუხლი 263-ე).¹⁹

სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე დასაშვებია სპეციალური ცოდნის გამოყენება და სათანადო დოკუმენტების (აქტი, ცნობა, საუწყებო დასკვნა და ა. შ.) მოღება სპეციალისტისაგან. ასეთ დოკუმენტებს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია შეცვალოს ექსპერტის დასკვნა და გამოყენებულ იყოს როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი წყარო ექსპერტის დასკვნის სახით. თუ კანონი მოითხოვს ექსპერტიზის აუცილებელ ჩატარებას, იგი უნდა დაინიშნოს ყველა შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთანავე ბრალდებულისა და პროცესის სხვა შესაბამისი სუბიექტების უფლებათა დაცვის საფუძველზე.

კანონსაწინააღმდეგოდ უნდა იყოს ცნობილი პრაქტიკა და ზოგიერთ ავტორთა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, დასაშვებია ექსპერტიზის დანიშვნა სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ავტოსატრანსპორტო და პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე, აგრეთვე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა.²⁰

ასეთი პრაქტიკა მიუღებელია, რადგან ირღვევა ექვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის უფლებები ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. პრცესის ეს სუბიექტები გამოჩნდებიან მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ. ექსპერტიზის ჩატარება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე იმის მომასწავებელი იქნება, რომ ფაქტიურად, გამოძიების დაწყება და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება მოხდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, რითაც შეიზღუდება პროცესის შესაბამისი სუბიექტების კანონით გარანტირებული უფლებები და გამოძიება ფაქტობრივად ჩატარდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე.

მოქმედი საპროცესო კოდექსი (მუხლი 58-ე) ეხება რა სპეციალისტის

¹⁹ ექსპერტიზის დარგში კანონმდებლობის სტრუქტურის შესახებ იხ. თ. ელენტი, სასამართლო ექსპერტიზის როლი სამართლებრივ სახელმწიფოში, „სამართალი“, 1992, № 5, გვ. 34-39.

²⁰ Корнеева Л. Нужна стадия возбуждения уголовного дела. «Социалистическая законность», 1990, № 5, с. 50; Рустамов А., Законное и обоснованное возбуждение дела — одна из гарантий правосудия. «Советская юстиция», 1990, № 23, с. 20.

აცილებს საკითხს, მიუთითებს, რომ ექსპერტად არ შეიძლება იყოს პირი, თუ იგი მონაწილეობდა ამ საქმეში როგორც სპეციალისტი, გარდა იმ შემთხვევისა, რაცა ექიმი-სპეციალისტი მონაწილეობდა გვამის დათვალიერებაში.

კანონის ასეთი მოთხოვნა არ შეიძლება შენარჩუნებულ იყოს ახალ საპროცესო კოდექსში, რადგან იგი არათანაბარ პირობებში აყენებს სპეციალისტებს მათი განათლების მიხედვით. თუ კანონი უნდობლობას უცხადებს სპეციალისტ-კრიმინალისტს; სპეციალისტ-ბუღალტერს და ა. შ., რატომ უნდა გამოუცხადოს ნდობა ექიმ-სპეციალისტს და დაავალოს მას ამავე საქმეზე ექსპერტიზის ჩატარება. ვინაიდან ექსპერტი უნდა იყოს ობიექტური პირი, მიგვაჩნია, რომ ერთიდაიგივე პირი, ერთ საქმეზე ერთდროულად არ შეიძლება იყოს სპეციალისტი და ექსპერტი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ცალსახად არ არის გადაწყვეტილი სხვა რესპუბლიკებში. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის ორივე პროექტი ითვალისწინებს სპეციალისტის მიერ იმავე საქმეზე ექსპერტიზის ჩატარებას.

მომქმედი საპროცესო კოდექსის საექსპერტო გამოკვლევებისათვის ნიმუშების მიღებას ეთმობა მხოლოდ ერთი (186-ე) მუხლი, რაც არასაკმარისია. ახალმა საპროცესო კოდექსმა უნდა მიუთითოს ნიმუშების სახეები და მისი მიღების ხერხები, ამ საგამომიებო მოქმედებაში მონაწილე პირთა უფლებები და მოვალეობები, სპეციალისტის და ექსპერტის მიერ ნიმუშების მიღების პროცესუალური წესისა და გაფორმების შესახებ. კანონში უნდა ითქვას, რომ სპეციალისტის მოწვევა ადამიანისაგან ბიოლოგიური ხასიათის ნიმუშების მიღების დროს (სისხლი, სპერმა, ნერწყვი და ა. შ.) უნდა ატარებდეს სავალდებულო ხასიათს.

მიგვაჩნია, რომ ნიმუშების მიღების დროს დამსწრეთა მონაწილეობა არ არის სავალდებულო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნიმუშების მიღება ხდება იძულებითი წესით. ნიმუშების მიღების დროსაც არ უნდა იყოს გამოყენებული ისეთი ხერხები, რომელიც ძლიერ ფიზიკურ ტკივილს აყენებს პიროვნებას და საშიშია მისი ჯანმრთელობისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნიმუშების მიღებას აწარმოებს სპეციალისტი, ამ ფაქტს უნდა დაესწროს გამომძიებელი. თუ ამის საშუალება არ არის, ნიმუშების მიღება უნდა მოახდინოს სპეციალისტმა დამსწრეთა მონაწილეობით. ნიმუშების მიღების პროცესი უნდა აისახოს შესაბამის ოქმში ან ექსპერტის დასკვნაში.

მიგვაჩნია, რომ საპროცესო კოდექსში არ არის საჭირო და აუცილებელი, რომ ნიმუშები საექსპერტო გამოკვლევებისათვის განხილულ იყოს როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი დამოუკიდებელი წყარო, როგორც ამის შესახებ ნათქვამია რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის თეორიულ მოდელში (მუხლი 161). ნიმუშები არის საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი და მას არა აქვს დამოუკიდებელი პროცესუალური მნიშვნელობა.



სამშობლოს ღალატი და მასთან ბრძოლის უზრუნველყოფა

ჩვენს საზოგადოებაში სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების და იდეოლოგიურ-პოლიტიკური დიქტატიდან აზრთა პლურალიზმზე გადასვლა იწვევს სისხლის სამართლის პოლიტიკის გადასინჯვასაც, კერძოდ, ისეთი კანონების მიღებას, რომელთა მიზანი იქნება მართლწესრიგის დაცვის გაძლიერება და ადამიანის უფლებათა დაცვა.

დამნაშავეობის დინამიკას საქართველოს რესპუბლიკაში ერთობ ნეგატიური ტენდენციები ახასიათებს. დამნაშავეობა არა მარტო რაოდენობრივად იზრდება. არამედ უარესდება მისი ხარისხობრივი მახასიათებლებიც უფრო მძიმე დანაშაულთა ხარჯზე. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ საზოგადოების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თანამედროვე არახელსაყრელმა პირობებმა, ძველი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების ნგრევამ, სამართლებრივმა ნიჰილიზმმა, სახელმწიფო დანაშაულთა და, სამწუხაროდ, განსაკუთრებით საშიშმა დანაშაულებებმა დღემდე არნახულ ზღვარს მიაღწია.

ამჯერად, უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ისეთ დანაშაულზე, როგორც არის, სამშობლოს ღალატი. დღევანდელი რეალობის პირობებში აბსოლუტურად უმოქმედოდ და უეფექტოდ გვესახება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი სამართლებრივი ნორმა, მხედველობაში გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლი — სამშობლოს ღალატი. ეს მუხლი, უფრო მეტად დეკლარაციულ, პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს. თავის დროზე მიზნად ისახავდა დისიდენტთა და „გარეშე მტერთა“ დაშინებას. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული დანაშაულის უშუალო ობიექტის საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძველზე, სამშობლოს ღალატის უშუალო ობიექტად — სსრ კავშირის საგარეო უსაფრთხოება ითვლებოდა¹.

ამრიგად, როცა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტრუქტურების რღვევის შედეგად ძველი სამართლებრივი სისტემა — დე ფაქტო — ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა, ხოლო — დე იურე — ძალას ინარჩუნებს, ახალი კი ჯერ არ შექმნილა, ხელსაყრელი ნიადაგი შეექმნა ყოველგვარ პოლიტიკურ სპეკულაციას პროვინციელ პოპულისტთა მხრივ. ასეთი პოლიტიკის შედეგები უკვე სახეზეა — პოლიტიკური არასტაბილურობა, „სუვერენიტეტთა პარადი“ ერთიანი

¹ Советское уголовное право, Часть особенная, Изд-во Московского университета, 1964, стр. 30.

საქართველოს სახელმწიფოს შიგნით, რომელშიც მოვლენათა ლოგიკის მიხედვით, დღეს თუ არა ხვალ ყოველ ოლქს თუ რაიონს შეეძლება ამ „პარადიზო“ მონაწილეობა ამის შედეგად უდავოდ გვევლინება ის, რომ დღეს ხშირად ვაიგონებთ ლაპარაკს დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში არსებულ დემოკრატიულ პრინციპებზე. ჩვენ სულაც არ გვინდა ექვი შევიტანოთ თვით ამ პრინციპებში, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ცვილიზებულმა მაღალგანვითარებულმა ქვეყანამ თუნდაც იმიტომ შეძლო მიეღწია პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დღევანდელი დონისათვის, რომ კარგად შეითვისა და გაიგო ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ: „თავისუფლება, თუ მისი განადღება პასუხისმგებლობას არ დაუტყვევორეთ, უბრალო თვითნებობად გადაგვარდება“². ბუნებრივია, რომ პასუხისმგებლობას სახელმწიფო უზრუნველყოფს და მისი ეფექტიანობისათვის მძლავრი სამართლებრივი ბაზაა საჭირო.

დავუბრუნდეთ სახელმწიფო დანაშაულის საკითხს და მივმართოთ ისეთი დიდადგანვითარებული ქვეყნის გამოცდილებას, როგორც არის დღევანდელი ერთიანი გერმანია, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი დებულება. ეს კოდექსი, რომელიც ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზეც მოქმედებს სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით, ყურადღებას იმსახურებს ქართველი იურისტებისათვისაც, რომლებიც ახალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსზე მუშაობენ.

ყურადსაღებია ის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — ფედერაციული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეერთების ხელშეკრულების დადების მომენტისათვის 10 მხარედ იყოფოდა (1957 წლიდან — ზაარის მხარის ჩათვლით). ამასთან, ყოველ მხარეს, რომელიც ფედერალურ ერთეულად ითვლება, საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები აქვს³. ამდენად, ნათელია, რომ ეს სტრუქტურა ძალიან წააგავს იმ სტრუქტურას, რომელიც დამანასიათებელი იყო ყოფილი სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის. ყურადსაღებია აგრეთვე ისიც, რომ ენა, რომელზეც სხვადასხვა მხარის წარმომადგენლები ერთმანეთს მიმართავენ, ზოგჯერ ძალიან განსხვავებულია. მაგალითად, ქვემო საქსონიის მცხოვრები ყველაფერს ვერ გაუგებს ბავარიელს. გერმანელმა კანონმდებლებმა გაითვალისწინეს ფედერაციული სახელმწიფოს ეს თავისებურებანი და ჩამოაყალიბეს სახელმწიფო ლალატის დანაშაულებრივი ქმედება ცალკე კარად, რომელიც შევიდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის პირველ თავში. სამშობლოს ლალატის შემადგენლობას საერთო სათაურად აქვს: მშვიდობის ლალატი, სახელმწიფოს ლალატი და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოსათვის საფრთხის შექმნა⁴. I თავის მე-2 კარში (სახელმწიფოს ლალატი) ყურადსაღებია §81 — „სახელმწიფოს ლალატი მიმართული ფედერაციის წინააღმდეგ“ და §82 — „სახელმწიფოს ლალატი მიმართული ერთიანი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ“. 81-ე პარაგ-

² В. Франкл, Человек в поисках смысла, М., 1990, стр. 68.
³ «Энциклопедический словарь», М., 1990, стр. 1417.
⁴ Strafgesetzbuch, München, 1981.

რაფის მიხედვით, დანაშაულის ობიექტია ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობა. I პუნქტში აღნიშნულია, რომ პირი, ვინც ისეთ მოქმედებას ჩაიდენს, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო მთლიანობას ზიანს აყენებს. ისჯება თავისუფლების აღკვეთით მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ან სულ ცოტა 10 წლით. 82-ე პარაგრაფის დებულებები ძირითადად იმეორებს 81-ე პარაგრაფის ტექსტს და ეხება ცალკეულ მხარეთა კონსტიტუციური პრინციპებისა და შინაგანი ტერიტორიული მთლიანობის დაცვას მთელი გერმანიის ტერიტორიული მთლიანობის მეშვეობით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, სამშობლოს ღალატის ის დისპოზიცია 82-ე პარაგრაფის I პუნქტისა, სადაც ნათქვამია: „ის, ვინც ძალით ანდა ძალის გამოყენების მუქარით სჩადის მოქმედებას, რომლის მიზანია:

1. შეუერთოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რომელიმე მხარის მიწის ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის სხვა მხარეს, აგრეთვე რომელიმე მხარიდან გამოყოს მისი ნაწილი ანდა

2. შეცვალოს გარკვეული ტერიტორიული მხარის კონსტიტუციაზე დაფუძნებული წყობილება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთი წლიდან ათ წლამდე“.

ამრიგად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ ორი ნორმიდან შედგენილი ტანდემით ფაქტობრივად ნიადაგი ეცლება იმას, ვინც ცდილობს წარსულს დაუბრუნოს ქვეყნის ურიცხვ დამოუკიდებელ სამთავროებად დანაწილება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ მომავალში, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური მუხლები ანალოგიური რედაქციით გვექნება, საჭირო სამართლებრივი ბაზა შეიქმნება სახელმწიფო ღალატის და მისი ყველაზე საშიში გამოვლინების — საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის წარსამართავად.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
პლენუმის 1992 წლის 7 ოქტომბრის № 18

დადგენილება

**მოქალაქის საარჩევნო უფლების სისხლისსამართლებრივი
დაცვის შესახებ**

მოქალაქის საარჩევნო უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის სწორი გამოყენებისა და ამ საქმეებზე თანმიმდევრული პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, უზენაესი სასამართლოს პლენუმში ადგენს:

1. სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოქალაქის როგორც პასიური, ისე აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო. ეს გულისხმობს დამნაშავეს მიერ ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც აბრკოლებენ საარჩევნო უფლების განხორციელებას.

საარჩევნო უფლების განხორციელების ხელის შეშლას განეკუთვნება საინიციატივო ჯგუფის წევრთა მიერ დეპუტატობის კანდიდატის წარდგენისათვის, დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ თუ ხელშემწყობ პირთა, ასევე არჩევნებში მონაწილე პარტიისა თუ საარჩევნო ბლოკის რწმუნებულთა ან სხვა უფლებამოსილ პირთა შესაბამისი საქმიანობისათვის ხელის შეშლაც.

2. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება საარჩევნო უფლების განხორციელების დამაბრკოლებელი ქმედობის ჩადენის მომგნტიდან, იმისდა მიუხედავად, დაირღვა თუ არა საბოლოოდ მოქალაქის საარჩევნო უფლება, ე. ი. აღეკვეთა თუ არა მას არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, ან შეეზღუდა თუ არა მასში მონაწილეობისას თავისი პოლიტიკური ნების გამოვლენის შესაძლებლობა.

3. იმისათვის, რომ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა დანაშაულად ჩაითვალოს, მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა დაზარალებულისათვის აშკარა, რომ მას ხელს უშლიდნენ ამ უფლების განხორციელებისას, ან გააცნობიერა თუ არა მან საბოლოოდ ეს ვარაუზობა. საკმარისია დადგინდეს, რომ დამნაშავეს ქმედობამ მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელება ობიექტურად დააბრკოლა.

4. დანაშაულია მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის

მხოლოდ ისეთი ხელის შეშლა, რომელიც ჩადენილა პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ თავისი ქმედობით ხელს უშლის მოქალაქეს საარჩევნო უფლების განხორციელებაში და ეს უნდა გამოხატავდეს მის ნება-სურვილს.

5. მოტყუებით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას განეკუთვნება ხმის მიცემის ადგილისა და დროის, საარჩევნო ბიულეტენის შევსებისა თუ ხმის მიცემის წესის თაობაზე მოქალაქისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება და სხვა.

6. ამავე ხერხით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა ჩაითვლება არჩევნებში მონაწილე პარტიისა (ბლოკისა) თუ დებუტატობის კანდიდატის მონაცემების შესახებ მოქალაქისათვის ისეთი ხასიათის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აშკარად მცდარ წარმოდგენას ქმნიდა მათზე და შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა მოქალაქის არჩევანზე.

თუ ასეთი ინფორმაცია ხელყოფს პარტიისა (ბლოკისა) თუ დებუტატობის კანდიდატის პატივსა და ღირსებას, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 139¹-ე მუხლით.

6. მოსყიდვით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა გულისხმობს მატერიალური თუ სხვა საზღაურით, ან მისი დაპირებით მოქალაქის დაყოლიებას, ან დაყოლიების მცდელობას, დამნაშავეს ნებასურვილის შესაბამისად განახორციელოს თავისი საარჩევნო უფლება.

7. მუქარით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლად ჩაითვლება ფსიქიკური ზემოქმედებით მოქალაქის იძულება, ან იძულების მცდელობა, დამნაშავეს მოთხოვნის შესაბამისად განახორციელოს თავისი საარჩევნო უფლება. ასეთი ფსიქიკური ზემოქმედებაა მოქალაქის დაშინება, რომელსაც შეეძლო რეალურად მოეხდინა გავლენა მის არჩევანზე.

8. ძალადობა, როგორც საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ხერხი, გულისხმობს მოქალაქეზე ფიზიკურ ზემოქმედებას (ცემა, სხეულის დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა), ფიზიკური დაბრკოლების შექმნას (მაგალითად, საარჩევნო უბნის პიკეტირება, მოქალაქის დაკავება ქუჩაში ან სხვა ადგილას) და სხვა.

ცემას და სხეულის მსუბუქ დაზიანებას შორისაა 139-ე მუხლი და კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით საჭირო არ არის.

თუ ძალადობას თან ახლდა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქმედობის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით — ამ მუხლის 1 ნაწილითა და 133-ე მუხლით.

9. სხვა ხერხით ამ დანაშაულის ჩადენას განეკუთვნება საარჩევნო ბიულეტენების ფარული გატაცება, ან მისი აშკარად გატაცება, თუ მას არ ახლდა მოქალაქეზე ძალადობა ან მისი განხორციელების მუქარა; ასევე, საარჩევნო კომისიის წევრის თუ სხვა თანამდებობის პირის მიერ მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა მათი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით და სხვა.

ასეთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოიხატებოდეს არჩევნების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საარჩევნო კომისიების საქმიანობის წესის განზრახვი დარღვევით, რომელმაც გამოიწვია, ან წინასწარი შეცნობით შეეძლო გამოეწვია მოქალაქეთა საარჩევნო უფლების შელახვა. მაგალითად, მოქალაქეთათვის საარჩევნო ბიულეტენ-

ნების მიუხედავად: არჩევნების დღეს საარჩევნო უბნის კანონით გათვალისწინებულ დროზე გვიან გახსნა ან ადრე დაკეტვა; დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის წესების ისეთი დარღვევა, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის ეყარა კენჭი, ან ამ მიზნით დაბრკოლების სხვაგვარად შექმნა.

თუ საარჩევნო კომისიის წევრის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გამოიხატა საარჩევნო დოკუმენტების გაყალბებით, ხმების არასწორი დათვლით, ან ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევით, ქმედობა დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით.

თუ ამ პირთა მიერ ჩადენილ ქმედობაში არის სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებული ისეთი თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნები, როგორცაა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, მეჭრათამებობა, სამსახურებრივი სიყალბე, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

10. ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღისა თუ საბრძოლო მასალის გამოყენებად ჩაითვლება მათი ხმარება, როგორც მოქალაქის დაშინების საშუალებად ძალადობის ან მუქარის განხორციელების დროს, ასევე სხეულის დასაზიანებლად ან სიცოცხლის მოსასპობად.

იარაღის ან საბრძოლო მასალის დემონსტრირება საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ პირი მოქმედებდა საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის განზრახვით და ის უკავშირდებოდა მოქალაქის მიმართ ძალადობის ან მუქარის განხორციელებას. სხვა შემთხვევაში ის წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174⁵-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომას.

11. სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის მიხედვით, მძიმე შედეგად ჩაითვლება სხეულის მძიმე დაზიანება, მოქალაქეთა პირადი, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ქონებისათვის განსაკუთრებით დიდი მატერიალური ზიანის მიყენება (მაგალითად, შენობების დანგრევა, დაწვა, აფეთქება და სხვა); ასევე, საარჩევნო უბანში არჩევნების ჩაშლა, არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა და სხვა.

12. „დამიანის მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი“, რაც გათვალისწინებულია მუხლის III ნაწილით, იმ შემთხვევაში შეეარაჩება პირს ბრალად, თუ დადგინდა, რომ ამ შედეგების მიმართ დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება გამოიხატებოდა გაუფრთხილებლობით, ამის შესაბამისად:

ა) თუ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას მოჰყვა მოქალაქის გაუფრთხილებელი მკვლელობა ან გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე დაზიანება. ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ამ მუხლის III ნაწილით.

ბ) თუ დამნაშავის ქმედობას თან ახლდა მოქალაქის განზრახ მკვლელობა ან სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით — ამ მუხლის I ან II ნაწილითა და პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით (სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე, 105-ე, 110-ე მუხლები).

გ) თუ დამნაშავის ქმედობას თან ახლდა სხეულის განზრახ ნაკლებად

მძიმე დაზიანება, დანაშაული უნდა დაკვალიფიციკრდეს ამ მუხლის I ან II ნაწილითა და 111-ე მუხლით, ხოლო თუ ასეთი შედეგი დამნაშავეს გაუფრთხილებლობას მოჰყვა — ამ მუხლის I ან II ნაწილითა და 115-ე მუხლით.

13. „მოქალაქის პირადი ქონების დაზიანება ან განადგურება“, რაც გათვალისწინებულია მუხლის II ნაწილით, დამნაშავეს განზრახ ბრალს გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში ქმედობა არ მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით.

თუ მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას თან ახლდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი დაზიანება, ქმედობა უნდა დაკვალიფიციკრდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ამ მუხლის I ან II ნაწილითა და სისხლის სამართლის კოდექსის 9-100 მუხლით. ხოლო, თუ მას მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გაუფრთხილებელი დაზიანება, რომელიც არ შეიძლება ჩითვალოს მძიმე შედეგად და მიყენებულია საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ქმედობა უნდა დაკვალიფიციკრდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ამ მუხლის I ან II ნაწილითა და 101-ე მუხლით.

14. პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დანაშაულის ჩადენის ხერხი, დანაშაულებრივი განზრახვის შინაარსი, კერძოდ, თუ რისკენ იყო ის მიმართული — მოქალაქის საარჩევნო უფლების აღსაკვეთად თუ მისი განხორციელების შესაძლებლობის შეზღუდვისაკენ; ასევე, გასათვალისწინებელია, დაირღვა თუ არა დამნაშავეს მოქმედების შედეგად მოქალაქის საარჩევნო უფლება.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. უზარმაღალიძე.

პლენუმის მდივანი, უზენაესი სასამართლოს წევრი მ. ხალაიძე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
პლენუმის 1992 წლის 7 ოქტომბრის № 19

დადგენილება

დაზარალებულის შესახებ სისხლის სამართალწარმოებაში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა საკითხი რესპუბლიკის სასამართლოების მიერ სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის უფლებათა დაცვის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ რესპუბლიკის სასამართლოები ძირითადად სწორად იცავენ დაზარალებულის უფლებებს სისხლის

სამართლის საქმეების განხილვის დროს. ამასთან, გვხვდება დაზარალებულის უფლებათა დაცვის უზუსტობების შემთხვევები, რაც იწვევს განაჩენის გაუქმებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის გაწევრიანების ფაქტი გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს რესპუბლიკას, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოს საქართველოში ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა.

ხელმძღვანელობს რა გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის № 40/34 რეზოლუციით „იუსტიციის ძირითადი პრინციპების დეკლარაცია დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის“, რომლის თანახმად, დანაშაულის მსხვერპლის (დაზარალებულის) ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილეობა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. განემარტოთ სასამართლოებს, რომ დაზარალებული სისხლის სამართალწარმოების სრულუფლებიანი მონაწილეა; როგორც საკუთარი ინტერესების დამცველი, იგი პირადად არის დაინტერესებული საქმის შედეგით.

პროცესში დაზარალებულის მონაწილეობა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის სისხლის სამართალწარმოების ამოცანების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

2. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამოქალაქო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულად ჩაითვლება პირი, რომელსაც დანაშაულმა მიაყენა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, დაზარალებულად ცნობა არ არის დამოკიდებული ასაკზე, პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობაზე. გარდაცვლილის ახლო ნათესავი საქმეში დაიშვება როგორც დაზარალებული, კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.

იურიდიული პირი არ შეიძლება საქმეში მონაწილეობდეს როგორც დაზარალებული. მისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში იგი მიიჩნევა სამოქალაქო მოსარჩელედ.

3. მოქალაქე, რომელმაც დანაშაულის შედეგად მორალური, მატერიალური ან ფიზიკური ზიანი განიცადა, საქმეში დაზარალებულად დაიშვება და კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებებით აღიჭურვება მას შემდეგ, რაც მომკვლევია, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას, ხოლო სასამართლო—განჩინებას, მისთვის ზიანის მიყენების ფაქტის დადგენისთანავე პირი დაუყოვნებლივ უნდა იქნას ცნობილი დაზარალებულად.

4. განემარტოთ სასამართლოებს, რომ მორალური ზიანი გულისხმობს პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვას, მისთვის სულიერი ტკივილის მიყენებას,

ფიზიკურ ზიანად ჩაითვლება ზიანი, რომელიც მიადგა პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მისი სხეულის სხვაგვარ ხელშეუხებლობას. ფიზიკური ზიანი შესაძლებელია გამოიხატოს დაზარალებულის სიკვდილით, სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანებით. იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ცემასთანაც ან სხვაგვარ ძალადობასთან.

იმ ფიზიკური ზიანის განსაზღვრისათვის, რომელიც დაზარალებულს მიადგა დანაშაულის შედეგად, ინიშნება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა დაზარალებულის სიკვდილის მიზეზის და სხეულის დაზიანების ხარისხის დასადგენად, თუ სხეულის დაზიანებას დაზარალებულის სულიერი მოშლილობა დაერთო, სავალდებულოა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებაც.

ქონებრივი ზიანი ისეთი ზიანია, რომელიც დაკავშირებულია ფულად ერთეულში გამოხატულ გარკვეულ მატერიალურ დანაკარგთან.

ქონებრივი ზიანი მართო იმ ზიანს არ მოიცავს, რომელიც დაზარალებულის საკუთრებას მიადგა (ქურდობა, ძარცვა და სხვა); იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს აგრეთვე მოქალაქისთვის ფიზიკური ზიანის მიყენებასთან. (დანაშაულის შედეგად შრომისუნარიობის გამო ანაზღაურების დაკარგვა ან შემცირება; დაზიანებული ჯანმრთელობის აღდგენა (მაგ: პროტეზირება, განსაკუთრებული მოვლა, სამკურნალო ხარჯები და ა. შ.); დაკრძალვის ხარჯები; მარჩენალის დაკარგვა და სხვა).

ქონებრივი ზიანის ოდენობას აღგენენ მომკვლევო, გამოძიებელი, პროკურორი ან სასამართლო. თუ მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენა სპეციალურ ცოდნასთან არის დაკავშირებული, ინიშნება ექსპერტიზა.

5. იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებსაც მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, დაზარალებულის უფლებებით სარგებლობენ მისი ახლო ნათესავები, როდესაც აღნიშნულ უფლებაზე პრეტენზიას აცხადებს რამდენიმე ახლო ნათესავი და ვერ ხერხდება მათი შეთანხმება. დაზარალებულის ინტერესები წარმოადგინოს ერთ-ერთმა მათგანმა, გამოძიებასა და სასამართლოს შეუძლია პროცესში დაუშვას ერთზე მეტი დაზარალებული.

6. მომკვლევო, გამოძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ან სასამართლო ვალდებულნი არიან სრულად განუმარტონ დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს თავიანთი უფლება-მოვალეობანი და ხელი შეუწყონ მათ განხორციელებაში.

7. სამართალში მიცემის სტადიაზე სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია შეამოწმოს, ცნობილია თუ არა დაზარალებულად ყველა პირი, რომელსაც ზიანი მიადგა. თუ ხარვეზი აღმოჩნდება, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია კანონით დადგენილი წესით ცნოს შესაბამისი პირი დაზარალებულად. შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობანი.

8. თუ პირი არასწორად არის ცნობილი დაზარალებულად, სასამართლო განჩინებით, ხოლო მოსამართლე დადგენილებით გამორიცხავს მას საქმიდან და ძიებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს დაინტერესებულ მხარეს.

9. დაზარალებულის არასრულწლოვანობის, ქმედუუნარობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის შემთხვევაში, საქმეში მონაწილეობს კანონიერი წარმომადგენელი, რაც არ გამორიცხავს ადვოკატის მონაწილეობასაც.

10. სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს დაზარალებულის მონაწილეობა სასამართლო საქმის განხილვისას; დაზარალებულის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იმსჯელოს მისი გამოძვევი მიზეზის შესახებ და ზუსტად ინფორმირებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის მოთხოვნებით. დაზარალებულის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სასამართლო უფლებამოსილია იძულების წესით წარმოადგინოს იგი, დაუშვებელია დაზარალებულის სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის უფლების უკანონოდ აღკვეთა ან შეზღუდვა.

11. დაზარალებულისთვის ქონებრივი ზიანის შეყენების შემთხვევაში მკვლევარს გამოძიებელი პროკურორი, მოსამართლე ან სასამართლო ვალდებულნი არიან განუმარტონ მას სამოქალაქო სარჩელის წარდგენის და მოქმედებელი ზიანის რესტრუქციის უფლება.

სამართლოში მიცემის სტადიაზე ან საქმის სასამართლოში განხილვის დროს სასამართლომ უნდა გაარკვიოს: მიიღეს თუ არა სათანადო ზომები მომკვლევამ და წინასწარი გამოძიების ორგანოებმა დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად, თუ ასეთი ზომები მიღებული არ არის, ხოლო თვით სასამართლო არ შეუძლია ამ ხარვეზის გამოსწორება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად, იგი, დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაუბრუნებლად, განჩინებით (დადგენილებით) ავალდებს შესაბამის ორგანოს, უზრუნველყოს ყველაფერი ღონისძიებების გატარება.

12. სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლონ მატერიალურად განცხადებები ყველა ბრალდების საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც აღიძვრებიან დაზარალებულის საჩივრით (სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლი, 116-ე მუხლის პირველი ნაწილი, 137-ე მუხლის პირველი ნაწილი და 138-ე მუხლი). არ დაუშვან სისხლის სამართლის საქმის უკანონო ან დაუსაბუთებელი არაღმკვრის შემთხვევები.

ყველა ბრალდების საქმის აღმკვრის შესახებ დადგენილების გამოტანამდე მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ზომები დაზარალებულისა და იმ პირის შესარჩევად, ვის მიმართაც შეტანილია საჩივარი, მოსამართლე ერთპიროვნულად ნიშნავს საქმეს განსახილველად. შეგებებული ბრალდებები ერთ წარმოებად შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლი), ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თითოეული მომჩივანი პროცესში გამოდის არა მარტო როგორც დაზარალებული, არამედ განსაცხელის როლშიც, სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს ასეთ პირთა მიმართ როგორც დაზარალებულის, ასევე განსაცხელის უფლებათა დაცვა.

13. თუ ცილისწამების ან შეურაცხყოფის საქმეების განხილვის დროს დადგინდება, რომ მოქალაქის პატივისა და ღირსების შემლახვე ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლების მეორე ნაწილები), განაჩინთან ერთად სასამართლომ უნდა გამოიტანოს ყველა განჩინება, რომლითაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დაავალდებს ოფიციალურად მოახდინოს დაზარალებულის მორალური რეაბილიტაცია.

14. სასამართლოებმა ყველა ღონე იხმარონ საქმის განხილვის დროს დაზარალებული პირადი ცხოვრების საიდუმლოების დასაცავად: მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები, რათა არ მოხდეს დაზარალებულის შესახებ ისეთი ცნობების გახმაურება, რომლებიც ეწინააღმდეგება მის ნება-სურვილს.

15. თუ საქმის განხილვის დროს სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ შეიძლება გამოიყენონ უკანონო ძალადობა, იგი ვალდებულია მიიღოს ზომები მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

16. საქმის წარმოებაში მიღებისას საკასაციო სასამართლო ვალდებულია გამოარკვიოს, შეატყობინა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლომ დაზარალებულს საკასაციო საჩივრის ან საკასაციო პროტესტის შემოსვლის შე-

სახებ; ჰქონდა თუ არა დაზარალებულს შესაძლებლობა, უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით გასცნობოდა საჩივრის ან პროტესტის შინაარსს; იცის თუ არა მან საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დრო და ადგილი. თუ დადგინდება, რომ დარღვეულია დაზარალებულის ეს უფლება, საკასაციო ინსტანცია აბრუნებს საქმეს იმ სასამართლოში, რომელმაც იგი არსებითად განიხილა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკასაციო სასამართლოს თვითონვე შეუძლია ხარვეზის შევსება (მაგ: დაზარალებული საკასაციო ინსტანციაში გამოცხადდება და გაეცნობა მისთვის საინტერესო მასალებს).

17. სასამართლოებმა განუხრელად დაიცვან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 361-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, განაჩენის გაუქმება უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის გამოყენების აუცილებლობის ან სასჯელის ლობიერების გამო, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროტესტი ან დაზარალებულის საჩივარი შეტანილია ამ საფუძვლით.

18. განემარტოთ სასამართლოებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულის გარანტირებული უფლებების აღკვეთა ან შეზღუდვა, რამაც ხელი შეუშალა საქმის ყოველმხრივ განხილვას და გავლენა მოახდინა, ან შეეძლო გავლენა მოეხდინა კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენაზე, საპროცესო კანონის არსებით დარღვევად ჩაითვლება და განაჩენის გაუქმებას იწვევს.

19. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის იტონომიური რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, პერიოდულად გააანალიზონ დაზარალებულის უფლებათა შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა და მიიღონ ქმედითი ზომები გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. უგრახალიძე.

პლენუმის მდივანი, უზენაესი სასამართლოს წევრი დ. ხალაია.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
პლენუმის 1992 წლის 7 ოქტომბრის № 20

დადგენილება

სამუსაოზე აღდგენის გამო შრომითი დავების საქმეებზე
სასამართლო პრაქტიკის შესახებ

ეკონომიკური რეფორმა და მეურნეობის მართვის რადიკალური ცვლილებები იწვევს წარმოების, დაწესებულებათა და ორგანიზაციების რეორგანიზაციას. ზოგჯერ კი ლიკვიდაცია და შესაბამისად, მუშაკების გამონათავისუფლებას. ამასთან დაკავშირებით, მათი სოციალური გარანტიების, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე, ორგანიზაციების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისათვის განსაკუთ-

რებულ მნიშვნელობას იძენს შრომითი დაეების გადაწყვეტის დროს კანონმდებლობის სწორად გამოყენება.

ამასთან, პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს პრივატიზაციისა და საიჯარო ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში ამ საწარმოებში მომუშავე პერსონალის მიმართ შრომის კანონმდებლობის განუხრელად დაცვის აუცილებლობას.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ შრომის საქმეთა განხილვა ძირითადად კანონის მოთხოვნათა დაცვით ხდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ დიდია ამ კატეგორიის საქმეებზე დაქაფოფილებულ სარჩელთა რიცხვი, რაც კანონმდებლობის დარღვევით მუშაკთა გათავისუფლებაზე მიუთითებს. სასამართლოები სრულად არ არკვევენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, შრომითი დავის წარმოშობის პირობებსა და მიზეზებს; უშვებენ შეცდომებს შრომის კანონმდებლობით დადგენილი ვადების გამოყენებისას, განსაკუთრებით — სასამართლოსათვის მიმართვის ერთთვიანი ვადის დაცვის მხრივ; გამოტანილ გადაწყვეტილებებს აკლია დასაბუთებულობა; არ არის დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკა შიდაპროფკავშირული ნორმების დარღვევით დათხოვნილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, ყოველთვის სწორად როდი ხდება წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული შეფასება.

ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით და იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ ხანს შრომის კანონმდებლობაში ცვლილებების გამო სასამართლო პრაქტიკაში ახლად წამოჭრილი საკითხები საჭიროებს განმარტებას, პლენუმი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის შესაბამისად, მუშებსა და მოსამსახურეებს სამუშაოდან დათხოვნის საქმეთა გამო შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ამავე კოდექსის 136-ე მუხლის თანახმად, ბრძანების ჩაბარებამ ჩაითვლება მუშაკისათვის დისციპლინური სასჯელის გამოცხადება (შეტყობინება) ხელწერილის ჩამორთმევით. ბრძანების ჩაბარების დღესთან გათანაბრებულია ის დღეც, როდესაც მუშაკმა უარი განაცხადა ბრძანების ჩაბარებაზე.

მუშაკის მიერ ბრძანების ჩაბარებაზე უარის თქმის მტკიცების რაიმე განსაზღვრული ფორმა ნორმატიული აქტით დადგენილი არ არის. ასეთი უარი დავის შემთხვევაში შეიძლება დადასტურებულ იქნეს ხელწერილით, აქტით ან სხვა ნებისმიერი მტკიცებულებებით. ბრძანების ჩაბარებას უთანაბრდება აგრეთვე მუშაკისათვის შრომის წიგნაკის მიცემა მასში დათხოვნის საფუძვლების ჩანაწერით ან უარი შრომის წიგნაკის მიღებაზე, დამტკიცებული იმავე საშუალებებით. რაც გათვალისწინებულია ბრძანების ჩაბარებაზე უარის დროს.

სასამართლოს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებაზე სარჩელის წარდგენისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადის გაშვების მოტივით. ვადის გაშვების მიზეზის შეფასებისას სასამართლო ითვალისწინებს საქმის ყველა გარემოებას.

2. სამუშაოზე აღდგენის შესახებ იმ პირობა სარჩელის განხილვისას, რომლებიც დათხოვნილი არიან აღმინისტრაციის ინსტიტუტით, სასამართლომ

უნდა შეამოწმოს; იყო თუ არა დაცული დათხოვნის დადგენილი წესი — სახელმძღვანელო, მოხდა თუ არა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლა პროფკავშირის კომიტეტის თანხმობით (საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლი).

ამავე კოდექსის 37-ე მუხლი ადგენს შემთხვევებს, როდესაც დათხოვნა ხდება პროფკავშირის კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე. მაგალითად, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციისას; თუ შეთავსებით მუშაობისაგან დათხოვნა ხდება ამ თანამდებობაზე სხვა მუშაკის არა-შეთავსებით მიღებასთან დაკავშირებით, აგრეთვე შეთავსებით სამუშაოსათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვათა გამო; დათხოვნა იმ საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან, სადაც არ არის პროფკავშირის კომიტეტი; თუ სამუშაოზე მიღებისას დაწესებული გამოცდის შედეგი არა-დამაკმაყოფილებელია; საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის (ფილიალის წარმომადგენლობის, განყოფილების ან სხვა დამოუკიდებელი ქვედანაყოფის) ხელმძღვანელის და მისი მოადგილეების, ხელმძღვანელი მუშაკების დათხოვნისას, რომელთაც ირჩევენ, ამტკიცებენ ან ნიშნავენ თანამდებობაზე სახელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის ორგანოები, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოქალაქეთა სხვა გაერთიანებები.

ამას გარდა, პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის გარეშე შეიძლება გათავისუფლდეს მუშაკი, რომელიც უარს აცხადებს საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან ერთად სხვა ადგილზე სამუშაოდ გადასვლაზე; ვადიანი ხელშეკრულებით მომუშავე, დროებითი და სეზონური მუშაკები — ხელშეკრულების ვადის გასვლის ან სამუშაოს შესრულების შემდეგ; თუ მუშას ან მოსამსახურეს შეფარდებული აქვს სასჯელი, რომელიც გამოაჩვენებს ამ სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობას; თუ მუშაკი სასამართლოს დადგენილებით გაგზავნილია სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკაში ან ადმინისტრაციამ იგი სამუშაოზე მიიღო დადგენილი წესების დარღვევით. ყველა ამ შემთხვევაში პროფკავშირის თანხმობა საჭირო არ არის, ვინაიდან, შრომის ხელშეკრულება წყდება ადმინისტრაციის ინიციატივის გარეშე.

3. თუ საქმის განხილვის დროს გამოირკვევა, რომ მუშაკის დათხოვნა არ იყო შეთანხმებული პროფკავშირის კომიტეტთან, საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას, გამოითხოვს პროფკავშირის კომიტეტის დადგენილებას და მხოლოდ მისი მიღების შემდეგ განიხილავს დავას არსებითად. მუშაკის დათხოვნაზე პროფკავშირის კომიტეტის უარის მიღების შემთხვევაში, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მისი სამუშაოზე ადღგენის შესახებ.

ასეთივე წესით უნდა გადაიდოს დავის განხილვა იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია პროფკავშირის კომიტეტის არასათანადო შემადგენლობის მიერ. ქვორუმის წესის დარღვევით, ე. ი. თუ სხდომაში მონაწილეობდა კომიტეტის წევრთა ნახევარზე ნაკლები, რომელთა რაოდენობა გამოითვლება ყველა არჩეულის საერთო რიცხვიდან, თუნდაც ისინი საწარმოში არ იმყოფებოდნენ ავადმყოფობის, შვებულების ან სხვა მიზეზთა გამო (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კომიტეტის წევრები დათხოვნილი არიან ან გავიდნენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შემადგენლობიდან

სხვა მიზეზების გამო). ამავე წესით განიხილება დავა, როდესაც ზოგიერთმა კატეგორიის მუშაკი დათხოვნილი აღმოჩნდება სხვა ორგანოს თანხმობის გარეშე, თუ ასეთი თანხმობა აუცილებელია (ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, პროფკავშირის ზემდგომი ორგანო და სხვ.).

4. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლით დისციპლინური სასჯელის გამოყენებისათვის დადგენილი ერთთვისანი ვადა იანგარიშება გადაცდომის გამოვლენის დღიდან. ასეთად ჩაითვლება დღე, როდესაც პირმა, რომლის დაქვემდებარებაშიც მუშაკი იმყოფება, გაიგო გადაცდომის ჩადენის თაობაზე, იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა მას დისციპლინური სასჯელის დადების უფლება.

კანონის თანახმად, დისციპლინური სასჯელის გამოყენების ერთთვისანი ვადაში არ ჩაითვლება მუშაკის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დრო. სხვა საფუძვლით სამუშაოზე არყოფნა, მისი ხანგრძლივობის მიუხედავად, არ წყვეტს აღნიშნულ ვადას.

ერთთვისანი ვადას წყვეტს ყველანაირი შვებულება, რაც ერგებოდა ან მიცემული აქვს მუშაკს ადმინისტრაციის მიერ მოქმედი კანონის შესაბამისად, მათ შორის — სასწავლო დაწესებულებაში სწავლისათვის დაწესებული შვებულება, უხელფასო შვებულება და სხვა.

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის შესაბამე ნაწილით დადგენილ ერთთვისანი, ექვსთვიანი და ორწლიანი ვადებში არ შედის სისხლის სამართლის საქმის წარმოების დრო.

5. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხვა სამუშაოზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ მუშაკის თანხმობით. ამასთან, ვინაიდან კანონი არ ითვალისწინებს მუშაკის თანხმობის გამოხატვის რაიმე განსაზღვრულ ფორმას, თანხმობა შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად. დავის შემთხვევაში გადაყვანაზე თანხმობა შეიძლება დადასტურდეს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულებით (საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლი).

6. სასამართლოს ექვემდებარება დავა კოოპერატივის წევრის სამუშაოზე აღდგენის შესახებ, აგრეთვე, თანამდებობაზე აღდგენაც ისეთი თანამდებობის გარდა, რომელზედაც არჩევა, კოოპერატივის წესდების თანახმად, მხოლოდ სართო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენს. სასამართლოს ქვემდებარება, აგრეთვე, დავები კოოპერატივის წევრობიდან უკანონო გარიცხვის გამო განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ, საწევრო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების შეცვლის თაობაზე, კოოპერატივის მიზეზით შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნების გამო გადახდევინებაზე და სხვ.

7. მუშაკთა რიცხვის ან შტატის შემცირების მოტივით დათხოვნილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავის განხილვისას, სასამართლო მოვალეა გამოარკვიოს: ნამდვილად მოხდა თუ არა მუშაკთა რიცხვის ან შტატის შემცირება და იყო თუ არა დაცული შრომის კანონმდებლობა; არ უნდა დაკმაყოფილდეს ადმინისტრაციის მიერ გაცემული ცნობით შემცირების შესახებ და გამოითხოვოს პირველადი მტკიცებულებანი; შეამოწმოს, განაცხადა თუ არა უარი მუშაკმა სხვა შევითავაზებულ სამუშაოზე ან გამოითხოვოს მტკიცება, რომ ადმინისტრაციას არ ჰქონდა საშუალება გადაეყვანა მუშაკი მისივე თანხმობით სხვა სამუშაოზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში.

სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, ჰქონდა თუ არა მუშაკს სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება. ამასთან, უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლით დადგენილი ჩამონათვალი სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლების შესახებ. მხედველობაში მიიღება მხოლოდ თანაბარი შრომის ნაყოფიერებისა და კვალიფიკაციის შემთხვევაში. უპირატესი უფლების გამოყენების დროს ჩამონათვალის თანმიმდევრობას მნიშვნელობა არა აქვს.

თუ სასამართლო დაასკვნის, რომ შტატის ან მუშაკთა რიცხვის შემცირება ძირითადი კანონმდებლობის დაცვით, ხოლო მუშაკი დათხოვნილია დადგენილი წესების დარღვევით, მაგრამ მისი აღდგენა შეუძლებელია შტატის არარსებობის გამო, აგრეთვე, სხვა საფუძვლით დათხოვნის დროსაც, თუ შტატი შემადგე შემცირდა, დათხოვნას არასწორად მიიჩნევს და ადმინისტრაციას დაავალებს სამუშაოზე აღდგენის გარეშე გადაუხადოს მუშაკს იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი. აღნიშნული წესი არ ვრცელდება კანონით სპეციალურად დადგენილ შემთხვევებზე. მაგალითად: თუ შტატის შემცირებისას დაირღვა კანონი სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლების შესახებ ან მუშაკი დათხოვნილია სხვა სამუშაოს შეთავაზების წესის დარღვევით, გათავისუფლებულია ორსული ქალი ან ქალი, რომელსაც წლინახევრის ასაკამდე ბავშვი ჰყავს და სხვა.

8. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტით დათხოვნილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავის განხილვისას, სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საზოგადოებრივი სასჯელი მოქმედებს იმავე ვადაში, რაც დადგენილია დისციპლინური სასჯელისათვის, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში.

ამ მუხლით დათხოვნა შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გადაცდომისათვის არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი.

9. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად, მუშაკს საშუალო ხელფასი იძულებითი გაცდენის მთელი დროისათვის აღუწაურდება, თუ დადგინდება, რომ შრომის წიგნაკის გაცემა (რაც დათხოვნის დღეს უნდა მოხდეს) დაყრვნდა ადმინისტრაციის ბრალით. სასამართლო არ დააკმაყოფილებს სარჩელს საშუალო ხელფასის გადახდევინების შესახებ, თუ მუშაკმა უარი განაცხადა შრომის წიგნაკის მიღებაზე (და ეს უარი დადასტურებულია ამ დადგენილებს მე-2 პუნქტში აღნიშნულ წესით) ან, ადმინისტრაციის შეტყობინების მიუხედავად, არ გამოცხადდა მის მისაღებად და არ გამოთქვა თანხმობა წიგნაკის ფოსტით გადაგზავნის შესახებ. ასეთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება სხვა შემთხვევებშიც, როდესაც შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნებაში ადმინისტრაციას ბრალი არ მიუძღვის.

კანონი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციის ვალდებულებას, თავისი ინიციატივით გაუგზავნოს ფოსტით მუშაკს შრომის წიგნაკი, ამ უკანასკნელის თანხმობას გარეშე. ადმინისტრაციის შეტყობინების მიუხედავად მუშაკის გამოუცხადებლობის ან მისთვის შრომის წიგნაკის ფოსტით გადაგზავნაზე თანხმობის მრუდებლობის შემთხვევაში, შრომის წიგნაკი ადმინისტრაციაში ინახება დადგენილი წესით.

10. სასამართლოებს განემარტოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 213-ე მუხლმა ხელქვეითობის წესით შრომითი დავის განხილვის შესახებ ცვლილება განიცადა: გაუქმდა შრომითი დავის განხილვის წესების დებულების № 1 დანართის № 1 და № 2 ნუსხები, დისციპლინური წესდების პასუხისმგებლობის დაკისრებისას განცხადებათა განხილვის წესი, ყველა ეს დავა დაექვემდებარა სასამართლოს გარდა დავებისა იმ ხელმძღვანელი მუშაკის აღდგენის თაობაზე, რომელსაც თანამდებობაზე ირჩევენ, ამტკიცებენ ან ნიშნავენ სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოები. სასამართლოს არ ექვემდებარება, მოსამართლეების, პროკურორების, მათი მოადგილეებისა და თანაშემწეების, აგრეთვე, პროკურატურის გამომძიებლების დათხოვნის, დათხოვნის მიზეზების ფორმულირებისა და თარიღის შეცვლის, იძულებით გაცდენილი ან დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის ანაზღაურების და დისციპლინური სასჯელის დადების საკითხები, რომლებსაც განიხილავენ ზემდგომი ორგანოები.

კანონში ცვლილების შეტანამდე № 1 და № 2 ნუსხები უკვე ითვლებოდა გაუქმებულად ყოფილი სსრ კავშირის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის 1990 წლის 21 ივნისის დასკვნით, რომელიც მიღებული იყო ამ კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში. თუ მანამდე შრომითი დავა ხელქვეითობის წესით განიხილა და გადაწყვიტა ზემდგომმა ორგანომ, სასამართლო არ მიიღებს საქმეს წარმოებაში უკვე დამთავრებული დავის ხელახლა გადასაწყვეტად.

11. კანონმდებლობაში ცვლილებასთან დაკავშირებით 1992 წლის 1 სექტემბრიდან გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის I პუნქტი — მოხუცებულობის გამო სრული პენსიის უფლების მქონე მუშაკის დათხოვნის შესახებ, საპენსიო ასაკის მიღწევის შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილება გამოიყენება სასამართლოებში 1992 წლის პირველი სექტემბრის შემდეგ განსახილველ შრომის დავეებზე. მანამდე დამთავრებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები ამ მოტივით არ გადაიხინჯება.

ამ მუხლით დათხოვნილი სამამულო ომის ინვალიდის სამუშაოზე აღდგენის თაობაზე განსახილველი საქმეების გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მთავრობის დადგენილებით მათი სამუშაოზე მიღებისათვის დაწესებულია შესაბამისი დარგის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო რიცხვის ორ პროცენტამდე ჯავშანი, რის გამოც მათზე არ ვრცელდება საპენსიო ასაკს მიღწეულ პირთა დათხოვნის წესი. ყოველი კონკრეტული დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს, დადგენილია თუ არა ასეთი ჯავშანი მოცემულ დარგში და გათავისუფლებულია თუ არა მუშაკი დადგენილი ორი პროცენტის ფარგლებში.

12. სასამართლოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ შრომითი ურთიერთობის სფეროში კანონიერების ზუსტი დაცვა, იზრუნონ შრომის დისციპლინის დარღვევათა აღმოფხვრისათვის, რათა ხელი შეუწყონ წარმოებაში არაორგანიზებულობის და სამუშაო დროის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. შრომის კანონმდებლობის დარღვევის არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. შტრაინბლიმი.
პლენუმის მდივანი, უზენაესი სასამართლოს წევრი ზ. ხალაიძე.

იპოზ ფუტარაძე

საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი სახელმწიფო სამსახურის შესახებ*

პარი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელმწიფო სამსახურის ცნება

სახელმწიფო სამსახური არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა შრომითი საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების, სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების მოსამსახურეთა თანამდებობრივი მოვალეობების განხორციელებას.

მუხლი 2. სახელმწიფო სამსახურის სახეები

სახელმწიფო სამსახური საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება სამოქალაქო სახელმწიფო სამსახურისა და სამხედრო სახელმწიფო სამსახურის სახით.

სამოქალაქო სახელმწიფო სამსახური მოიცავს:

- ა) სამსახურს იმ სახელმწიფო ორგანოებში, რომლებიც ასრულებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ფუნქციებს;
- ბ) ადმინისტრაციულ-მმართველობითი ფუნქციების განხორციელებას სხვა სახელმწიფო საბუთებში და დაწესებულებებში.

სამხედრო სახელმწიფო სამსახური გულისხმობს საქართველოს რესპუბლიკის შეირადებულ ძლებში, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებსა და რესპუბლიკის სხვა სამხედრო თუ გასამხედროებულ ფორმირებებში სამსახურს.

მუხლი 3. სახელმწიფო სამსახურის ძირითადი პრინციპები

სახელმწიფო სამსახური მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოს ამოცანების განხორციელება, რისთვისაც ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

— დემოკრატიზმი და კანონიერება;

* კანონპროექტი ავტორმა მოამზადა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის დაკვეთით ადგილობრივი თვითმმართველობის სრულიად საქართველოს კავშირში 1991 წლის აპრილ-მაისში.

— ხალხისა და სახელმწიფოს, აგრეთვე თვით სახელმწიფო მოსამსახურეთა ინტერესების გამოხატვა და დაცვა;

— მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის პროგრესული მემკვიდრეობის აღორძინება და დამკვიდრება;

— სახელმწიფო სამსახურის რაციონალიზაცია, სახელმწიფო აპარატის დაკომპლექტებისა და საქმიანობის სრულყოფა და ამ მიზნით სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა გათვალისწინება;

— პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა და ზნეობრიობა, სახელმწიფო მართვა-გამგეობის ჰუმანიზაცია.

სახელმწიფო ორგანოს, სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულების მოსამსახურეთა ნებისმიერი არამართლზომიერი მოქმედება, რომლითაც შეიღობა მოქალაქეთა უფლებები, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 4. სახელმწიფო სამსახურის დეპარტიზაცია

იკრძალება პოლიტიკური პარტიების შექმნა და საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებში, სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში, სამხედრო თუ გასამხედროებულ ფორმირებებში. პარტიულ გადაწყვეტილებებს არა აქვთ სავალდებულო ძალა როგორც აღნიშნულ ორგანოებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და ფორმირებებისათვის, ისე მათი მუშაკებისათვის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს. სახელმწიფო მოსამსახურე მთელი საზოგადოების მსახურია და სამსახურში უნდა იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური, არ უნდა იცავდეს პარტიულ ინტერესებს ან მათ თუ იმ იდეოლოგიას.

ამასთანავე, ნებისმიერი ლეგალური (აუკრძალავი) პოლიტიკური პარტიის წევრობამ არ უნდა დააბრკოლოს პრეტენდენტი, რომ შევიდეს სახელმწიფო სამსახურში.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები და სამხედრო მოსამსახურეები არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრები. ისინი ან გამოვლენ პოლიტიკური პარტიიდან, ანდა შეაჩერებენ მის წევრობას სახელმწიფო სამსახურში ყოფნის პერიოდში.

მუხლი 5. სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელობა

სახელმწიფო სამსახურის საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რომელსაც შეუძლია თავისი ეს უფლებამოსილება გადასცეს მინისტრს. რესპუბლიკის მთავრობასთან მეცნიერთა მონაწილეობით იქმნება საკონსულტაციო საბჭო მთავრობის თავმჯდომარის ან რწმუნებული მინისტრის ხელმძღვანელობით. საბჭოს შემადგენლობაში პარიტეტულ საწყისებზე შედიან პროფკავშირების, სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, საკონსულტაციო საბჭოს მთავარი მიზანია სხვადასხვა სფეროს სახელმწიფო სამსახურის მაქსიმალური კოორდინაციის უზრუნველყოფა. საბჭო განაზოგადებს სახელმწიფო სამსახურის სტატისტიკურ მონაცემებს, შეიმუშავებს სამსახურის ორგანიზაცი-



ის გაუმჯობესების წინადადებებს და განსაზღვრავს სახელმწიფო სამსახურის საერთო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 6. კანონმდებლობა სახელმწიფო სამსახურის შესახებ

სახელმწიფო სამსახურს აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი, საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსი და სხვა საკანონმდებლო აქტები სახელმწიფო სამსახურის შესახებ.

ამ კანონის II, III, IV, V და VI კარის დებულებები არ ვრცელდება სამხედრო სახელმწიფო სამსახურზე, რომელსაც მკვეთრი თავისებურებების გამო აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონმდებლობა.

პარი II.

სახელმწიფო სამსახურში შესვლა

მუხლი 7. სახელმწიფო სამსახურის უფლება

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ და „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება თავისი მიდრეკილების, უნარის, დამსახურების, განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის გათვალისწინებით თანაბარ საფუძველზე შევიდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახურში. ეს უფლება ენიჭება საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, პოლიტიკური რწმენისა, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობისა და ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

საქართველოს მოქალაქე საჭიროების ფარგლებში მიიღება ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. პოეტენდენტისადმი წაყენებული მოთხოვნები მხოლოდ თანამდებობრივ მოვალეობათა ხასიათით განისაზღვრება, სახელმწიფო სამსახურში მიღებაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა აკრძალულია.

მუხლი 8. უცხოელის შესვლა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახურში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას გამონაკლისის წესით შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევაში მოიწვიოს სახელმწიფო სამსახურში უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი, თუ მოცემულ თანამდებობაზე საფუძვლიან პრეტენზიას არ აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე. გამონაკლისი უპირატესად დაიშვება სამეცნიერო და სასწავლო დარგებში, აგრეთვე უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისათვის ცალკეულ უწყებებში, დაბალ თანამდებობებზე საზღვარგარეთ საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ დაწესებულებებში. ამ წესით თანამდებობაზე დანიშვნა არ იწვევს ავტომატურად საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებას.



სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის თანაბრად ენიჭება ქართველს, რომელიც არ არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, მაგრამ ცნობილია თავისი დამსახურებით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, მისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინების საქმეში.

მუხლი 9. სახელმწიფო სამსახურში მიღების გამომრიცხველი გარემოებანი

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არ მიიღება სახელმწიფო სამსახურში განსაზღვრულ თანამდებობაზე იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) სასამართლოს გადაწყვეტილებით მას ჩამოერთვა ამ თანამდებობის დაკავების უფლება;
 - ბ) სამუშაოზე მიღების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ქვემდებარეობით ან კონტროლის ხაზით დაუკავშირდება იმ პირს, რომელიც მისი ახლო ნათესავია (მშობელი, მეუღლე, ძმა, და, შვილი, აგრეთვე მეუღლის ძმა, და, მშობელი და შვილი).
- ამ მუხლის „ბ“ პუნქტში დადგენილი წესიდან გამონაკლისს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 10. სახელმწიფო სამსახურში მიღების წესი

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი სახელმწიფო სამსახურში მიიღებიან დანიშნებით, არჩევით ან კონკურსით.

სახელმწიფო აპარატში თანამდებობაზე დანიშნენას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანო ან უფლებამოსილი თანამდებობის პირი, არჩევას კი — სახელმწიფო ხელისუფლების საუნიანდო ორგანოები ან უშუალოდ მოსახლეობა. კანდიდატურის წამოყენება შეუძლია სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებას და შრომით კოლექტივს. მოქალაქეს უფლება აქვს წამოაყენოს თავისი თავის კანდიდატურა ამ კანონის მე-7 და მე-9 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საპასუხისმგებლო პოსტების დაკავება სამთავრობო დაწესებულებებში წარმართება საკონკურსო სისტემის საფუძველზე.

სახელმწიფო სამსახურში კონკურსით მიღებას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები დადგენილი წესით, თანამდებობათა ნუსხების შესაბამისად.

სახელმწიფო სამსახურში მიღება ფორმდება დადგენილებით (გადაწყვეტილებით), ბრძანებით (განკარგულებით) წერილობითი შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე.

მუხლი 11. გამოცდა სახელმწიფო სამსახურში მიღებისას

სახელმწიფო სამსახურში მიღების დროს მოწმდება დასაკავებელი თანამდებობისადმი პრეტენდენტის შესაფერისობა. ამ მიზნით შეიძლება ტესტის, საგამოცდო ვადის, საკვალიფიკაციო და სხვა ფორმის გამოცდის გამოყენება.



გამოცდის მოწყობა, საგამოცდო ვადა და გამოცდის შედეგები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 12. სამსახურებრივი ფიც

სახელმწიფო სამსახურში შემსვლელი თანამდებობის დაკავების დროს დებს ფიცს, რომ დაბტაგს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და ზუსტად, კეთილსინდისიერად შეასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობებს. ფიცის ტექსტი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით და შეიცავს კონკრეტული თანამდებობის სპეციფიკით გაპირობებულ განცხადებას.

კანონით დატკმულ შემთხვევაში (კერძოდ, რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებისას), აგრეთვე სახელმწიფო სამსახურში შემსვლელისა და ადმინისტრაციის სურვილით, ფიცი საჯაროდ და საზეიმო ვითარებაში დაიდება.

სამსახურებრივი ფიცის დადება დასტურდება მის ტექსტზე სახელმწიფო სამსახურში შემსვლელის ხელის მოწერით.

პარი III.

სახელმწიფო მოსამსახურე

მუხლი 13. სახელმწიფო მოსამსახურის ცნება

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მოსამსახურე არის სახელმწიფო ორგანოში, სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებაში მომუშავე მოქალაქე, რომელზე ბრჩევით, დანიშნით ან კანონით დადგენილი სხვა გზით იმყოფება თანამდებობაზე, აღკუთვლილია შესაბამისი თანამდებობრივი უფლებამოსილებით, მოქმედებს სახელმწიფოს სახელით მისი ამოცანების განსახორციელებლად და იღებს შრომის განსაზღვრულ საზღაურს (ხელფასს).

მუხლი 14. სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი კლასიფიკაცია

სახელმწიფო მოსამსახურეთა კატეგორიები განისაზღვრება თანამდებობათა ერთიანი საკლასიფიკაციო ნუსხითა და მათი ტიპობრივი საკვალიფიკაციო განაწესით, რომელთაც პროფკავშირებთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 15. სახელმწიფო მოსამსახურეთა ძირითადი მოვალეობანი

- სახელმწიფო მოსამსახურე მოვალეა:
- მთელ თავის საქმიანობაში დაეყრდნოს და დაემორჩილოს კანონს;
 - დროულად, სრულად და კეთილსინდისიერად, მიუყვარებლად შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, არ შოიშოქმედოს ისეთი რამ,

რაც შეიძლება შეფასდეს როგორც თავისი თანამდებობის გამოყენება პირადი მიზნით;

- მტკიცედ დაიცვა: სახელმწიფო და შრომის დისციპლინა;
- კანონმდებლობის შესაბამისად განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები და საჩივრები თავისი სამსახურებრივი საქმიანობის სფეროში;
- დაიცვას სახელმწიფო და სამსახურებრივი საიდუმლოება;
- გამოავლინოს ინიციატივა, აიმაღლოს პროფესიული ცოდნა და მართვის კულტურა;

— როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში და აგრეთვე სამსახურიდან გასვლის შემდეგაც მოიქცეს იმგვარად, რომ არ შელახოს სახელმწიფო სამსახურის ინტერესები და მოსამსახურის ღირსება.

სახელმწიფო სამსახურის სხვადასხვა სფეროს მოსამსახურეთა კონკრეტული სამსახურებრივი მოვალეობანი განისაზღვრება მათ სპეციალურ უფლებებთან მიმართებით თანამდებობათა ტიპობრივი საკვალიფიკაციო განაწესის საფუძველზე.

მუხლი 16. სამსახურებრივი მორჩილების ფარგლები

სამსახურში თავისი უფროსისადმი მორჩილება, მისი კანონიერი მითითებების შესრულება სახელმწიფო მოსამსახურის პირდაპირი მოვალეობაა.

თუ აღსარულებლად მიღებული განკარგულება სახელმწიფო მოსამსახურის აზრით უკანონოა, მან ეს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თავის უშუალო უფროსს. განკარგულების ძალაში დატოვების შემთხვევაში მოსამსახურე მიმართავს შემდგომ ინსტანციას. თუ განკარგულება განმეორებითაც დადასტურდება, სახელმწიფო მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს იგი, ოღონდ იმ პირობით, რომ განკარგულების აღსრულება არ შეადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედობას.

მუხლი 17. სახელმწიფო მოსამსახურეთა უფლებები

სახელმწიფო მოსამსახურე საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქის თანაბრად სარგებლობს დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით.

სახელმწიფო მოსამსახურეებს უფლება აქვთ:

- მოსთხოვონ ადმინისტრაციას თავიანთი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრა;
- იქონიონ სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების პირობები, რომლებიც შეესაბამება უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნილებებს;
- გამოითხოვონ და მიიღონ საჭირო ინფორმაცია, გამოიყენონ თანამედროვე ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები;
- აიმაღლონ კვალიფიკაცია;
- მიიღონ დამატებითი ანაზღაურება ზეგანაკვეთური მუშაობისათვის მოკმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- შექმნან პროფესიული კავშირები და შევიდნენ ასეთ კავშირებში თავიანთი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების განხორციელებისა და დაცვის მიზნით;

— მონაწილეობა მიიღონ ვაფიცვაში იმ პირობის დაცვით, რომ მინიმალურ დონეზე მაინც იქნეს შენარჩუნებული საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სამსახურების საქმიანობა;

— გაძარტონ კოლექტიური მოლაპარაკება და დადონ შესაბამისი ხელშეკრულებანი ადმინისტრაციასთან პროფკავშირული ორგანიზაციის შუამავლობით;

— ძლიერდნენ თავიანთი უსაფრთხოებისა და ღირსების განსაკუთრებულად დაცვა ძალდატანებისა და შეურაცხყოფისაგან, რომელიც შეიძლება განიცადონ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ მოვალეობის შესრულების შედეგად.

სახელმწიფო მოსამსახურეს აქვს სამსახურში დაწინაურებისა და სამსახურიდან გადადგომის, შრომითი დავის სასამართლოში განხილვის უფლება ამ კანონითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

სახელმწიფო სამსახურის სხვადასხვა სფეროს მოსამსახურეთა სპეციალური სამსახურებრივი უფლებები განისაზღვრება მათ კონკრეტულ მოვალეობებთან მიმართებით თანამდებობათა ტიპობრივი საკვალიფიკაციო განაწესის საფუძველზე.

მუხლი 18. სახელმწიფო მოსამსახურეთა სოციალური დაცვა

სახელმწიფო მოსამსახურეებს აქვთ სოციალური დაცვის უფლება.

ინფლაციის პირობებში სახელმწიფო მოსამსახურეებს ავტომატურად გაუდიდებათ ხელფასი და სოციალური უზრუნველყოფა „მოსახლეობის შემოსავლების ინდექსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

სახელმწიფო ორგანოს, სახელმწიფო საწარმოს ან დაწესებულების ლიკვიდაციის, მუშაკთა რიცხვისა თუ შტატების შემცირების გამო საბუშაოდან დათხოვნილ სახელმწიფო მოსამსახურეს მიეცემა უმუშევრობის დასმარება კანონით დადგენილი წესით.

პარი 1V

სახელმწიფო სამსახურის პირობები

მუხლი 19. ენა, რომელზედაც წარიმართება სახელმწიფო სამსახური

სახელმწიფო სამსახური საქართველოს რესპუბლიკაში წარიმართება ქართულ ენაზე. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომლის ფარგლებში მცხოვრებ რესპუბლიკის მოქალაქეთა ნახევარზე მეტისათვის სალაპარაკო ენა არის მხოლოდ ერთი რომელიმე არაქართული ადგილობრივი ენა, სახელმწიფო სამსახური ქართულ ენასთან ერთად შეიძლება ამ ენაზედაც წარიმართოს.

ასეთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ენის ხმარების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი შესაბამისი საკრებუ-

ლოს შუამდგომლობისა და რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმების ფუძველზე.

სახელმწიფო სამსახურის ენის არცოდნა არ გამორიცხავს მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და განხორციელებას, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში ყველას შეუძლია თავის უფლება-მოვალეობათა საკითხების განხილვა-გადაწყვეტისას გამოიყენოს მშობლიური ენა ან დაინტერესებული მხარეებისათვის გასაგებო სხვა ენა.

მუხლი 20. სამსახურში დაწინაურება

სახელმწიფო მოსამსახურეებს აქვთ სამსახურში დაწინაურების თანაბარი უფლება.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ყველასათვის ერთნაირ შესაძლებლობას დაწინაურდეს სამსახურში უფრო მაღალ საფეხურზე მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟის, შრომის შედეგების, ნიჭიერებისა და კვალიფიკაციის საფუძველზე. დაწინაურება ხორციელდება მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით, პერიოდული ატესტაციითა და საატესტაციო კომისიის რეკომენდაციით.

სახელმწიფო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების, ატესტაციისა და დაწინაურების საკითხების გადაწყვეტაში ადმინისტრაციასთან ერთად მონაწილეობენ აგრეთვე პროფკავშირული ორგანოები.

მუხლი 21. სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება

სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება აქვს მიიღოს სამართლიანი ხელფასი და პერიოდული ანაზღაურებული შევსება. ისევე როგორც ანაზღაურება უქმე დღეებისათვის. შრომის ანაზღაურება უნდა უზრუნველყოფდეს თვით სახელმწიფო მოსამსახურისა და აგრეთვე მისი ოჯახის დამაკმაყოფილებელ არსებობას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განმსაზღვრელი საერთაშორისო პაქტის დიშულეობათა შესაბამისად.

სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხორციელდება თანამდებობრივი განაკვეთების სქემების, ხელფასის დანამატებისა და პრემიების საფუძველზე. თანამდებობრივი განაკვეთი განისაზღვრება მუშაკის თანამდებობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად მოცემული განაკვეთის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში. განაკვეთისა და დანამატის ოდენობა, როგორც წესი, იცვლება ატესტაციის შედეგების მიხედვით.

მუხლი 22. სახელმწიფო სამსახურით გაპირობებული შეზღუდვები

სახელმწიფო მოსამსახურეს ეკრძალება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ისარგებლოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მომსახურებით და მიიღოს მათგან უმნიშვნელო ღირებულების სუვენირების გარდა სხვა რაიმე საჩუქარი (ფული, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ნივთები და მისთანები). უცხოე-

თის ორგანიზაციებისაგან მიღებული საჩუქრები ჩაბარდება სახელმწიფოს დადგენილ წესით.

სახელმწიფო მოსამსახურეებს კომერციული საქმიანობა შეუძლიათ მხოლოდ იმ წესითა და ისეთ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

სახელმწიფო მოსამსახურეს არ შეუძლია შეასრულოს სხვა საზღვაო-რიანი სამუშაო შეთავსების პირობით (გარდა სამეცნიერო, საგამომგონებლო, პედაგოგიური და საექსპერტო საქმიანობისა).

მუხლი 23. სახელმწიფო სამსახურის ასაკობრივი ზღვარი

სახელმწიფო სამსახურში შეიძლება იყოს მამაკაცი 75 წლის ასაკამდე და ქალი 70 წლის ასაკამდე. სახელმწიფო სამსახურის ზღვრული ასაკი შეიძლება განხილავდეს, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა (ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე).

პარი V.

სახელმწიფო სამსახურის შეწყვეტა

მუხლი 24. სახელმწიფო სამსახურის შეწყვეტის საფუძველები

სახელმწიფო მოსამსახურე კანონის ძალით დაცულია თვითნებური დათხოვნისაგან.

სახელმწიფო სამსახურის შეწყვეტის საფუძველებია:

- ა) მოსამსახურისა და ადმინისტრაციის შეთანხმება;
- ბ) არჩევითი თანამდებობისათვის დაწესებული ვადის გასვლა;
- გ) სახელმწიფო სამსახურის ასაკობრივი ზღვარი, რომელიც დადგენილია ამ კანონის 23-ე მუხლით;
- დ) სახელმწიფო მოსამსახურის გადადგომა;
- ე) სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევა;
- ვ) დაკავებულ თანამდებობასთან შეუფერებლობა;
- ზ) სახელმწიფო სამსახურში შესვლის წესების დარღვევა;
- თ) სხვა გარეშობიანი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობით.

მუხლი 25. სახელმწიფო სამსახურის შეწყვეტის წესი

სახელმწიფო მოსამსახურეს სამუშაოდან დაითხოვს ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) უფლება.

ადმინისტრაციის ინიციატივით სახელმწიფო სამსახურიდან დათხოვნა ხორციელდება შესაბამისი პროფკავშირის კომიტეტის წინასწარი თანხმობით. პროფკავშირის კომიტეტის თანხმობა საჭირო არ არის ამ კანონის 24-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებულ



შემთხვევებში, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს, სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულების ლიკვიდაციის დროს.

სახელმწიფო ორგანოს, სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულების ლიკვიდაციის გამო მოსამსახურეთა მოსალოდნელი დათბოვნა ადმინისტრაციამ არანაკლებ სამი თვით ადრე მიინც უნდა აცნობოს პროფკავშირების შესაბამის გაერთიანებას.

დათბოვნა დაკავებულ თანამდებობასთან შეუფერებლობის გამო დასაშვებია, თუ სახელმწიფო მოსამსახურის კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი გადაყვანა სხვა სამუშაოზე იმავე ორგანოში, საწარმოსა და დაწესებულებაში.

სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებს ახალი შემადგენლობის არჩევა იწვევს მხოლოდ იმ მოსამსახურეთა უფლებამოსილების შეწყვეტას, რომელთაც ირჩევს ან ნიშნავს შესაბამისი ორგანო, თანამდებობიდან განსათავისუფლებელს უზრუნველყოფილი აქვს სამუშაო მისი კვალიფიკაციის შესაბამისად ან გადადგომა.

მუხლი 26. სახელმწიფო მოსამსახურის გადადგომა

სახელმწიფო მოსამსახურეს შეუძლია გადადგეს სამსახურიდან იმ წესითა და ისეთ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

სამსახურიდან გადადგომის დროს სახელმწიფო მოსამსახურეს მიეცემა ხელფასი ექვსი თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობით.

საპენსიო ასაკს მიუღწეველ გადამდგარ სახელმწიფო მოსამსახურეს — მაშაყაც 25 წლისა და ქალს 20 წლის საერთო შრომითი სტაჟის პირობით, მისი განცხადების შესაბამისად დაენიშნება მოზუცებულობის პენსიის 70 პროცენტი. საპენსიო ასაკის შესრულების შემდეგ პენსია გაიკემა სრული ოდენობით.

მუხლი 27. სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომითი დავა

სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომითი დავა განიხილება საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული წესით.

პარტი VI.

სახელმწიფო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობა

მუხლი 28. პასუხისმგებლობა სამსახურებრივი სამართალდარღვევისათვის

სამსახურებრივი სამართალდარღვევისათვის სახელმწიფო მოსამსახურეს დაეკისრება დისციპლინური, მატერიალური, ადმინისტრაციული ან სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. სამსახურებრივი გადაცდომის შემთხვევაში გამოიყენება აგრეთვე ზნეობრივი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების სახით. პასუხისმგებლობის სახეობა და ზომა განისაზღვრება სამართალდარღვევის კვალობაზე იმ საფუძვლითა და წესით, რაც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით, ერთი სახის პა-

სუბსიდიებში მიცემა არ ათავისუფლებს სახელმწიფო მოსამსახურეს სხვაგვარი პასუხისმგებლობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული კატეგორიის სახელმწიფო მოსამსახურეებს დაეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა ისეთი გადაცდომისთვისაც, რომელიც თუმცა არ წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობისა და შრომის დისციპლინის დარღვევას, მაგრამ შეუთავსებელია ამ კატეგორიის მოსამსახურის ღირსებასა და დანიშნულებასთან მისი ფუნქციების განსაკუთრებული ხასიათის გამო.

მოსახლეობისა და ორგანიზაციების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამახინჯებასა და დამალვაში ბრალეული სახელმწიფო მოსამსახურე შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობის ქმედობის ხასიათისა და ზიანის ოდენობის მიხედვით.

მოსამსახურის ისეთი ქმედობის შემთხვევაში, რომელიც იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, სახელმწიფო ორგანოს, სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია გადასცეს სათანადო მასალები მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოებს და მათი დადგენილების საფუძველზე გადააყენოს სახელმწიფო მოსამსახურე თანამდებობიდან საკითხის არსებითად გადაწყვეტამდე.

მუხლი 29. მომეტებული პასუხისმგებლობა სამსახურებრივი სამართალდარღვევისათვის

სახელმწიფო მოსამსახურეთა განსაზღვრულ ნაწილს, მათი შრომის თავისებურების, მუშაობაში უფრო მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის საჭიროების გათვალისწინებით დაეკისრება მომეტებული პასუხისმგებლობა. ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება მხოლოდ კანონით ზუსტად დათქმულ შემთხვევებში.

მუხლი 30. სამსახურებრივი სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

სახელმწიფო მოსამსახურეს გარანტირებული აქვს მისი სამსახურებრივი სამართალდარღვევის საქმის განხილვაში პირადი მონაწილეობისა და დაცვის, დაკისრებული პასუხისმგებლობის გასაჩივრებისა და ამასთან დაკავშირებით ყველა საჭირო მასალისა თუ დოკუმენტის გაცნობის უფლება.

მუხლი 31. პასუხისმგებლობა არასამსახურებრივი სამართალდარღვევისათვის

არასამსახურებრივი სამართალდარღვევისათვის სახელმწიფო მოსამსახურეს პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს რესპუბლიკის ყველა სხვა მოქალაქის თანაბრად, უფლება-მოვალეობათა თანასწორობისა და პასუხისმგებლობაში მიცემის ერთნაირი პირობების (სამართალდარღვევის ფაქტის, ბრალეულობის, ერთიანი საპროცესო თუ საგამოძიებო წესებისა და ერთგვაროვანი სამართალწარმოების) საფუძველზე.

კონვენცია მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ

1950 წლის 21 აგვისტო*

მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ ქენევის 1929 წლის 27 ივლისის კონვენციის განმარტების მიზნით, 1949 წლის 21 აპრილიდან 12 აგვისტოს ჩათვლით, ქენევაში ჩატარებულ დიპლომატიურ კონფერენციაზე დამსწრე მთავრობათა ქვემორეხელისმომწერნი უფლებამოსილი წარმომადგენლები შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

თავი I

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიებას იღებენ, ნებისმიერ პირობებში შეასრულონ და აიძულონ შესრულონ მოცემული კონვენცია.

მუხლი 2. გარდა დებულებებისა, რომლებიც ძალაში უნდა შევიდეს ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს, მოცემული კონვენცია გამოყენებულ იქნება გამოცხადებული ომის შემთხვევაში ან მოლაპარაკებაში მონაწილე ორ ან რამდენიმე მხარეს შორის ნებისმიერი სახის შეიარაღებული კონფლიქტის დროს იმ შემთხვევაშიც თუ ერთ-ერთი მხარე არ ცნობს ომის აღმავლობას.

* კონვენცია ძალაში შევიდა 1950 წლის 21 ოქტომბერს. ხს. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიხედვით, რომელიც მოახდინა 1954 წლის 27 აპრილს.

კონვენცია გამოყენებული იქნება მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების ტერიტორიის მთლიანი ან ნაწილობრივი ოკუპაციის შემთხვევაში მაშინაც კი, თუ ამ ოკუპაციას არ შეეხება შეიარაღებული წინააღმდეგობა.

თუ კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარე არ არის მოცემული კონვენციის მონაწილე, ამის მიუხედავად, კონფლიქტში მონაწილე მხარეები თავიანთ ურთიერთობებში ეფუძნებიან კონვენციას. ამას გარდა, ისინი თავიანთ ურთიერთობაში აღნიშნულ მხარესთან ეფუძნებიან კონვენციას, თუ ეს ქვეყანა იზიარებს და ასრულებს კონვენციის დებულებებს.

მუხლი 3. არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც ხდება მოლაპარაკებაში მონაწილე ერთერთი მხარის ტერიტორიაზე, კონფლიქტში მონაწილე მხარეები ვალდებული არიან, დაიცვან როგორც მინიმუმი, შემდეგი დებულებები:

1. პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, შეიარაღებული ძალების იმ წარმომადგენელთა ჩათვლით, რომლებმაც იარაღი დაყარეს, ასევე იმათი ჩათვლით, რომლებიც საომარ მოქმედებებზე გამოეთიშნენ ავადმყოფობის, დაჭრის, დაკავების ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, ყველა პირობაში უნდა სარგებლობდნენ ჰუმანური მოპყრობით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, რელიგიის ან რწმენის, სქესის წარმომავლობის ან ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ანალოგიური კრიტერიუმების საფუძველზე.

ამ მიზნით, აკრძალულია და ყოველთვის და ყველგან აკრძალული იქნება ზემოხსენებულ პირთა მიმართ შემდეგი ქმედებები:

a) სიცოცხლის ხელყოფა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევა, კერძოდ — მკვლელობის, დასახიჩრების, სასტიკი მოპყრობის, წამების და ტანჯვის ნებისმიერი სახე;

b) მძევლად აყვანა;

c) აღამიანური ღირსების შელახვა, კერძოდ — შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;

d) ცივილიზებული ერების მიერ აუცილებლობად აღიარებული სასამართლო გარანტიების დაცვის და შესაბამისად, დაფუძნებული სასამართლოს მიერ გამოტანილი წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გასამართლება და განაჩენის სისრულეში მოყვანა.

e) დაჭრილებს და ავადმყოფებს გაუწევინ შესაბამისი დახმარებას.

ისეთ მიუხეობებელ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, როგორც არის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, შეუძლია შესთავაზოს თავისი სამსახური კონფლიქტში მონაწილე მხარეებს.

ამის გარდა, კონფლიქტში მონაწილე მხარეები ეცდებიან სპეციალური შეთანხმებების გზით აამოქმედონ მოცემული კონვენციის ყველა დანარჩენი დებულება ან მათი ნაწილი.

ზემოხსენებულ დებულებათა გამოყენება არ შეეხება კონფლიქტში მონაწილე მხარეების იურადიულ სტატუსს.

მუხლი 4. ნეიტრალური სახელმწიფოები ანალოგიურად გამოიყენებენ მოცემული კონვენციის დებულებებს დაპირილების და ავადმყოფების, მათ ტერიტორიაზე მყოფი ან ინტერნირებული, კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის წარმომადგენელი სანიტარული და სასულიერო პერსონალის, აგრეთვე მიცვალებულების მიმართ.

მუხლი 5. მოცემული კონვენცია გამოიყენება მოწინააღმდეგის ხელში ჩაგარდნილი, მფარველობის ქვეშ მყოფი პირების მიმართ მათ საბოლოო რეპატრაციამდე.

მუხლი 6. ვარდა 10, 15, 23, 28, 31, 36, 37, და 52 მუხლებში გათვალისწინებული შეთანხმებებისა, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ, დადონ სხვა სპეციალური შეთანხმებები ნებისმიერი საკითხის გარშემო, რომლის განსაკუთრებულად მოგვარებასაც ისინი მიზანშეწონილად ჩათვლიან, არცერთმა შეთანხმებამ არ უნდა მიაყენოს ზარალი ამ კონვენციით დადგენილ ავადმყოფთა და დაპირილთა, აგრეთვე, სანიტარული და სასულიერო პერსონალის მდგომარეობას, არ უნდა შეიზღუდოს მათთვის მინიჭებული უფლებები.

ავადმყოფები და დაპირილები, აგრეთვე სანიტარული და სასულიერო პერსონალი აგრძელებს ამ შეთანხმებით მინიჭებული უფლებებით სარგებლობას მთელი დროის განმავლობაში, ვიდრე მათზე ვრცელდება კონვენცია, გარდა შემთხვევებისა, როცა ძალაში შედის ზემოხსენებული ან მოგვიანებით დადებული შეთანხმებების საპირისპირო პირობები, ან კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის მიერ დადგენილი უფრო ხელსაყრელი ღონისძიებები.

მუხლი 7. ავადმყოფებმა და დაპირილებმა, ასევე სანიტარულმა და სასულიერო პერსონალმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვან, მთლიანად ან ნაწილობრივ, უარი იმ უფლებებზე, რომლებითაც ისინი უზრუნველყოფილნი არიან მოცემული კონვენციით და წინა მუხლში გათვალისწინებული სპეციალური შეთანხმებებით, თუ ამგვარი შეთანხმებები დაიდო.

მუხლი 8. მოცემული კონვენციის გამოყენება ხდება მფარველი სახელმწიფოს ხელშეწყობით და კონტროლით. მფარველ სახელმწიფოს ეკისრება კონფლიქტში მყოფი მხარეების ინტერესების დაცვა. ამ მიზნით, მფარველ სახელმწიფოებს შეუძლიათ, გარდა თავისი დიპლომატიური ან საკონსულოს პერსონალისა, დანიშნონ დელეგატები თავიანთი მოქალაქეების ან სხვა ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეებისაგან. ამ დელეგატების დანიშვნაზე მიღებულ უნდა იქნეს იმ ქვეყნის თანხმობა, სადაც მათ უნდა შეასრულონ თავიანთი მისია. კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა მაქსიმალურად შესაძლებელ ფარგლებში უნდა შეამსუბუქონ მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლების ან დელეგატების მუშაობა.

მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლები ან დელეგატები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადასცილდნენ მოცემული კონვენციით განსაზღვრული მისიის ფარგლებს. კერძოდ, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ იმ სახელმწიფოს უშიშროების საკითხები, რომელშიც ასრულებენ თავიანთ მისიას. მხოლოდ გადაუდებელი საომარი მოთხოვნები იძლევა უფლებას — დროებით და გამოწაკლისის სახით შეიზღუდოს მათი მოღვაწეობა.

მუხლი 9. მოცემული კონვენციის დებულებები ხელს არ უშლის ჰუმანიტარულ მოქმედებებს, რომლებიც შეიძლება განახორციელოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ან ნებისმიერმა სხვა მიუმხრობელმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ დაჭრილთა და ავადმყოფთა, აგრეთვე, სანიტარული და სასულიერო პერსონალის დასაცავად, მათთვის დახმარების გასაწევად, კონფლიქტში მყოფი დაინტერესებული მხარეების თანხმობით.

მუხლი 10. მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რათა რომელიმე ორგანიზაციას, რომელიც იძლევა სრული მიუმხრობლობის და ქმედითობის გარანტიას, ანდონ მოცემული კონვენციით მფარველ სახელმწიფოზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

თუ დაჭრილებსა და ავადმყოფებზე ან სანიტარულ და სასულიერო პერსონალზე რაიმე მიზეზით არ ვრცელდება ან აღარ ვრცელდება რომელიმე მფარველი სახელმწიფოს ან პირველ აბზაცში მითითებული ორგანიზაციის მოღვაწეობა, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლების ქვეშაც არიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირები, თხოვნით უნდა მიმართოს ნეიტრალურ სახელმწიფოს ან ამგვარ ორგანიზაციას, თავის თავზე აიღოს კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ დასახელებული მფარველი სახელმწიფოს მოცემული კონვენციით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება.

თუ არ მოხერხდა მფარველობის განხორციელება აღნიშნული ხერხით, სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშაც იმყოფებიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირები, თხოვნით მიმართავს რომელიმე ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, მაგალითად, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ან მოცემული მუხლის დებულებათა გათვალისწინებით იღებს ამგვარი ორგანიზაციის თხოვნას თავის თავზე აიღოს მოცემული კონვენციით მფარველ სახელმწიფოებზე დაკისრებული ჰუმანიტარული ფუნქციების შესრულება.

აღნიშნული მიზნების შესრულებისათვის დაინტერესებული სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ან მოწვეული ნებისმიერი სახელმწიფო ან ორგანიზაცია უნდა მოქმედებდეს იმ მხარისადმი პასუხისმგებლობით, რომელიც მონაწილეობს კონფლიქტში და რომლის სახელზეც ირიცხებიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირები, წარმოადგინოს გარანტიები, რომ მას შეუძლია თავის თავზე აიღოს შესაბამისი ფუნქციები და მათი მიუკერძოებლად შესრულება.

ზემოხსენებული დებულებების დარღვევა არ ხდება სახელმწიფოთაშორის სპეციალური შეთანხმებებით, როცა ერთ-ერთი სახელმწიფო, თუნდაც დროებით, შეზღუდულია და თავისუფლად ვერ აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოსთან ან მოკავშირეებთან საომარი მდგომარეობის გამო. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ოკუპირებულია მოცემული სახელმწიფოს მთელი ტერიტორია ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. ყოველთვის, როცა მოცემულ კონვენციაში ნახსენებია მფარველი სახელმწიფო, ეს გულისხმობს ორგანიზაციასაც, რომელიც ცვლის მას ამ მუხლის თანახმად.

მუხლი 11. მფარველი სახელმწიფოები ყოველთვის, როცა ამას ჩათვლიან ხელსაყრელად, მფარველობის ქვეშ მყოფი პირებისათვის, კერძოდ — კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის უთანხმოების დროს მოცემული კონვენ-



ციის დებულებათა გამოყენების ან გაგების თაობაზე, გაუწევინ დახმარებას უთანხმოებათა მოგვარების მიზნით.

ამ მიზნით, მფარველ სახელმწიფოს შეუძლია ერთ-ერთი მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით შესთავაზოს მხარეებს მათი წარმომადგენლების, კერძოდ — იმ ხელისუფალთა თათბირი, რომელთაც ეკისრებათ დაჭრილებსა და ავადმყოფებზე, ასევე, სანიტარულ და სასულიერო პერსონალზე ზრუნვა, თათბირი შეიძლება გაიმართოს ნეიტრალურ, შესაბამისად შერჩეულ ტერიტორიაზე. კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა უნდა გამოიყენონ შეთავაზებული წინადადებანი. მფარველ სახელმწიფოებს შეუძლიათ აუცილებლობის შემთხვევაში მხარეებს მხარდასაჭერად წარუდგინონ ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენელი ან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ დელეგირებული პირი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ თათბირში.

თავი II

დაჭრილები და ავადმყოფები

მუხლი 12. შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობა და სხვა პირები, რომლებიც მითითებული არიან მომდევნო მუხლში, უნდა სარგებლობდნენ ნებისმიერ პირობებში მფარველობით და დაცვით დაჭრის ან ავადმყოფობის შემთხვევაში.

კონფლიქტში მონაწილე მხარე, რომლის ხელისუფლების ქვეშაც ისინი იმყოფებიან, უზრუნველყოფს მათ ჰუმანური მოპყრობით და მოვლით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, ეროვნების, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების ან სხვა კრიტერიუმების საფუძველზე. მკაცრად იკრძალება მათ სიცოცხლეზე თავდასხმა, იკრძალება მათი ამოხოცვა, წამება, ბიოლოგიური ცდების ჩატარება, წინასწარი განზრახვით სამედიცინო მომსახურების და მოვლის გარეშე დატოვება, მათი დაავადებისათვის პირობების შექმნა.

უპირატესობის მინიჭება სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას დაშვებულია მხოლოდ გადაუდებელი სამედიცინო მიზეზებით.

ქალებს უნდა მოეპყრან მათი სქესისადმი შესაფერისი განსაკუთრებული პატივისცემით.

კონფლიქტში მონაწილე მხარე, რომელიც იძულებულია მოწინააღმდეგეს დაუტოვოს დაჭრილები ან ავადმყოფები, ტოვებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია საომარი მოთხოვნების გათვალისწინებით, თავისი სანიტარული პერსონალისა და აღჭურვილობის ნაწილს მათ მოსავლელად.

მუხლი 13. მოცემული კონვენცია გამოიყენება დაჭრილებისა და ავადმყოფების მიმართ, რომლებიც ეკუთვნიან შემდეგ კატეგორიებს:

1. კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, ასევე, ამ შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი თავდაცვის და მოხალისეთა რაზმების პირადი შემადგენლობა.

2. თავდაცვის და მოხალისეთა სხვა რაზმების პირადი შემადგენლობა, კონფლიქტში მონაწილე მხარის წინააღმდეგობის ორგანიზებული მოძრაობების პირადი შემადგენლობის ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ საკუთარ ტერიტორიაზე ან მის გარეთ, ტერიტორიის ოკუპაციის დროსაც კი, თუ აღნიშნული რაზმები და ორგანიზებული მოძრაობები აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- a) მათ მეთაურობს პირი, რომელიც პასუხს აგებს ქვეშევრდომებზე;
- b) აქვთ გარკვეული და შორიდან ადვილად გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი;
- c) ღიად ატარებენ იარაღს;
- d) თავიანთი მოქმედებებით იცავენ ომის კანონებს.

3) იმ რეგულარულ შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობა, რომელიც ემორჩილება მთავრობას ან ხელისუფლებას, რომელიც არ არის აღიარებული ტყვეობაში მყოფ მთავრობად ან ხელისუფლებად.

4. პირები, რომლებიც არ შედიან უშუალოდ შეიარაღებულ ძალებში, მაგრამ მოსდევენ მას, მაგალითად — საომარი თვითმფრინავების ეკიპაჟში შემავალი სამოქალაქო პირები, საომარი კორესპონდენტები, მომმარაგებლები, საშუალო ჯგუფთა და სამსახურთა პირადი შემადგენლობა, რომელსაც ეკისრება შეიარაღებული ძალების საყოფაცხოვრებო მომსახურება იმ პირობით, რომ მათ ნებადართული აქვთ ახლდნენ შეიარაღებულ ძალებს.

5. კონფლიქტში მონაწილე მხარეთა სავაჭრო ფლოტის გემების ეკიპაჟის წევრები, კაპიტნების, ლოცმანების და იუნგების ჩათვლით, აგრეთვე სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის რაიმე სხვა დებულებათა ძალით არ სარგებლობენ უფრო შეღავათიანი რეჟიმით.

6. არაოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა, რომელიც მოწინააღმდეგის მოახლოებისთანავე სტიქიურად იღებს ხელთ იარაღს, მაგრამ არ არის ფორმირებული რეგულარული არმიის სახით, ღიად ატარებს იარაღს და იცავს ომის კანონებს.

მუხლი 14. წინა მუხლის დებულებათა გათვალისწინებით მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილი მეომარი მხარის დაჭრილები და ავადმყოფები ჩაითვლებიან სამხედრო ტყვეებად და მათზე გავრცელდება სამხედრო ტყვეების შესახებ არსებული საერთაშორისო სამართლის ნორმები.

მუხლი 15. ყოველ დროს, განსაკუთრებით ბრძოლის შემდეგ, კონფლიქტში მონაწილე მხარეები დაუყოვნებლივ მიიღებენ ზომებს, რათა მოჭებნონ დაჭრილები და ავადმყოფები, დაიცვან ისინი გაძარცვისა და უდიერად მოპყრობისაგან, უზრუნველყონ მათი მოვლა, ასევე მოძებნონ გარდაცვლილი და აღკვეთონ მათი გაძარცვა.

ყოველ დროს, როცა კი იქნება შესაძლებლობა, დაიდება შეთანხმებები დაზავების ან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ან ადგილობრივი შეთანხმებები, რათა ბრძოლის ველიდან გაიყვანონ დაჭრილები, მოახდინონ მათი ტრანსპორტირება, ასევე გაცვლა.

კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის თანაბრად შეიძლება დაიდოს ადგილობრივი შეთანხმებები ალყაშემორტყმული ზონიდან დაჭრილთა და ავადმყოფთა ევაკუაციის შესახებ, მათი გაცვლის შესახებ და ამ ზონაში სანიტარული და სასულიერო პერსონალის და ქონების შეშვების შესახებ.

მუხლი 16. კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა შესაძლებლობისთანავე უნდა მოახდინონ ყველა მონაცემის რეგისტრაცია, რომელიც ზეღის შეოქმედს მათ ხელში ჩავარდნილი მოწინააღმდეგე მხარის დაქრილთა, ავადმყოფთა და მოკლულთა პიროვნულობის დადგენას. ეს მონაცემები უნდა შექმნდეს საკითხებს:

- a) სახელმწიფო, რომელსაც ეკუთვნის მოცემული პირი;
- b) სამხედრო ან პირადი ნომერი;
- c) გვარი;
- d) სახელი ან სახელები;
- e) დაბადების წელი;
- ქ) ყველა სხვა მონაცემი, რომელიც შედის მის პირადობის მოწმობაში ან ამოსაცნობ შედალიონში;
- გ) ტყვედ ჩავარდნის ან გარდაცვალებას ადგილი და რიცხვი;
- h) მონაცემები დაქრის, ავადმყოფობის შესახებ, ან გარდაცვალების მიზეზები.

ზემოხსენებული მონაცემები უმოკლეს დროში გადაეცემა 1949 წლის 12 აგვისტოს სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის კონვენციის 122-ე მუხლში მითითებულ ცნობათა ბიუროს. ბიურო მიღებულ მონაცემებს გადასცემს შესაბამის სახელმწიფოს მფარველი სახელმწიფოს ან სამხედრო ტყვეების საქმეთა შესახებ ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით.

კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა ამავე ბიუროს მეშვეობით ერთმანეთს უნდა გადასცენ გარდაცვალების მოწმობები ან სათანადოდ დამოწმებული გარდაცვლილთა სიები.

ისინი ერთმანეთს გადასცემენ ორმაგი ამოსაცნობი შედალიონების ნაწილებს, ანდერძებს და სხვა დოკუმენტებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ გარდაცვლილთა ოჯახებისათვის ასევე ფულს და ყოველგვარი სუბიექტური თუ ობიექტური ფასეულობის მქონე ნივთებს, რომლებიც ნაპოვია გარდაცვლილებზე. ეს ნივთები, აგრეთვე ამოუცნობი ნივთები, გადაეცემა დალუქულ პაკეტებში განცხადებასთან ერთად, რომელიც შეიცავს მონაცემებს გარდაცვლილთა პირადობის დასადგენად და პაკეტების შემადგენლობის სრულ ნუსხას.

მუხლი 17. კონფლიქტში მონაწილე მხარეები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რათა გარდაცვლილთა დასაფლავება ან კრემაცია მოხდეს რამდენადაც შესაძლებელია ინდივიდუალურად და მას წინ უნდა უფლოდეს, თუ შესაძლებელია. — სამედიცინო გასინჯვა სიკვდილის კონსტატაციის მიზნით, პიროვნების დადგენის გაადვილების მიზნით ამოსაცნობი ორმაგი შედალიონის ერთი ნაწილი ან თავად შედალიონი, თუ ის ორდინარულთა, რჩება სხეულზე.

ცხედრები დაიწვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ნაკარანხევია სანიტარული ხასიათის მოსაზრებებით ან მიცვალებულთა რელიგიური წარმოდგენებით, კრემაციის მიზეზების შესახებ დაწვრილებით უნდა იყოს განცხადებული გარდაცვალების შესახებ აქტში ან მიცვალებულთა დამოწმებულ სიაში.

ამას გარდა, კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა ყურადღება უნდა მიექციონ, რომ მიცვალებულები დაიკრძალონ პატივით, თუ შესაძლებელია — მათი რელიგიური წესების დაცვით, რათა საფლავებს პატივი ეცეს, მათ უნდა მოუპარონ და იმგვარად აღნიშნონ, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს მათი მოძებნა.

ამ მიზნით საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე იქმნება სასაფლაოთა ოფიციალური სამსახური, რათა შესაძლებელი გახდეს მომავალში ექსპლუატაცია, უზრუნველყოფილი იქნეს, საფლავების ადგილმდებარეობის მიუხედავად, ცხენდართა ამოცნობა და მათი გადასვენება სამშობლოში. იგივე ენება მიცვალებულთა ფერფლსაც, რომელთაც ინახავს სამსახური, ვიდრე არ მიიღებს რაიმე გასაქარგულებას გარდაცვლილის სამშობლოდან.

როგორც კი შესაძლებლობა იქნება, სულ უგვიანეს — საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ, ეს სამსახურები მე-16 მუხლის მეორე აბზაცში პითითებული ცნობათა ბიუროს მეშვეობით, გაცვლიან სიებს, რომლებშიც პითითებულია საფლავთა ზუსტი ადგილმდებარეობა და აღნიშვნა, ასევე, მონაცემები დაკრძალულთა შესახებ.

მუხლი 18. სამხედრო ხელისუფლებმა შეიძლება მოწოდებით მიმართონ ადგილობრივ მცხოვრებთ მოუარონ დაჭრილებს და ავადმყოფებს.

პირები, რომლებიც გამოეხმაურებიან ამ მოწოდებას, სარგებლობენ მფარველობით და შეღავათებით, თუ მოწინააღმდეგე მხარემ აღადგინა ან დაამყარა თავისი კონტროლი მოცემულ რაიონზე, იგი ამ პირებსაც ასევე უზრუნველყოფს მფარველობით და შეღავათებით.

სამხედრო ხელისუფლებამ ნება უნდა დართოს მოსახლეობას და საქველმოქმედო საზოგადოებებს, ოკუპაციის რაიონებშიც კი, თავისი სურვილით მოუარონ დაჭრილებს და ავადმყოფებს ეროვნების განურთქვლად. სამოქალაქო მოსახლეობა პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს დაჭრილებს და ავადმყოფებს, არ უნდა მიმართოს შათღამი ძალადობას.

არავის დევნა ან სამართალში მიცემა არ შეიძლება იმის გამო, რომ ის უვლიდა დაჭრილებს ან ავადმყოფებს.

მოცემული კონვენციის დებულებანი არ ათავისუფლებენ ოკუპაციის მომხდენ სახელმწიფოს ვალდებულებებისაგან, რომლებიც მას ეკისრება დაჭრილების და ავადმყოფების მიმართ სანიტარული და მორალური დახმარების სფეროში.

თავი III

სანიტარული ფორმირებანი და დაწესებულებანი

მუხლი 19. მუდმივი სანიტარული დაწესებულებანი და სამედიცინო სამსახურის მოძრავი სანიტარული ფორმირებანი არავითარ შემთხვევაში არ განიცდიან თავდასხმას, ყოველთვის სარგებლობენ კონფლიქტში მყოფი მხარეების მფარველობით და დაცვით. მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრისას ისინი აგრძელებენ ფუნქციონირებას იქამდე, ვიდრე დამპყრობელი სახელმწიფო თავად არ უზრუნველყოფს აღნიშნულ დაწესებულებებსა და ფორმირებებში მყოფი დაჭრილების და ავადმყოფების სათანადო მოვლას.

შესაბამისი ხელისუფალნი იზრუნებენ, რომ ზემონახსენები სანიტარული



დაწესებულებები და ფორმირებები შეძლებისამაბრ ისე განლაგდეს, რომ საფრთხე არ შეექმნას სამხედრო ობიექტებზე თავდასხმის შემთხვევაში.

მუხლი 20. ჰოსპიტალური გემები, რომლებიც იმყოფებიან 1949 წლის 12 აგვისტოს მიღებული საზღვაო შეიარაღებული ძალების დაქრილი, ავადმყოფი და გემის კატასტროფაგამოვლილი პირების შესახებ კონვენციის მფარველობს ქვეშ, არ უნდა განიცდიდნენ თავდასხმას ხმელეთიდან.

მუხლი 21. მფარველობა, რომლითაც სარგებლობენ მუდმივი სანიტარული დაწესებულებების და სანიტარული საშსახურის მოძრავი სანიტარული ფორმირებები, შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი მფარველობას გამოიყენებენ, გარდა თავისი ჰუმანური ვალდებულებების შესრულებისა, მოწინააღმდეგის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებებისათვის. მაგრამ მფარველობა შეწყდება მხოლოდ შესაბამისი გაფრთხილებით დაწესებული მისაღები გადის გასვლის შემდეგ თუ გაფრთხილებამ არ მოიტანა შედეგი.

მუხლი 22. მე-19 მუხლით გათვალისწინებული მფარველობა სანიტარული ფორმირებების და დაწესებულებებისა არ შეწყდება შემდეგი გარემოებების დროს:

1. თუ სანიტარული ფორმირების ან დაწესებულების პირადი შემადგენლობა შეიარაღებულია და სარგებლობს თავისი იარაღით თავდაცვის ან დაჭრილებისა და ავადმყოფების დაცვისათვის;
2. თუ შეარაღებული სანიტარების არყოფნის გამო ფორმირებას ან დაწესებულებას იცავს პიკეტი, გუშაგი ან ბადრაგა (მცველთა რაზმი);
3. თუ სანიტარულ ფორმირებასა და დაწესებულებაში ნაპოვნი იქნება დაჭრილებისა და ავადმყოფებისათვის ჩამორთმეული იარაღი და საბრძოლო მარაგი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩაბარებული დანიშნულებისამებრ;
4. თუ ფორმირებას ან დაწესებულებაშია პირადი შემადგენლობა და ქონება ვეტერინარული სამსახურისა, რომელიც არ წარმოადგენს მათ უშუალო შემადგენელ ნაწილს;
5. თუ სანიტარული ფორმირებების ან დაწესებულებების ან მათი პერსონალის ჰუმანიტარული მოღვაწეობა ვრცელდება დაჭრილ და ავადმყოფ სამოქალაქო პირებზეც.

მუხლი 23. მშვიდობიან პერიოდში მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს, ხოლო საომარი მოქმედებების დაწყების შემდგომ, კონფლიქტში მყოფ მხარეებს, შეუძლიათ თავის ტერიტორიაზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — ოკუპირებულ ტერიტორიაზე — შექმნან სანიტარული ზონები და ადგილები. ისინი იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ საომარი მოქმედებებისაგან დაიცვას დაჭრილები და ავადმყოფები, ასევე პერსონალი, რომელსაც აქვს რაიმე ზონების და ადგილების მოწყობა და მართვა, აქ მყოფ პირთა მოვლა.

სანიტარული მოქმედებების დაწყებისა და მიმდინარეობის დროს, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ შეთანხმებები მათ მიერ შექმნილი სანიტარული ზონების და ადგილების ურთიერთცნობის შესახებ. ამ მიზნით, მათ შეუძლიათ დადონ შეთანხმებები მათ მიერ შექმნილი სანიტარული ზონების და ადგილების ურთიერთცნობის შესახებ, ასევე, მათ შეუძლიათ ისარგებლონ მოცემულ კონვენციაზე დართული შეთანხმების პროექტში მითითე-



ბული დებულებებით* (დამატება I — „სანიტარული ზონების და ადგილების შესახებ შეთანხმების პროექტი“ მოყვანილი არ არის იხ. სსრკ-ს მიერ უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული მოქმედი ხელშეკრულებების, შეთანხმებების და კონვენციების კრებული, გამოშვება XVI, მოსკოვი, 1957 წ., გვ. 97-99). შეიტანონ მათთვის აუცილებელი დამატებანი.

მფარველი სახელმწიფოები და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მოწვეულნი იქნებიან, რათა დახმარება აღმოუჩინონ და გააადვილონ ამ სანიტარული ზონების და ადგილების შექმნა და აღიარება.

თავი IV

პირადი შემადგენლობა

მუხლი 24. მხოლოდ სანიტარული ფორმირებების და დაწესებულებების აღმინისტრაციის დაქვემდებარებული პირადი სანიტარული შემადგენლობა, რომელიც ახორციელებს დაკრილთა და ავადმყოფთა მოძიებას, ტრანსპორტირებას ან მკურნალობას, ასევე, შეიარაღებულ ძალებში მყოფი სასულიერო პირები, სარგებლობენ პატივისცემითა და მფარველობით ყველა გარემოებაში.

მუხლი 25. შეიარაღებულ ძალთა გამოყენებისას სპეციალურად განსწავლული პირადი შემადგენლობა, საჭიროების შემთხვევაში, დამხმარე ძალებს და ავადმყოფების მოძიების, ტრანსპორტირების ან მკურნალობისათვის საჭირო სანიტარების და მეზარგულების სახით. ასევე ისარგებლებს პატივისცემითა და მფარველობით ამ მოვალეობათა აღსრულების დროს იმ მომენტში, როცა აღმოჩნდებიან მოწინააღმდეგესთან პირისპირ ან მისი ძალაუფლების ქვეშ.

მუხლი 26. 24-ე მუხლში მოხსენებულ პირად შემადგენლობას უთანაბრდება წითელი ჯვრის ეროვნულ საზოგადოებათა და დახმარების სხვა ნებაყოფლობით საზოგადოებათა პირადი შემადგენლობა, შესაბამისად აღიარებული და უფლებამოსილი თავისი მთავრობის მიერ — საზოგადოებები, რომლებიც გამოიყენება იმავე მიზნებისათვის, რომლებიც მითითებულია დასახელებულ მუხლში, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ საზოგადოებათა პირადი შემადგენლობა ემორჩილება ომის კანონებს და განკარგულებებს.

მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარე მეორე მხარეს აცნობებს მშვიდობიან დროს ან საომარი მოქმედებების დაწყების ან მიმდინარეობის დროს, ყოველ შემთხვევაში, ზემოხსენებულ საზოგადოებათა მოღვაწეობის დაწყებამდე, იმ საზოგადოებების დასახელებას, რომელთაც უფლებამოსილად თვლის დახმარება გაუწიონ შეიარაღებულ ძალთა ოფიციალურ სანიტარულ სამსახურს.

მუხლი 27. ნეიტრალური ქვეყნის მიერ აღიარებულმა საზოგადოებამ თავისი პირადი შემადგენლობით ან სანიტარული ფორმირებებით შეიძლება დახმარება გაუწიოს კონფლიქტში მყოფ მხარეს მხოლოდ თავისი მთავრობის თანხმობით და კონფლიქტში მყოფი მხარის ნებართვით. ეს პირადი შემადგენლო-

ბა და ფორმირებები მოექცევიან კონფლიქტში მყოფი მხარის კონტროლის ქვეშ.

ნეიტრალური სახელმწიფოს მთავრობა მომხდარის შესახებ აცნობებს დახმარების მიმღები სახელმწიფოს მოწინააღმდეგე მხარეს, კონფლიქტში მყოფი მხარე, რომელიც იღებს დახმარებას, ვალდებულია აუწყოს ამის შესახებ მოწინააღმდეგეს, დახმარებით სარგებლობის დაწყებამდე.

აღნიშნული დახმარება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს კონფლიქტში ჩარევად.

პირველ აბზაცში ნახსენები პირადი შემადგენლობა შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იყოს მე-40 მუხლით გათვალისწინებული პირადობის მოწმობებით იქამდე, ვიდრე დატოვებს ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიას.

მუხლი 28. 24-ე და 26-ე მუხლებში მითითებული პერსონალი, რომელიც მოხვდა მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ქვეშ, დროებით დაკავებული იქნება, თუ ამას ითხოვს სამხედრო ტყვეთა სანიტარული მდგომარეობა, სულიერი მოთხოვნილება და რაოდენობა.

ამგვარად დაკავებული პერსონალის წევრები არ ჩაითვლებიან სამხედრო ტყვეებად, მაგრამ ისინი სარგებლობენ სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ 1949 წლის 12 აგვისტოს ქენევის კონვენციით გათვალისწინებული ყველა უპირატესობით.

ზემოხსენებული პერსონალი, მათი დამკავებელი ქვეყნის საომარი კანონების და განკარგულებების ფარგლებში და ამ ქვეყნის კომპეტენტური სამსახურის ხელმძღვანელობით, პროფესიული ეთიკის შესატყვისად, აგრძელებს თავისი სამედიცინო და სასულიერო ვალდებულებების შესრულებას უპირატესად იმ შეიარაღებული ძალების სამხედრო ტყვეებისათვის, რომელსაც თავად ეკუთვნის. თავისი სამედიცინო და სულიერი ვალდებულებების აღსრულების მიზნით, პერსონალი სარგებლობს შემდეგი შეღავათებით:

a) მოინახულოს ბანაკის გარეთ სამუშაო ბანაკებსა და ჰოსპიტლებში მყოფი სამხედრო ტყვეები, ამ მიზნით, დამტყვევებელი ქვეყანა გამოყოფს სატრანსპორტო საშუალებებს;

b) ყოველ ბანაკში ხარისხითა და სტაჟით უფროსი სამხედრო ექიმი პასუხისმგებელია ბანაკის სამხედრო ხელისუფლების წინაშე ყველაფრისათვის, რაც ეხება დაკავებული სანიტარული პერსონალის პროფესიულ მოღვაწეობას. ამ მიზნით, საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე, კონფლიქტში მყოფი მხარეები ერთმანეთს უთანხმებენ სანიტარული პერსონალის, აგრეთვე 26-ე მუხლში მითითებულ საზოგადოებათა პერსონალის წოდებათა შეფარდებას. ამ ექიმს და სასულიერო მოღვაწეებს უფლება აქვთ, ყველა საკითხის შესახებ, რომელიც ეხება მათ პროფესიულ ვალდებულებებს, პირდაპირ მიმართონ ბანაკის სამხედრო და სამედიცინო ხელისუფლებას, რომელიც მათ ნებას დართავს აწარმოონ კორესპონდენცია მოცემულ საკითხებზე.

c) თუმცა, დაკავებული პერსონალი ემორჩილება ბანაკის შინაგანაწესს, მაგრამ არ შეიძლება ძალდატანებით შეასრულებინონ სამუშაო, რომელიც არ არის დაკავშირებული მათ სამედიცინო ან რელიგიურ ვალდებულებებთან.

საომარი მოქმედებების დროს, კონფლიქტში მყოფი მხარეები თანხმდებიან

დაკავებული პერსონალის შესახებ ვაცკლის შესახებ და დაადგინენ ვაცკლის წესს.

არც ერთი წინამდებარე დებულება არ ათავისუფლებს დამტყვევებელ სახელმწიფოს მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან სამხედრო ტყვეთა სანიტარული და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სფეროში.

მუხლი 25. 25-ე მუხლში მითითებული პერსონალის წევრები, მოწინააღმდეგის ძალაუფლების ქვეშ მოხვედრისას, ჩათვლებიან სამხედრო ტყვეებად, მაგრამ რამდენადაც საჭიროება მოითხოვს, გამოყენებულ იქნებიან სანიტარული მოვალეობების შესასრულებლად.

მუხლი 26. პერსონალის წევრები, რომელთა დაკავება არ არის აუცილებელი, 28-ე მუხლის დებულებათა თვალსაზრისით, დაუბრუნდებიან კონფლიქტში მყოფ თავიანთ სახელმწიფოს როგორც კი ამის საშუალებას მისცემს საომარი მდგომარეობა და გაიხსნება გზა მათ დასაბრუნებლად.

დაბრუნების მოლოდინში ისინი აღარ ითვლებიან სამხედრო ტყვეებად, მაგრამ მაინც სარგებლობენ სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ 1949 წლის 12 აგვისტოს ენევის კონვენციით გათვალისწინებული უპირატესობებით, ისინი აგრძელებენ თავიანთი მოვალეობების აღსრულებას მოწინააღმდეგე მხარის ხელმძღვანელობით და უპირატესად გამოყენებული იქნებიან კონფლიქტში მონაწილე იმ მხარის დაჭრილთა და ავადმყოფთა მოსავლელად, რომელსაც თავად ეკუთვნის.

გამგზავრებისას მათ თან მოაქვთ კუთვნილი ნივთები, პირადი ქონება, ძვირფასეულობა და ინსტრუმენტები.

მუხლი 31. 30-ე მუხლის თანახმად, გასამგზავრებელი პერსონალის შერჩევა არ ემყარება რასობრივ, რელიგიურ ან პოლიტიკურ მოსაზრებებს, არამედ გამოძინარგობს უპირატესად პერსონალის წევრთა დაკავების ვადის ხანგრძლივობიდან და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან.

სამხედრო მოქმედებების დაწყებისთანავე კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ სპეციალური შეთანხმებებით დაადგინონ პერსონალის პროცენტული რაოდენობა, რომელიც დაკავებული იქნება. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ტყვეთა რაოდენობა და მათი განაწილება ბანაკებში.

მუხლი 32. 27-ე მუხლში მითითებული პირები მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრისას არ იქნებიან დაკავებული.

საწინააღმდეგო ზასიარის შეთანხმებების არსებობის დროს, მათ ნებას დართავენ დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში ან კონფლიქტში მყოფი იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის სამსახურშიც არიან, მაშინვე, როგორც კი საომარი მდგომარეობა შესაძლებელს გახდის მათ დაბრუნებას.

დაბრუნების მოლოდინში ისინი აგრძელებენ მუშაობას მოწინააღმდეგე მხარის ხელმძღვანელობით; უპირატესად, მათ იყენებენ კონფლიქტში მყოფი იმ მხარის დაჭრილებს და ავადმყოფების მოსავლელად, რომლის სამსახურშიც იყვნენ.

გამგზავრებისას თან მოაქვთ კუთვნილი ნივთები, პირადი ქონება და ძვირფასეულობა, ინსტრუმენტები, იარაღი და თუ შესაძლებელია — მათი კუთვნილი გადაადგილების საშუალებანი.

კონფლიქტში მყოფი მხარეები უზრუნველყოფენ პერსონალს, ვიდრე ისინი მათი ხელისუფლების ქვეშ არიან, თავიანთი შეიარაღებული ძალების პერსონალის თანაბარი საბინაო პრობებით, მომარაგებთ, სარჩოთი და სარგოთი. საე-ვეები თავისი რაოდენობით, ხარისხით და მრავალფეროვნებით ისეთი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს პერსონალის ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნება.

თავი V

შენობა და კონება

მუხლი 33. შეიარაღებულ ძალთა მოძრავი სამუდციხო ფორმირებების კონება, რომელიც მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდება, დატოვებული იქნება დაჭრილთა და ავადმყოფთა მოსავლელად.

მუდმივ სანიტარულ დაწესებულებათა შენობები, კონება და საწყობები დარჩება ომის კანონების მოქმედების ქვეშ, და ვიდრე ისინი საჭიროა დაჭრილთა და ავადმყოფთა მოსავლელად, არ გამოიყენება სხვა დანიშნულებით. მაგრამ მოქმედი არმიის ნაწილების მეთაურებმა შეიძლება ისინი გამოიყენონ უკიდურესი სამხედრო საჭიროების შემთხვევაში, თუმცა, წინასწარ უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში მყოფი დაჭრილების და ავადმყოფების მდგომარეობა.

ამ მუხლში მითითებული კონების და საწყობების წინასწარ განზრახული განადგურება არ არის დაშვებული.

მუხლი 34. დახმარების საზოგადოებათა მოძრავი და უძრავი კონება, რომლებზედაც ვრცელდება კონვენციით დაწესებული უპირატესობანი, ითვლება ეერძო საკუთრებად.

ომის კანონებით, მებრძოლთა უფლებად აღიარებული რეკვიზიცია განხორციელდება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს, როცა უზრუნველყოფილ იქნება დაჭრილთა და ავადმყოფთა ჰედი.

თავი VI

სანიტარული ტრანსპორტი

მუხლი 35. ტრანსპორტი, რომელშიც არიან დაჭრილები და ავადმყოფები ან სანიტარული კონება ისარგებლებს ისეთივე მფარველობით და დაცვით, როგორც მოძრავი სანიტარული ფორმირებები.

მოწინააღმდეგის ხელთ მოხვედრილი ამგვარი ტრანსპორტი და გადასაცვანი საშუალებები ომის კანონთა მოქმედების სფეროში ექცევა იმ პარობით, რომ მათი ხელში ჩაშვდები, კონფლიქტში მონაწილე მხარე ყოველგვარ გარემოებებში იზრუნებს იქ მყოფ დაჭრილებსა და ავადმყოფებზე.

რეკვიზიციის წესით მოპოვებული სამოქალაქო პირადი შემადგენლობა

და სატრანსპორტო საშუალებანი ემორჩილებიან საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმებს.

მუხლი 36. სანიტარული საფრენი აპარატები ე. ი. აპარატები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ დაჭრილთა და ავადმყოფთა ევაკუაციისათვის, სანიტარული და პირადი შემადგენლობის გადასაცემად, ქონების გადასატანად, არ განიცდიან თავდასხმას, სარგებლობენ მეომარ მხარეთა პატივისცემით, იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მეომარ მხარეთა სპეციალური შეთანხმებით გათვალისწინებულ სიმაღლეზე ფრენენ დადგენილ დროს და დადგენილ მარშრუტით.

მათ ექნებათ 38-ე მუხლში მითითებული მკაფიოდ დასახანი, განმასხვავებელი ნიშანი ეროვნული ფერების გვერდით, ქვემოთა, ზემოთა და გვერდითა საბრტყეებზე: ექნებათ აგრეთვე საომარი მოქმედებების დასაწყისში ან მათი მიმდინარეობის დროს მეომარ მხარეთა შეთანხმებით დაწესებული ყოველგვარი სხვა სიგნალიზაცია ან განმასხვავებელი ნიშნები.

გარდა საწინააღმდეგო ხასიათის შეთანხმებებისა, მოწინააღმდეგის ან მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ფრენა აკრძალულია.

საფრენი აპარატები უნდა დაემორჩილოს დაშვების ნებისმიერ მოთხოვნას. მოთხოვნის საფუძველზე დაშვების შემთხვევაში საფრენ აპარატს შეუძლია თავისი მგზავრებითურთ განაგრძოს ფრენა შესაძლო შემოწმების შემდეგ.

მოწინააღმდეგის ან მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე იძულებითი დაფრენის შემთხვევაში, ეკიპაჟი, ასევე დაჭრილები და ავადმყოფები სამხედრო ტყვეებად იქცევიან. სანიტარულ პერსონალს მოეპყრობიან 24-ე და მომდევნო მუხლების შესაბამისად.

მუხლი 37. კონფლიქტში მყოფი მხარეების სანიტარულ საფრენ აპარატებს, ამ მუხლის მეორე აბზაცში მითითებული პირობების დაცვით, შეუძლიათ გადაიფრინონ ნეიტრალური ქვეყნების ტერიტორიაზე და მოახდინონ დაფრენა აუცილებლობის შემთხვევაში ან შუალედური შესვენებისათვის. წინასწარ უნდა აცნობონ ნეიტრალურ ქვეყნებს მათ ტერიტორიაზე გადაფრენის შესახებ და დაემორჩილონ დაფრენის ან წყალზე დაშვების ყოველ მოთხოვნას. თავდასხმისაგან დაცული იქნებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც იფრენენ დაინტერესებულ ნეიტრალურ სახელმწიფოებსა და კონფლიქტში მყოფ მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე დადგენილ სიმაღლეზე, დადგენილი მარშრუტით და შესაბამის დროს.

მაგრამ, ნეიტრალურ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დააწესონ პირობები ან შეზღუდვები თავიანთ ტერიტორიაზე სანიტარული საფრენი აპარატების ფრენის ან დაფრენის შესახებ, ეს შესაძლო პირობები ან შეზღუდვები გამოყენებულ იქნება თანაბრად კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარისაგან.

ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით, ნეიტრალურ ტერიტორიაზე სანიტარული საფრენი აპარატიდან გადმოყვანილ დაჭრულებს და ავადმყოფებს, თუ არ იქნა სხვა სახის შეთანხმება ნეიტრალურ სახელმწიფოსა და კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის, ნეიტრალური სახელმწიფო იმგვარად უვლის, რომ როცა ამას ითხოვს საერთაშორისო სამართალი, მათ აღარ უნდა მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. ამ დაჭრილთა და ავადმყოფთა პოსპიტალიზაციის და ინტერნირების ხარჯებს იხდის სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.

ბანმასხვავებელი მხალხა

მუხლი 38. შვეიცარიისადმი პატივისცემის ნიშნად, წითელი ჯვრის პერალ-ლიკური ნიშანი, შედგენილი თეთრ ფონზე ფედერალურ ფერთა პირიქითა განლაგებით, შენარჩუნებულია არმიის სანიტარული სამსახურის ემბლემა და განმასხვავებელ ნიშნად.

იმ ქვეყნების მიერაც, რომლებიც წითელი ჯვრის ნაცვლად განმასხვავებელ ნიშნად იყენებენ თეთრ ფონზე გამოსახულ წითელ ნახევარმთვარეს ან წითელ ლომსა და მხეს, ეს ემბლემები თანაბრად აღიარებულია მოცემული კონვენციით.

მუხლი 39. კომპეტენტურ სამხედრო ხელისუფალთა კონტროლით, ემბლემა გამოსახული იქნება დროშებზე, სამკლაურებზე და სანიტარული სამსახურის კუთვნილ ყველა ნივთზე.

მუხლი 40. 24-ე, 26-ე და 27-ე მუხლებში მოხსენებული პირადი შემადგენლობა მარცხენა ხელზე ატარებს ნესტის გამძლე სამკლაურს, რომელიც ბეჭდით დამოწმებული და გაცემულია სამხედრო ხელისუფალთა მიერ და რომელზედაც აღბეჭდილია ემბლემა.

პირად შემადგენლობას, გარდა მე-16 მუხლში მითითებული მედალიონისა, თან დააქვს განმასხვავებელი ნიშნით აღბეჭდილი პირადობის სპეციალური მოწმობა (პირადობის მოწმობის ფორმა არ მოგვეყავს. იხ. სსრკ-ს მიერ უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული მოქმედი ხელშეკრულებების, შეთანხმებების და კონვენციების კრებული, მოსკოვი, გამოშვება XVI, 1957 წ., გვ. 100). ეს მოწმობა არ უნდა ფუჭდებოდეს ნესტისაგან; იმ ზომის უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს მისი ჯიბეში ჩადება. მოწმობა უნდა შეიცავს შესაბამისი ქვეყნის ენაზე და მასში მითითებული უნდა იყოს მფლობელის გვარი და სახელი, დაბადების წელი, წოდება და სამხედრო ნომერი, ასევე, მითითებული უნდა იყოს, ვისი სახით აქვს მას უფლება, ისარგებლოს ამ კონვენციის მფარველობით. მოწმობაში უნდა იყოს მფლობელის ფოტოსურათი, მისი ხელმოწერა ან თითების ანაბეჭდები ან ერთი და მეორეც. მოწმობაში უნდა იყოს აგრეთვე სამხედრო ხელისუფალთა რელიეფური ბეჭედი.

პირადობის მოწმობები ერთნაირი უნდა იყოს ყოველ არმიაში და ერთნაირი ტიპის, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა ყველა არმიაში. კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ ნიმუშით, რომელიც ერთვის ამ კონვენციას. საომარი მოქმედებების დაწყებისას ისინი ერთმანეთს აცნობებენ მათ მიერ მიღებული ნიმუშის შესახებ. ყოველი მოწმობა, შეძლებისამებრ, არანაკლებ ორ ეგზემპლარად უნდა დამზადდეს, ერთს შეინახავს სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც არის მოცემული პირი.

პირად შემადგენლობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოერთვას თავისი განმასხვავებელი ნიშნები ან პირადობის მოწმობა და სამკლაურის ტარების უფლება. მათი დაკარგვის შემთხვევაში, მას უფლება აქვს მიიღოს მოწმობისა და ნიშნების დუბლიკატები.

მუხლი 41. 25-ე მუხლში მითითებული პერსონალი მხოლოდ სანიტარული მოვალეობების აღსრულების დროს ატარებს თეთრ სამკლაურს ცენტრში მცო-

რე ზომის განმასხვავებელი ნიშნით. ეს სამკლავური დამოწმებულია სამხედრო ხელისუფალთა ბეჭდით და გაიცემა მათ მიერ.

ამ პერსონალის სამხედრო მოწმობაში მითითებულ იქნება მფლობელის მიერ გავლილი სანიტარული მომზადების, მის მოვალეობათა დროებითი ხასიათის შესახებ, ასევე მის უფლებახე—ატაროს სამკლავური.

მუხლი 42. კონვენციის განმასხვავებელი დროშა შეიძლება აღიმართოს მხოლოდ იმ სანიტარულ ფორმირებათა და დაწესებულებათა თავზე, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან მისი მფარველობით. ამასთან, დროშის აღმართვა ხდება მხოლოდ სამხედრო ხელისუფალთა თანხმობით.

მოდრავ ფორმირებებსა და მუდმივ დაწესებულებებზე კონვენციის დროშასთან ერთად შეიძლება აღიმართოს კონფლიქტში მყოფი იმ ქვეყნის ეროვნული აღაში, რომელსაც ეკუთვნის მოცემული ფორმირება ან დაწესებულება.

მაგრამ, მოწინააღმდეგის ხელისუფლების ქვეშ მოხვედრილი სანიტარული ფორმირებანი აღმართავენ მხოლოდ კონვენციის დროშას.

რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა საომარი მდგომარეობა, კონფლიქტში მყოფი მხარეები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რათა განმასხვავებულნი ჰქონდნენ მკაფიოდ არჩევდნენ მოწინააღმდეგის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალები, ყოველგვარი აგრესიული მოქმედების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 43. ნეიტრალურ ქვეყანათა სანიტარული ფორმირებანი, რომელნიც 27-ე მუხლის პირობების თანახმად, დაშვებულნი არიან ერთ-ერთი მეომარი მხარისათვის დახმარების აღმოსაჩენად, კონვენციის დროშასთან ერთად, აღმართავენ მეომარი ქვეყნის ეროვნულ დროშას, თუ ეს უკანასკნელი სარგებლობს 42-ე მუხლში მითითებული უფლებით.

გარდა შემთხვევებისა, როდესაც არსებობს შესაბამისი სამხედრო ხელისუფლების საწინააღმდეგო ხასიათის ბრძანება, მათ შეუძლიათ ყველა პირობაში აღმართონ თავიანთი ეროვნული დროშა მოწინააღმდეგის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩენის შემთხვევაშიც.

მუხლი 44. გარდა ამ მუხლის ბოლო სამ აბზაცში მითითებული შემთხვევებისა, წითელი ჯვრის ემბლემა თეთრ ფონზე და სიტყვები „წითელი ჯვარი“ ან „უენევის ჯვარი“, მშვიდობიანობის ან ომის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ კონვენციით და ანალოგიური საკითხების შესახებ არსებული სხვა კონვენციებით დაცული სანიტარული ფორმირებების და დაწესებულებების, პერსონალის და მატერიალური ნაწილების აღსანიშნავად. იგივე ეხება 38-ე მუხლის მეორე აბზაცში მითითებულ ემბლემებს, 26-ე მუხლში მითითებულ წითელი ჯვრის ეროვნულ საზოგადოებებს და სხვა საზოგადოებებს უფლება აქვთ, ისარგებლონ მოცემული კონვენციით მფარველობის აღმნიშვნელი განმასხვავებელი ემბლემით მხოლოდ ამ აბზაცის დებულებათა ფარგლებში.

ამას გარდა, წითელი ჯვრის (წითელი ნ/მთვარის, წითელი ლომის და მზის) ეროვნულ საზოგადოებებს მშვიდობიან დროს შეუძლიათ ისარგებლონ თავიანთი ეროვნული ვანონმდებლობის შესაბამისად წითელი ჯვრის ემბლემით და სახელით სხვა მოდერნიზაციისთვისაც, რომელიც შეესატყვისება წითელი ჯვრის და საერთაშორისო კონვენციებში ფორმულირებულ პრინციპებს. როცა ეს მოღვაწეობა ხორციელდება ომის პერიოდში, ემბლემის გამოყენება ისე უნდა მოხდეს, რომ არ აღიმართოს რაიმე ეჭვთა ემბლემა უნდა იყოს მკორე მოცულობის, არ შეიძლება მისი დატანება სამკლავურებზე და შესაბამის სახურავებზე.

წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანოებს და მათ სათანადოდ რწმუნებულ პერსონალს ნება დაერთვება ყოველთვის ისარგებლოს თეთრ ფონზე გამოსახული წითელი ჯვრის ნიშნით.

ეროვნული კანონმდებლობიდან გამონაკლისის სახით და წითელი ჯვრის (წითელი ნ/მთავრის, წითელი ლომის და მზის) ერთ-ერთი ორგანიზაციის ნებაართვით კონვენციის ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნას მშვიდობიანობის პერიოდში სანიტარულ ტრანსპორტად გამოყენებული გადასაყვანი საშუალებების და დაჭრილთა და ავადმყოფთა უსასყიდლოდ დახმარებისათვის განკუთვნილი პუნქტების აღვლილმდებარეობის აღსანიშნავად.

თავი VIII

კონვენციის შესრულება

მუხლი 45. კონფლიქტში მყოფმა ყოველმა მხარემ, თავისი მთავარსარდლობის მეშვეობით, უნდა იზრუნოს ზემოთ აღნიშნული მუხლების, ასევე, გაუთვალისწინებელ შემთხვევებში ამ კონვენციის საერთო პრინციპების დაწვრილებით შესრულებისათვის.

მუხლი 46. კონვენციის მფარველობის ქვეშ მყოფი დაჭრილების, ავადმყოფების, პირადი შემადგენლობის, შენობებისა და ქონების მიმართ რეპრესალიების განხორციელება და მათთვის ზარალის მიყენება აკრძალულია.

მუხლი 47. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიება იღებენ, როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს, რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ მთავარი კონვენციის ტექსტი თავიანთ ქვეყნებში და კერძოდ, შეიტანონ მისი სწავლება სამხედრო და, თუ შესაძლებელია, სამოქალაქო სწავლების პროგრამებში, რათა მის პრინციპებს გაეცნოს მთელი მოსახლეობა, კერძოდ კი — მკვრივი შეიარაღებული ძალები, სანიტარული პერსონალი და სასულიერო პირები.

მუხლი 48. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები, შვეიცარიის ფედერაციული საბჭოს მეშვეობით, ხოლო ომის დროს — მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით, ერთმანეთს გადასცემენ ამ კონვენციის თარგმანთა ტექსტებს, ასევე, კანონებს და დადგენილებებს, რომელთა მიღება მათ შეუძლიათ კონვენციის განოყენების უზრუნველყოფის მიზნით.

თავი IX

კონვენციის დარღვევის და ზომრებად გამოყენების აღკვეთა

მუხლი 49. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიება იღებენ მოქმედებაში მიიღონ კანონმდებლობა, აუცილებელი იმ პირთა სისამართლოს წესით დასჯისათვის, რომელთა მოქმედებამ ან ბრძანებამ გამოიწვია ამ კონვენციის შემდეგ მუხლში მითითებული სერიოზული დარღვევები.

მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარე ვალდებულიება იღებს ეძებოს პირები, რომელთაც დაარღვიეს კონვენცია ან ბრძანება გასცეს მისი დარღვე-

ვის შესახებ და მოქალაქეობის მიუხედავად, გადასცეს ისინი სასამართლოს. მათვე შეუძლია. თავისი სურვილით და საკუთარი კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი პირები სასამართლოს წინაშე წარსადგენად გადასცეს სხვა დანტერესებულ. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეს, რომელსაც მოეპოვება მოცემული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი საფუძვლიანი საბუთები.

მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარე მიიღებს ზომებს, რომლებიც მიმართულია შემდეგ მუხლში მითითებული სერიოზული დარღვევების გარდა ყოველი იმგვარი მოქმედების აღსაკვეთად, რომლებიც ეწინააღმდეგება მოცემული კონვენციის დებულებებს.

ნებისმიერ პირობებში ბრალდებულთ ეძლევათ სათანადო სასამართლო პროცედურის ჩატარების გარანტიები და დაცვის ყოლის უფლება. ერთი და მეორე უნდა იყოს არანაკლებ ხელსაყრელი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 105-ე და შემდგომი მუხლებით.

მუხლი 50. წინა მუხლში ნახსენებ სერიოზულ დარღვევებს მიეკუთვნება ზოგიერთი ქმედება, მიმართული პირთა ან ქონების წინააღმდეგ, რომლებიც სარგებლობენ ამ კონვენციის მფარველობით, ეს ქმედებებია: წინასწარ განზრახული მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატვლით; წინასწარ განზრახვით მძიმე ტანჯვის ან სერიოზული დაშავების მიყენება; ჯანმრთელობის დაზიანება, უკანონო, თვითნებური და ფართო მასშტაბით მიმდინარე ნგრევა და ქონების მითვისება, რაც არ არის ნაკარნახევი საომარი აუცილებლობით.

მუხლი 51. მოლაპარაკებაში მონაწილე არც ერთ მხარეს არა აქვს ნება დართული თავი გაითავისუფლოს ან გაათავისუფლოს რომელიმე სხვა მონაწილე პასუხისმგებლობისაგან, რომელიც დაკისრებულია წინა მუხლში მითითებული დარღვევებისათვის.

მუხლი 52. კონვენციის დარღვევის შესახებ ყოველგვარი მიზეზის გამო, კონფლიქტში მყოფი ერთ-ერთი მხარის თხოვნით უნდა დაიწყოს გამოძიება პროცედურით, რომელიც დადგენილი იქნება დანტერესებული მხარეების მიერ.

პროცედურის დადგენის შემთხვევაში მხარეები ორმხრივი მოლაპარაკებით ირჩევენ არბიტრს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საკითხი პროცედურის შესახებ.

როგორც კი დადგინდება დარღვევა, კონფლიქტში მყოფი მხარეები აღკვეთენ მას და მიიღებენ ზომებს სასჯელის აღსრულებისათვის უმოკლეს ვადაში.

მუხლი 53. კერძო პირების, საზოგადოებების, საზოგადოებრივი ან კერძო ფირმების ან კომპანიების მიერ „წითელი ჯვრის“ ან „ქენევის ჯვრის“ ემბლე-მით სარგებლობა, აგრეთვე ყოველგვარი მსგავსი ნიშნით ან ემბლე-მით სარგებლობა, იკრძალება ყოველ დროს, როგორი მიზნითაც და როგორი ხანგრძლივობითაც არ უნდა ხდებოდეს მათი გამოყენება. აღნიშნული ემბლე-მების და ნიშნების გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვისაც ამის უფლება მინიჭებული აქვთ მოცემული კონვენციით.

შევიცარიის პატივისცემის ნიშნად, ფედერალურ ფერთა პირიქითა განლა-



გების მიღება და შვეიცარიის გერბის კონვენციის განმასხვავებელ ნიშანთან რევის თავიდან აცილების მიზნით, კერძო პირების, საზოგადოებების ან ფირმების მიერ შვეიცარიის კონფედერაციის გერბით სარგებლობა, ისევე როგორც მსგავსი ნიშნების გამოყენება საფაბრიკო ან საეაქრო ნიშნებად, ან ამ ნიშანთა შემადგენელ ნაწილებად, როგორც ყომერციული კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო მიზნებით, ისე იმგვარ პირობებში, რომლებმაც შეიძლება შელახოს შვეიცარიელთა ეროვნული გრძნობები, იკრძალება ნებისმიერ დროს.

ამის მიუხედავად, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს, რომლებიც არ იყვნენ 1929 წლის 27 აგვისტოს ქენევის კონვენციის მონაწილენი, შეუძლიათ ნათ, ვინც ადრე სარგებლობდა პირველ აბზაცში მოხსენებულ ემბლემებით ან მარკებით, დაუწყესონ მაქსიმალური ვადა სამი წლის ოდენობით ამ კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან, რათა მათ შეწყვიტონ მოხსენებული ნიშნებით სარგებლობა; ამასთან იგულისხმება, რომ ამ ვადის განმავლობაში ემბლემებით სარგებლობა იმგვარი უნდა იყოს, რომ არ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს მხარეები სარგებლობენ კონვენციით გათვალისწინებული მფარველობით ომის პერიოდში.

პირველ აბზაცში მითითებული აკრძალვები თანაბრად ენება 38-ე მუხლის მეორე აბზაცში მოხსენებულ ემბლემებსა და დასახელებებს, ისე, რომ გავლენას არ ახდენს წინანდელი გამოყენების საფუძველზე მიღებულ შედეგებზე.

მუხლი 54. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები, თუ მათი კანონმდებლობა არ არის საკმარისი, იღებენ ზომებს 53-ე მუხლში მითითებულის ბოროტად გამოყენების შემთხვევათა ყოველ დროს აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად.

დასკვნითი დავულებანი

მუხლი 55. მოცემული კონვენცია შედგენილია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია. შვეიცარიის ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს კონვენციის ოფიციალური თარგმანის შესრულებას რუსულ და ესპანურ ენებზე.

მუხლი 56. ეს კონვენცია, დათარიღებულია მოცემული რიცხვით, შეიძლება ხელმოწერილ იქნეს 1950 წლის 12 თებერვლამდე ყველა სახელმწიფოს მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ ქენევაში 1949 წლის 12 აპრილს გახსნილ კონფერენციაში; ასევე, იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ კონფერენციაში, მაგრამ მონაწილეობა მიიღეს მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ გამართულ ქენევის 1864, 1906 ან 1929 წლების კონფერენციების მუშაობაში.

მუხლი 57. მოცემული კონვენცია რატიფიცირებულ იქნება შესაძლო უნოკლეს ვადაში და სარატიფიკაციო სიგელებში შესანახად ჩაბარდება ბერნში.

თითოეული სარატიფიკაციო სიგელის გადაცემის შესახებ შედგება ოქმი, რომლის დამოწმებულ ასლს შვეიცარიის ფედერალური საბჭო გადასცემს კონვენციაზე ხელმომწერ ან კონვენციის მხარდამჭერ ყველა სახელმწიფოს.

მუხლი 58. მოცემული კონვენცია ძალაში შედის ექვსი თვის გასვლის შემდეგ, იმ მომენტიდან, რაც სულ ცოტა ორი სარატიფიკაციო სიგელი ჩაბარდება შესანახად.



მოგვიანებით მოლაპარაკების თითოეული მონაწილისათვის იგი ძალაში შევა ამ ქვეყნის სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 53. მოცემული კონვენცია მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა ურთიერთობებში ცვლის 1864 წლის 22 აგვისტოს, 1906 წლის 6 ივლისის და 1929 წლის 29 ივლისის კონვენციებს.

მუხლი 60. მოცემული კონვენცია ძალაში შესვლის დროიდან ღია ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოსათვის, რომელსაც ხელი არ მოუწერია მასზე.

მუხლი 61. ყოველი მიმხრობის შესახებ წერილობით ეცნობება შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს და ძალაში შევა საბჭოს მიერ წერილობით ცნობის მიხედვით ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

შვეიცარიის ფედერალური საბჭო მიმხრობის შესახებ აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას, ან მიემხრო მას.

მუხლი 62. მეორე და მესამე მუხლებში მითითებულ შემთხვევებს დაუყონებლივ ძალაში შეჰყავთ შესანახად ჩაბარებული სარატიფიკაციო სიგელები, ასევე, მიმხრობის განცხადებები, რომლებიც შეიტანეს კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის დაწყებამდე ან შემდეგ. შვეიცარიის ფედერალური საბჭო სასწრაფოდ აცნობებს კონფლიქტში მყოფ მხარეებს რატიფიცირების ან მიმხრობათა შესახებ.

მუხლი 63. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება.

დენონსირების შესახებ წერილობით აცნობებენ შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს, რომელიც თავის მხრივ, აცნობებს მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა სახელმწიფოს მთავრობას.

დენონსაცია ძალაში შევა შვეიცარიის ფედერალური საბჭოს სახელზე გაკეთებული განცხადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. მაგრამ დენონსაცია, რომლის შესახებაც განცხადება გაკეთდა ქვეყნის კონფლიქტში ყოფნის დროს, ძალაში შედის ზავის დადების შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტიდან, რაც დასრულდება მოცემული კონვენციის მფარველობის ქვეშ მყოფი პირების გათავისუფლებისა და რეპატრიაციასთან დაკავშირებული ოპერაციები.

დენონსაციას ძალა ექნება მხოლოდ მისი მომხდენი სახელმწიფოსათვის. ეს არავითარ გავლენას არ მოახდენს კონფლიქტში მყოფ მხარეთა მიერ აღებული ვალდებულებებზე, რომლებიც ძალაში რჩება საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე, ვინაიდან, გამოძინიარობს ცივილიზებულ ხალხებს შორის დაშვარებული ურთიერთობებიდან, ჰუმანურობის კანონებიდან და ნაკარნახევია საზოგადოებრივი სინდისით.

მუხლი 64. შვეიცარიის ფედერალური საბჭო ახდენს ამ კონვენციის რეგისტრაციას გაეროს სამდივნოში. შვეიცარიის ფედერალური საბჭო გაეროს სამდივნოს აცნობებს მის მიერ მიღებულ ყველა ცნობას ამ კონვენციის რატიფიცირების, დენონსირების ან მისადმი მიმხრობის შესახებ.

რის დასამტკიცებლადაც სათანადო რწმუნებების მქონე ხელმომწერებმა ხელი მოაწერეს მოცემულ კონვენციას.

დაიდო შენევაში 1949 წლის 12 აგვისტოს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ორიგინალი ინახება შვეიცარიის კონფედერაციის არქივებში, ხოლო და მოწმებულ ასლებს შვეიცარიის ფედერალური საბჭო გადასცემს ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას ან მიემხრო მას*.

(სსრკ-ს მიერ უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული მოქმედი ხელშეკრულებების, შეთანხმებების და კონვენციების კრებული, გამოცემა XVI, მოსკოვი, 1957, გვ. 71-97. რუსულ ენაზე).

* კონვენციის ხელმოწერისას სსრკ-ს მთავრობამ გააკეთა შემდეგი შინაარსის შენიშვნა, შეათე მუხლთან დაკავშირებით:

„იმ სახელმწიფოს მიმართვას, რომლის ხელისუფლების ქვეშაც არიან დაჭრილები, ავადმყოფები ან სანიტარული პერსონალი, ნეიტარულ სახელმწიფოს ან ჰუმანიტარული ორგანიზაციისადმი მფარველი სახელმწიფოს ფუნქციების თავის თავზე აღების შესახებ, სსრკ უკანონოდ ჩათვლის, თუ ამას არ დაეთანხმება ის სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც არიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირები“.



© „საქართველო“, 1992 წ.

კომპიუტერული მისამართი: 250046, თბილისი, პრიორიტეტის 16
ტელ. 99-02-45, 28-41-50, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 21. 10. 92 წ. ხელმოწერილია დასაბეგლად 11. 01. 93 წ.
ფორმატი 70X108 I, ფიზიკური ნაბეგლი ფურცელი 5, პირობითი ნაბეგლი ფურცელი 7,
ხაღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5 შეკვ. №1868 ტირაჟი 8 000.

საქართველოს ფრანგულ-საშვეთაის გამოცემულმა „საქართველო“ სნაშხა.
250046, თბილისი, მ. კოსტავას 16

«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузии.

Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

Типография Грузинского журнально-газетно издательства «Самшобло».

380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

621/19



სახე 3 456
ნომერი 76185